საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 მარტი სამშაბათი 2011
№060 (13357) ფასი 60 თეთრი

# ინტერი ფორცა!

## თორემ იტალია მორჩა

**დღეს ლიგაში:** ბაიერნი VS ინტერი
მანჩესტერი VS მარსელი





# თემური დაირაზმა

## თითქმის იგივენი ზესტაფონელებით

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის გუშინდელი ინფორმაციით, ცნობილი გახდა იმ მოთამაშეთა ვინაობა, რომლებიც 26 მარტს, საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩისთვის მოემზადებიან.

ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** შერჩეული 23 ფეხბურთელის სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: **გიორგი ლორია („დინამო“ თბილისი), ნუკრი რევიშვილი („ანჟი“, რუსეთი), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“, საქართველო)**

მცველები: კახა ალადაშვილი, გიორგი ხიდეშელი (ორივე - „ზესტაფონი“), კახა კალაძე („ჯენოა“, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („რედინგი“, ინგლისი), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), ლაშა სალუქვაძე („ვოლგა“, რუსეთი), აკაკი ხუბუტია („გაზ მეთანი“, რუმინეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი), დავით კვირკველია („პანიონიოსი“, საბერძნეთი).

ნახევარმცველები: გოგიტა გოგუა („ვოლგა“, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი“), ჯაბა კანკავა („კრივბასი“, უკრაინა), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“, რუსეთი), ლევან კობიაშვილი („ჰერტა“, გერმანია), სანდრო გურული („კარპატი“, უკრაინა).

თავდამსხმელები: მათე ვაწაძე, ოთარ მარცვალაძე (ორივე – „ვოლგა“, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („კარლსრუე“, გერმანია), დავით სირაძე („სპარტაკი“ ნალჩიკი, რუსეთი), ლადო დვალიშვილი („მაქაბი“, ისრაელი).

როგორც ხედავთ, სომხეთის ნაკრებთან გამოძახებულთა სია თითქმის უცვლელია. ტრავმის გამო შეკრებაზე ვერ გამოცხადდება დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ მცველი **უჩა ლობჟანიძე**. ამჯერად ქეცბაიამ აღარ უხმო თბილისის „დინამოს“ მცველ **ლევან კაკუბავას** და სერბული „ვოევოდინას“ შემტევ ნახევარმცველ **გიორგი მერებაშვილს**. სიახლე კი ნაკრებში „ზესტაფონის“ მცველების, **კახა ალადაშვილისა** და **გიორგი ხიდეშელის** გამოჩენაა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვენგერი ნასულლებს აცოცხლებს

## იენს ლემანის დაბრუნება




ლონდონიდან საოცარი ცნობა მოვდო საფეხბურთო ევროპას: გერმანელი მეკარე იენს ლემანი კვლავ ჩაიცვამს ხელთათმანს და... „არსენალის“ კარში ჩადგება. საქმე ის არის, რომ „მეთოფეებს“ ორი გოლკიპერი ლუკაშ ფაბიანსკი და ვოიცეხ შჩესნი სეზონის ბოლომდე დაუშავდათ. შესაბამისად, არსენ ვენგერი მანუელ ალმუნიას ამარალა დარჩა. გამოსავლის ძიებაში „არსენალს“ 41 წლის ყოფილი მეკარე გაახსენდა, რომელიც 2004 წლის ლეგენდარული თაობის წევრი გახლდათ. არ არის გამორიცხული, ლემანი შაბათს „ვესტ ბრომვიჩთან“ შეხვედრაშიც კი შეიყვანონ განაცხადში.

„ძალიან მიხარია, „არსენალს“ გაჭირვების ჟამს დახმარების ხელს რომ გავუწვდენ“ - თქვა ლემანმა, რომელიც ლონდონიდან 2008 წელს სწორედ ალმუნიასთან კონფლიქტის გამო წავიდა „შტუტგარტში“.

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი




# ბასა ბაზას ემსგავსება
## ნაკრები იდეალზე ივარჯიშებს

### ეროვნული თხოვნა: ვიყიდოთ ბილეთი ადრე!

საქართველოს ეროვნული ნაკრები ხორვატიასთან და ისრაელთან 26 და 29 მარტის მატჩებისთვის მზადებას მალე დაიწყებს. **თემურ ქეცბაია** გუნდს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეკრებს, სადაც მთავრდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც კომპანია "ქართუს" დაფინანსებულია.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ ბაზას და გაკეთებულსა და გასაკეთებელზე ტექნიკური ცენტრის კომენდანტ **გიორგი კობრავას** ვესაუბრეთ.

ბალახის საფრის დაგება, კობრავას თქმით, 15 მარტისთვის დასრულდება. საბერძნეთიდან ჩამოიტანეს არა მიწის ბელტები, არამედ საგანგებოდ შერჩეული ბალახის საფრის რულონები, რომლებიც რბილი, რეზინივით დრეკადია და დიდ დატვირთვებს უძლებს. სხვათა შორის, ანალოგიური საფარია პირეოსის "ოლიმპიაკოსის" სტადიონზე.

*"ახლა ბალახის დასაგებად საუკეთესო პერიოდია, ვეგეტაციის დრო იწყება და ახალდაგებული საფარი ნიადაგთან "ხორცდება". მართალია, ხორვატიასთან შეკრების დაწყებამდე დარჩენილ ხუთ დღეში საფარი იდეალურ მდგომარეობაში არ იქნება, მაგრამ დატვირთვებს გაუძლებს და პრობლემას არ შექმნის, შემდეგი შეკრებისთვის კი ნაკრები იდეალურ მოედანზე ივარჯიშებს. თამამად ვიტყვი, რომ "ბასაზე" ამიერკავკასიაში საუკეთესო მინდორი გვექნება"* – ამბობს კობრავა.

ხორვატიასთან მატჩის შემდეგ იგეგმება ძველი ტრიბუნების ადგილზე 2-დან 3 ათას მაყურებლამდე გათვლილი ტრიბუნების აშენება, ინდივიდუალური პლასტმასის სკამებისა და განათების სისტემის დამონტაჟება და საღამოს ვარჯიშების ჩატარებაც შესაძლებელი გახდება. თავდაპირველი ინფორმაცია, რომ "ბასას" ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებისთვისაც გამოიყენებდნენ, არ დაგვიდასტურეს, მთელი წლის განმავლობაში ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს იმდენი შეკრება აქვთ დაგეგმილი, ტექნიკური ცენტრი მხოლოდ და მხოლოდ მათ მოემსახურებაო. სტადიონი მთელ პერიმეტრზე დამცავი ბადეებითა და ბანერებით შემოიზღუდება.

დასრულდა ფეხბურთელთა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. პირველ სართულზე მდებარე სასადილოს ადგილას დამატებით 9 ოთახი მოეწყო, გარემონტდა პირველ და მეორე სართულებზე მდებარე 20 ნომერიც. სულ 25 ჩვეულებრივი ნომერია, 2 ნახევრადლუქსი და 2 ლუქსი. კვების ბლოკისა და ბარისთვის კი კორპუსს დამატებითი ფართი მიუშენეს.

ახალი სატრენაჟორო დარბაზები (სულ ორი დარბაზია) მთელი გუნდის ერთდროულად ვარჯიშისთვის საკმარისი იქნება. კობრავა ამბობს, საშვილიშვილო საქმე კეთდება, რადგან უნივერსალური სპორტული კომპლექსი შენდებაო.

იგეგმება ბაზის მიმდებარე ფერდობის კეთილმოწყობაც, სადაც გარემოს გასალამაზებლად ბანერები განთავსდება და ფეხბურთელთა დასასვენებელი ბუნგალოები მოეწყობა. შენობაში კი ძველი და ახალი თაობების ქართველ მოთამაშეთა სურათებს ჩამოკიდებენ.

რადგან ნაკრებისთვის უკვე მზად არის ორი სტანდარტული მოედანი (ხელოვნური და ბუნებრივი საფრით), ბაზის შესასვლელთან მდებარე მინი-მოედანს აიღებენ და ავტოფარეხს მოაწყობენ.

საქართველოს ნაკრებს აქამდე საკუთარ მოედანზე ვარჯიში არ ღირსებია და ფეხბურთელებს "ბასაზე" მიმდინარე სამუშაოები ძალიან ახარებთ. ჰაიფას "მაქაბის" თავდამსხმელი **ლადო დვალიშვილი** ამბობს, რომ საკუთარ ბაზაზე მომზადება ბევრად უფრო კომფორტული და სასურველი იქნება.

ხორვატიასთან მატჩისთვის ემზადება ეროვნული სტადიონიც. არენის დირექტორ **სანდრო შახოვის** თქმით, მარტში ამის გამო თამაშობს თბილისის "დინამო" რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები კი - "მიხეილ მესხზე".

*"ხორვატიასთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და სტადიონიც ამიტომ ჩაიკეტა, ზამთარგამოვლილი საფრის დატვირთვა არ გვსურდა. იმედია, გატარებული სამუშაოების შედეგად 26 მარტისთვის საფარი საუკეთესო მდგომარეობაში იქნება. მინდორს ახალი ტექნოლოგიებით ვუვლით, ხორვატიასთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იქნება და ვფიქრობ, ნაკრებს დაბრკოლებებს არ შეუქმნის. მთლიანად შეიცვალა საჯარიმოს ის ნაწილი, რომელიც ყველაზე დაზიანებული იყო. თუ დროულად გამოიდარებს, სხვა მონაკვეთებსაც შევცვლით"* – ამბობს შახოვი.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ სტადიონზეც იმედოვნებენ, მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში ახალ საფარს დააგებენ. შახოვმა გვითხრა, რომ ამჟამად ამ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა მიმდინარეობს, ფინანსური დეტალების დაზუსტების შემდეგ კი ტენდერი გამოცხადდება.

ბოლო ერთი წელია, სტადიონის დირექციას სამუშაო არ მოჰკლებია, რადგან გულშემატკივართა ვანდალიზმის შედეგად 5 ათასი ინდივიდუალური სკამი დაიმტვრა და თავიდან გახდა დასამონტაჟებელი. მოწესრიგდა პარკირების სისტემა, რასაც უეფა დიდ ყურადღებას აქცევს და ლიცენზირებისას ერთ-ერთ პუნქტადაც ითვალისწინებს, ჩატარდა სხვა წვრილმანი სამუშაოებიც.

შახოვი ამბობს, რომ ახლა ორი მთავარი ამოცანა აქვთ: *"პირველი საფრის დროულად შეცვლაა, მეორე კი - უსაფრთხოების სისტემის მოწესრიგება. დამატებით რამდენიმე ვიდეოთვალის დამონტაჟება ბევრ პრობლემას აგვარიდებდა. ამას გარდა, ბილეთების გაყიდვის ელექტრონული სისტემის დანერგვაც გვსურს, მაგრამ ეს საკმაოდ დიდ ფინანსებს მოითხოვს. რატომღაც ჩვენი გულშემატკივარი ბილეთის შეძენას შეხვედრის დაწყებამდე ნახევრი საათით ადრე ცდილობს, რაც სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის. დამატებითი სალაროებს კი ავამუშავებთ, მაგრამ ჩვენი სათხოვარი იქნება, თადარიგი წინასწარ დაიჭირონ და ბილეთების შეძენას მაინცდამაინც მატჩის დღეს ნუ შეეცდებიან. ასე საქმეს თავადაც გაიიოლებენ და ჩვენც მრავალ საზრუნავს მოგვაკლებენ, რადგან ხორვატიასთან სტადიონის გავსებას ველით".*

**მერაბ მამულაშვილი**

## პოლიტფეხბურთი

# სამხრეთ ოსეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე?
## კოლუმბიის ოლიმპიური კომიტეტი მიესალმება...

*"კოლუმბია ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს"* - 11 მარტს ასეთი სათაურით გამოქვეყნდა "ფუტსალპლანეტ.კომ"-ში სტატია, რომელმაც ჩვენი ყურადღება პროვოკაციული შინაარსით მიიპყრო.

*"15-დან 26 მარტამდე კოლუმბიაში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი ფუტსალში. ამის თაობაზე კოლუმბიის ფუტსალის ფედერაციამ, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ ქვეყნის მთავრობა სპორტის მაღალ დონეზე განვითარებისთვის ყველაფერს აკეთებს. კოლუმბიაში იასპარეზებენ ეკვადორის, ვენესუელის, ბრაზილიის, კანადის, ავსტრალიის, ჩეხეთის, ბელარუსის, მექსიკის, არგენტინის, ურუგვაის, სამხეთ ოსეთის, პერუს, რუსეთის, კატალონიის და პარაგვაის ნაკრებები."* – იუწყება ვებგვერდი.

რომელი ორგანიზაცია ატარებს ჩემპიონატს და რა სახის ტურნირია იგი, რომელშიც გევრდიგვერდ ითამაშებენ ბრაზილია, არგენტინა და "სამხეთ ოსეთი"?

უეფასა და ფიფას ანალოგიით, ფუტსალშიც ორი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს - ამფ (ფუტსალის მსოფლიო ასოციაცია) და უეფს (ევროპის ფუტსალის კავშირი). ათი წლის წინ კი დააფუძნეს მათი ალტერნატიული ორგანიზაციები: სიმბოლურია, რომ ამგვარი ევროპული ორგანიზაცია (უფს) მოსკოვში ჩამოყალიბდა, ოფისიც რუსეთის დედაქალაქში აქვს და მისი პრეზიდენტი მოსკოველი სომეხი **ვალერი ახუმიანია**.

მსოფლიო ფუტსალის თვითმარქვია ორგანიზაციის ვებგვერდზე წერია, რომ მისი წევრები არიან სომხეთი, ავსტრალია, ბასკეთი, ბელარუსი, ბელგია, კატალონია, ჩეხეთი, დანია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ლატვია, ნორვეგია, პორტუგალია, რუსეთი, უკრაინა.

ჩვენთვის საინტერესო დეტალები, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ **ბექა კვიციანს** დავეკითხეთ, რომელიც ამბობს, რომ ჩამოთვლილი ქვეყნების ნაკრებები მხოლოდ ოფიციალური ორგანიზაციების ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილეობენ:

- კოლუმბიაში ელოდებიან იმ ნაკრებებს, რომლებიც ფუტსალში სეპარატისტულ მოძრაობას წარმოადგენენ. უეფა და ფიფა მათ არ ცნობენ და თავის წევრი ქვეყნების ფუტსალის ასოციაციებს სეპარატისტებთან ურთიერთობას უკრძალავს. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების არაღიარებულ ტურნირებს არც ჩვენ ვცნობთ. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობს, მაგრამ ჯერ სეპარატისტულ ორგანიზაციაში არ გაწევრიანებულა სამხრეთ ოსეთის ფუტსალის ასოციაცია. ასეთივე ვითარებაა აფხაზეთის და დნესტრისპირეთის შემთხვევებშიც. კოსოვოც კი, რომელსაც უეფასა და ფიფაში გაწევრიანება სურს, ანუ ჯერ არაღიარებული საფეხბურთო ქვეყანაა, ფუტსალის სეპარატიზმს კატეგორიულად ემიჯნება.

როგორც წესი, უეფა და ფიფა შესარჩევ ციკლს ატარებენ, ესენი კი ნაკრებებს პირდაპირ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე იწვევენ.

**- გასაგებია კატალონიის, ბასკეთის, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მცდელობა, მიაღწიონ საერთაშორისო აღიარებას, მაგრამ სეპარატისტული ფუტსალის ასოციაციის ვებგვერდზე ჩამოთვლილი ქვეყნები ამ ორგანიზაციის წევრები როგორ არიან?**

- სეპარატისტების ფუტსალის ასოციაციაში დასახელებული ქვეყანები გაწევრიანებული ვერ იქნებიან, რადგან ისინი უეფას და ფიფას წევრები არიან, ამ ტურნირს არ ცნობენ და მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებებს აღიარებენ. ასეც რომ ყოფილიყო, ოფიციალურ ორგანიზაციებთან პრობლემა შეექმნებოდათ არა მხოლოდ მათ, არამედ მათი ქვეყნის მთავარ საფეხბურთო კავშირებსაც და ფიფა-უეფადან გარიცხავდნენ. არ გამოვრიცხავ, სია მტკნარი სიცრუე იყოს. უმრავლესობას ნამდვილ ფუტსალთან შეხება არც გააჩნია. რატომ გაწევრიანდნენ რუსები? იქაც არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთის ფეხბურთის ფედერაციას ებრძვიან, სომხებსაც ჰყავთ თავიანთი ალტერნატივა.

ამ ტურნირის გამართვა ერთ ძველ ანეკდოტს მაგონებს, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი რომ ყვირის, ნაპოლეონი ვარო - ამ ყვირილით ნაპოლეონი გახდება?

**- თუ სეპარატისტული მოძრაობაა, სხვადასხვა ქვეყნების ვიზებს როგორ იღებენ?**

- რაც შეეხება სავიზო პრობლემებს, უმეტესობას საკონსულოსთან ურთიერთობა არც სჭირდება, რადგან კოლუმბია, ფაქტობრივად, ღია ქვეყანაა შენგენის ქვეყნების მოქალაქეებისთვის, პრობლემები არც სხვებს ექმნებათ და, სავარაუდოდ, სავიზო პრობლემის მოგვარებაზე კოლუმბიის ოლიმპიური კომიტეტიც იზრუნებდა.

**- ტურნირი კოლუმბიის ოლიმპიურ კომიტეტის მხარდაჭერით ტარდება. ამის გამო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პრობლემები არ ექმნებათ?**

- საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ინფორმაციას დღესვე გადავუგზავნი და იმედია, სამინისტრო კოლუმბიელ კოლეგებს დროულად შეეხმიანება, რათა ვითარებაში გაერკვნენ. ალბათ, საჭირო გახდება საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტის თანადგომაც.

ცხადია, ამ ყველაფერში საინტერესო ისსა, ვის რა მოტივი ამოძრავებს? კოლუმბიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბალთაზარ მედინა მსოფლიოს ჩემპიონატის კოლუმბიაში ჩატარებას მიესალმა, ანუ მხარს უჭერს სეპარატისტულ ფრთას. არადა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ცნობს მარტო ფიფას მიერ აღიარებულ ფუტსალს. სტატიიდან გავარკვიე, მედინა იმდოვნებს რომ, სპორტი კოლუმბიას დაეხმარება ძალადობის დაძლევაში, საერთაშორისო სარბიელზე იმიჯის გამოსწორებასა და ქვეყნის სტუმართმოყვარეობის წარმოაჩენაში – კოლუმბიელების მოტივი ეს არის. ოსების და მათი მფარველი რუსების მოტივიც მარტივი ასახსნელია: თავად ამბობენ, სამხრეთ ოსეთი ჰყავვისო და ამის დემონსტრირება სპორტით სურთ. ეს არის ელემენტარული პროპაგანდისტული ტრიუკი – შეხედეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობთო, მაგრამ ეს ძალიან არასერიოზული მცდელობაა.

საქართველო ოსებისა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნული უმცირესობების საერთაშორისო იზოლაციას არ ცდილობს, პირიქით, მათთვის აჯობებს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება და საქართველოს ჩემპიონატში ჩართვა, ჩვენს ნაკრებში თამაში. მაგრამ, თუ საქართველოს გაგონება არ სურთ, კეთილი ინებონ და რუსეთის სახელით ითამაშონ. სამაჩაბლოს საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელ ქვეყნად წარმოჩენის მცდელობას კი რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ეროვნული ნაკრები

# უეფამ ყველაფერი ქაქალ-ქაქალ დათვალა

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე ევრო 2012-ის შესარჩევ ტურნირში მონაწილე ნაკრებების სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებელია გამოქვეყნებული და მოდი, საქართველოს ნაკრებისა და მისი მეტოქეების მონაგარს გადავხედოთ.

ჩვენს გუნდს ოთხ მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი. ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქის კარის ჩარჩოში ბურთი 15-ჯერ გაგზავნეს, 23-ჯერ კი არაზუსტად დაარტყეს. საქართველოს ნაკრებმა 22 კუთხური მოაწოდა და 54-ჯერ დაჯარიმდა. **თემურ ქეცბაიას** შეგირდებმა 8 გაფრთხილება მიიღეს, გაძევებით კი არავინ გაუძევებიათ.

რაც შეეხება ჩვენს მომავალ მოწინააღმდეგეებს, ხორვატთა მაჩვენებლები შთამბეჭდავია. **სლავენ ბილიჩის** გუნდმა 8 გოლი გაიტანა, კარში 27-ჯერ დაარტყა, არაზუსტად კი 28-ჯერ. ხორვატებმა 26 კუთხური ჩააწოდეს, 47-ჯერ დაჯარიმდნენ და 7 ყვითელი ბარათი მიიღეს.

ისრაელმა 3 ბურთი გაიტანა, დანარჩენი მაჩვენებლები კი ასეთი აქვს: ზუსტი დარტყმა – 15, არაზუსტი – 18, კუთხური – 21, ჯარიმა – 49, გაფრთხილება – 9.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## U17

UEFA UNDER17. CHAMPIONSHIP

# მეორე ნახევარი მაგარი გამოდგა

**ვასილ მაისურაძის** მიერ გაწვრთნილმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთის ქალაქ კუშადასის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება ვერ შეძლო - ქართველებმა ფინალში დასავლეთ თურქეთის ნაკრებთან 0:3 წააგეს. შედეგი, რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი საერთაშორისო გამოცდილების მიღება იყო და თურქულმა ვოიაჟმა ეს მისია კარგად შეასრულა. ურიგო შედეგი არც მეორე ადგილია, ასეთი სხვაობით განცდილი მარცხისგან კი, იმედია, გუნდის სამწვრთნელო შტაბი და ფეხბურთელები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

შეგახსენებთ, სასტარტო მატჩში ქართველებმა **დავით ჯიქიას, ილია კერძევაძისა** და **ალექსანდრე მზევაშვილის** გოლებით მაკედონიელი თანატოლები 3:0 გაანადგურეს, მეორე ტურში კი აღმოსავლეთ თურქეთის ნაკრებთან 1:1 ითამაშეს. გოლი კერძევაძის ანგარიშზეა. ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადიოდა და ბოლო ტურში მაისურაძის გუნდს სტამბოლის ნაკრებთან რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოგება სჭირდებოდა. ქართველმა 17-წლამდელებმა დამაჯერებლად, 3:1 გაიმარჯვეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. გოლები **ნიკა ახვლედიანმა, გიორგი როსტიაშვილმა** და **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა** გაიტანეს.

ჩვენი 17-წლამდელების მთავარი მწვრთნელი ფინალამდე გუნდის თამაშითაც კმაყოფილი იყო და ტურნირის დონითაც. მაისურაძის თქმით, შეჯიბრების მჭიდრო კალენდარმა ფეხბურთელები ცოტა დაღალა, მაგრამ გამარჯვებისთვის ცდა არ დაუკლიათ. მწვრთნელებმა ისიც შენიშნეს, რომ საქართველოს ნაკრების წევრებს ყველაზე მეტად ფიზიკურ მომზადებაზე მუშაობა მართებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კარგ ფეხზე

## ჩემპიონობა, ევროთასის ჯგუფი, თასი და ნაკრები

# კახა ალადაშვილს ოთხიდან ერთი ოცნება უკვე აუხდა

იხილე P.S.

**კახა ალადაშვილი "ზესტაფონს" შარშან ზაფხულში შეუერთდა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება არ გასჭირვებია. 27 წლის მარჯვენაფლანგელი ახალ გუნდს კარგად მოერგო და მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად და სასარგებლოდ მოქმედებს.**

**საქართველოს ჩემპიონობა და წარმატება ევროტურნირზე – ასეთია ალადაშვილის უახლოესი მიზნები.**

**- უპირველესად, ფოთის "კოლხეთთან" ჩატარებული მატჩი გავიხსენოთ. რატომ დაკარგა "ზესტაფონმა" გაუთვალისწინებელი ქულები?**

- მიზეზების პოვნა ძალიან მიჭირს. ყველაფერი, ალბათ, უილბლობის ბრალია. რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, შესანიშნავად ითამაშა მეტოქე გუნდის მეკარემ... მოედანზე ნაკლებად მოტივირებულები ნამდვილად არ გავსულვართ, მაგრამ მაინც გვეგონა, რომ ამ მატჩს ადვილად მოვიგებდით. წინა ტურში ხომ ზუგდიდის "ბაია" 6:1 გავანადგურეთ.

**- ბოლო შეხვედრის შედეგი ხასიათს ძალიან გაგიფუჭებდათ.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ლიდერებად ვრჩებით და დიდი იმედი მაქვს, რომ მსგავსი რამ აღარ დაგვემართება. მომავალი მატჩიც აუტსაიდერთან გვაქვს და მასთან გამარჯვებისთვის დიდი მობილიზება დაგვჭირდება. სამწუხაროდ, დისკვალიფიკაციის გამო სამტრედიაში ვერ ვითამაშებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბიჭები მიზანს უჩემოდაც მიაღწევენ. "კოლხეთთან" მატჩით ძალიან სასარგებლო გაკვეთილი მივიღეთ და ასეთ უსიამოვნებაში მეორედ მოხვედრას აღარ ვაპირებთ.

**- უკვე რამდენიმე თვეა, რაც "ზესტაფონის" ფეხბურთელი ხარ და როგორ ფიქრობ, საქართველოში დაბრუნებით სწორი გადაწყვეტილება მიიღე?**

- საზღვარგარეთ აუწყობელ კარიერას სამშობლოში დაბრუნება მერჩივნა და შემიძლია ვთქვა, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. "ზესტაფონში" თბილად მიმიღეს და უცებ გავშინაურდი. თავს კომფორტულად ვგრძნობ როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმა.

**- უცხოეთში რატომ ვერ აგეწყო კარიერა?**

- ბევრი ფაქტორის გამო, მაგრამ ამის მიზეზებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში ვეძებ. ნაადრევად მომივიდა ისეთ ძლიერ კლუბში წასვლა, როგორიც კიევის "დინამოა". იქ ცოტა გვიან რომ გადავსულიყავი, დარწმუნებული ვარ, "დინამოში" დამკვიდრებას შევძლებდი. რაც იყო, იყო, გამოუცდელი ვიყავი და არასწორი გადაწყვეტილება მივიღე, ახლა კი ყველაფერს უკეთ ვაანალიზებ და ვფიქრობ, სწორ გზას ვირჩევ ხოლმე.

**- ესპანურ შეკრებაზე კიეველებთან მატჩში, ალბათ, განსაკუთრებული მოტივაციით ითამაშე.**

- ასეა, მაგრამ ჩემზე არანაკლებ მონდომებულები იყვნენ "ზესტაფონის" სხვა წევრები. საერთოდ, კიევის "დინამო" ტესტმატჩებსაც სრული სერიოზულობით ეკიდება და მისი მწვრთნელები შედეგს ასეთ დროსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩვენი მიზანი გამარჯვება იყო, ასეთი დონის მოწინააღმდეგესთან კი ფრეც მისაღები შედეგია. მართალია, მატჩისშემდგომ თერთმეტმეტრიანებში დავმარცხდით, მაგრამ მთავარი მაინც ძირითად დროში დაფიქსირებული შედეგია. კიევის "დინამოში" ჩემი ყოფილი თანაგუნდელები ძალიან თბილად შემხვდნენ. კიევში ხომ წლები გავატარე და იქ ბევრი მეგობარი შევიძინე. როგორც იცით, ესპანეთში ოთხი ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ, მათ შორის სამი – ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში გასულ გუნდებთან. ეს იმიტომ, რომ ევროთასებზე ძლიერ გუნდებთან თამაშისთვის მზად ვყოფილიყავით და სახელიანი მეტოქის წინაშე კომპლექსი არ გვქონოდა. პრაღის "სპარტასთან" განცდილ მარცხს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ყველა მატჩში ღირსეულ შედეგს მივაღწიეთ, რამაც საკუთარი ძალების რწმენა გაგვიძლიერა.



კახა ალადაშვილი

**- კიდევ რამდენი ხანი შეიძლება გიხილოთ "ზესტაფონის" მაისურით?**

- კლუბთან კონტრაქტი ერთს პლუს ერთი სისტემით მაქვს გაფორმებული და წასვლაზე საერთოდ არ მიფიქრია. ძალიან მინდა საქართველოს ჩემპიონობა და ამ ტიტულის მოსაგებად მე და ჩემი თანაგუნდელები ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, შემდეგ კი ევროთასები იწყება და იქაც შეგვიძლია საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. შარშან ევროტურნირზე "ზესტაფონმა" დიდი გამოცდილება მიიღო და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში წარმატების გაცილებით მეტი შანსი გვექნება. ჩემი ოცნება ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშია. მე და შოთა გრიგალაშვილს თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ეს ბედნიერება უკვე გამოცდილი გვაქვს, "დინამო" ჯგუფში გია გეგუჩაძემ გაიყვანია და რაკი იქ ერთხელ უკვე გვითამაშია, რატომ ვერ უნდა შევძლოთ იგივე გამეორება "ზესტაფონთან" ერთად?!

**- ეყოფა თუ არა "ზესტაფონს" ძალები ერთდროულად ჩემპიონობისა და თასისთვის ბრძოლაში?**

- აუცილებლად ეყოფა, რადგან გუნდში ძალიან დიდი კონკურენციაა, თითო პოზიციაზე მწვრთნელს ორი სრულფასოვანი ფეხბურთელი ჰყავს და გადაღლილობის პრობლემა არ შეგვექმნება. ნამდვილად შეგვწევს დუბლის შესრულების ძალა და ორივე ფრონტზე ტიტულისთვის ვიბრძვით. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ორივეგან ძლიერი კონკურენტები გვყავს და გამარჯვება იოლი არ იქნება. "დინამოცა" და "ოლიმპიც" სერიოზული მეტოქეები არიან და საჩემპიონო ბრძოლა ძალიან დაძაბული იქნება, მაგრამ მჯერა, რომ ყველას ვაჯობებთ.

**- თამაში მარჯვენა მცველად გირჩევნია თუ ნახევარდაცვის ამავე ფლანგზე?**

- ბოლო წლებში უფრო მცველად ჩამოვყალიბდი და რამდენიმე გამონაკლისის გარდა, "ზესტაფონის" შემადგენლობაში ყველა მატჩი სწორედ ამ პოზიციაზე ჩავატარე. მეც ასე მირჩევნია. ნახევარმცველად გატარებულმა პერიოდმა კი შეტევაში ნაყოფიერად თამაში მასწავლა და იერიშებში ახლაც ხშირად ვერთვები.

**- საქართველოში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდი. რა სხვაობა დაინახე ჩვენი ჩემპიონატის მაშინდელ და ამჟამინდელ დონეებს შორის?**

- უმნიშვნელოდ, მაგრამ ჩემპიონატის დონე მაინც ამაღლებული მგონია. თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონობისთვის უფრო მეტი გუნდი იბრძვის და ქულების მოპოვება უმაღლესი ლიგის ნებისმიერ ბინადართან ჭირს. ჩვენი მთავარი პრობლემა მაღალი დონის მოედნების დეფიციტია. თუ ეს მოგვარდა, ქართულ ფეხბურთს ეშველება.

**- ბოლოს სანაკრებო თემასაც შევეხოთ. წლების წინ ეროვნული ნაკრების შეუცვლელი წევრი იყავი, მაგრამ დიდი ხანია, იქ აღარ გითამაშია.**

- ყველაფერი საფრანგეთთან ჩატარებულმა მატჩმა შეცვალა. ანრის, მალუდასა და აბიდალის წინააღმდეგ მომიწია თამაშმა და რა დასამალია, ეს კარგად ვერ გამომივიდა. თუმცა ის მარცხი მხოლოდ ჩემი ბრალი არ ყოფილა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ იმ შეხვედრის შემდეგ, ანუ 2006 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, ეროვნულ ნაკრებში თამაშის საშუალება აღარ მომცემია. ამის იმედი არ დამიკარგავს და შევეცდები, დაუღალავი შრომით ნაკრების მაისურა დავიბრუნო. ეს ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი საფეხბურთო ოცნებაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

*P.S. გუშინ შევიტყვეთ, რომ თემურ ქეცბაიამ ალადაშვილი ხორვატიასა და ისრაელთან ჩასატარებელი შეხვედრებისთვის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა...*

კოლხეთი

# სიტუაცია SOS: სოსოს დაუძახეთ!

## ფილიას სიტყვა ფოთის თავებთან: კოლხეთი ერთად გადავარჩინოთ



სოსო ფილია (მარცხნივ) და ნუგზარ მიქაბერიძე

მას შემდეგ, რაც **ბესიკ შეროზიამ** ფოთის „კოლხეთი" დატოვა, წინა ტურში, ზესტაფონში ფოთელები სათამაშოდ **დავით მახარაძემ** გაიყვანა და კლუბს ლიდერთან ქულა მოაპოვებინა. გასაკვირი არ იქნებოდა, რომ ამ სენსაციის მთავარი შემოქმედი მთავარ მწვრთნელად დაენიშნათ. თუმცა, როგორც გუშინ შევიტყვეთ ფოთის „კოლხეთის" თავკაცის ადგილი **სოსო ფილიამ** დაიკავა. გამოცდილი სპეციალისტი აქამდე არაერთხელ ედგა სათავეში მშობლიურ კლუბს და წარმატებებიც ჰქონდა. მისი გუშინდელი დაბრუნება რიგით მეოთხეა!

როგორც გავიგეთ, ფილია ფეხბურთელებს ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად შეხვდა. ამ შეხვედრაზე მობურთალებს თანხის ნაწილი დაურიგეს, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ახალი მწვრთნელის სიტყვა ყოფილა ქალაქის თავკაცებისადმი მიმართული - მოვედი, რათა „კოლხეთი" გადავარჩინოთ, თუ გვერდში არ დამიდგებით - როგორც მოვედი, ისე წავალო! ძნელი სათქმელია, რამდენად შეასრულებს ქალაქი დაპირებას, თუმცა ფაქტია, რომ ფოთში ახალი, ფილიას მორიგი ხანა იწყება, რაც მინიმუმ იმის ნიშანია, რომ „კოლხეთი" ბოლომდე იბრძოლებს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

რა თქმა უნდა, ამბის გაგებისთანავე ფილიასთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ მან ჩვენს ზარებს არც მესიჯის გაგზავნის შემდეგ უპასუხა. როგორც მისმა თანაშემწემ, დავით მახარაძემ გვითხრა — მთავარი მწვრთნელი მერიაში ქალაქის თავებთან შეხვედრაზე იმყოფებოდა. *„დიახ, ვადასტურებ, რომ კლუბში სოსო ფილია მოვიდა. სამწვრთნელო შტაბში სხვა ცვლილებებიც მოხდა, თუმცა ჯობს, ამის შესახებ თავად მას დაეკითხოთ. ერთი შემიძლია გითხრათ, მე კლუბში ვრჩები. ახლა ბატონი სოსო ქალაქის მერთან იმყოფება შეხვედრაზე და ალბათ, ამიტომაც ვერ გპასუხობთ"* — გვითხრა დავით მახარაძემ.

ჩვენი ინფორმაციით, სოსო ფილიას დავით მახარაძესთან ერთად „ძველი გვარდიაც" დაეხმარება - **ნუგზარ მიქაბერიძე** და **მამუკა მიქავა**. ეს უკანასკნელი მეკარეებს გაწვრთნის, ხოლო მთავარი მწვრთნელის ასისტენტი მახარაძე იქნება.

აქვე გეტყვით, რომ ბოლო დროს სოსო ფილია ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებში ფეხბურთის ფედერაციის დელეგატი გახლდათ. ბოლოს ეს ფუნქცია „სამტრედია"-„ტორპედოს" იმერული დერბისას შეასრულა.

გუშინ, გვიან საღამოს, სოსო ფილიასთან დაკავშირება მოვახერხეთ. *„ნებისმიერ დროს, როცა „კოლხეთს" ჩემი თავი დასჭირდებოდა, ვალდებული ვიყავი, დაბრუნების გადაწყვეტილება მიმეღო. ნურავინ ჩამოგვწერს, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ"* — გვითხრა „კოლხეთის" ძველ-ახალმა თავკაცმა. მასთან უფრო ვრცელ საუბარს გეგმებისა და მიზნების შესახებ ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**მამუკა ქანთარია**

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ!!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე!

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

დინამოელებო – გაერთიანდით!
დინამოს გვერდით ყოფნა უკვე საამაყოა!
აქ 90 წუთი თავდადებაა!
გაწევრიანება – უფასოა
გულშემატკივრობა – სავალდებულო!
ჩვენ ვართ დინამო!
ჩვენ ვართ გლადიატორები!

F.C. DINAMO TBILISI
დინამო თბილისი

დინამოს ფან-კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც უყვარს ჩვენი გუნდი და შეუძლია 90 წუთის განმავლობაში დინამოს მე-12 ფეხბურთელად იქცეს. ფან-კლუბის წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთებით და ტრანსპორტირებით გასვლით მატჩებზე. გამორჩეულ ფანებს გადაეცემათ კლუბის მაისურები და სხვა ატრიბუტიკა.

დაგვიკავშირდით: 893 35-80-14 874 77-77-84

ლეგიონი

# ადამიას გააქვს: უკვე 11 გოლი აქვს

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ჩემპიონატი ორ ექვსეულად გაგრძელდა, პირველი ჩემპიონობისთვის იბრძვის, მეორე - ადგილის შენარჩუნებისთვის. საჩემპიონო ჯგუფში დიდ ინტერესს იწვევდა ქართველთა „ინტერისა" და „ყარაბახის" მატჩი, სადაც მხოლოდ ერთი ჩვენებურია - **გიორგი ადამია. კახა ცხადაძემ** სასტარტოში **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, დავით ოდიკაძე** და **კახა მუავანაძე** ათამაშა, ასევე სასტარტოში იყო გიორგი ადამიაც, რომელმაც 74-ე წუთზე სტუმართა მე-2 გოლი გაიტანა - 0:2. მატჩს 1 500 მაყურებელი დაესწრო. „ინტერი" 40 ქულით მეოთხეა, ჩემპიონი უკვე 11 ქულით ჩამორჩება დაწინაურებულ „ნეფთჩის". ადამია ჩინებულ ფორმაშია, სეზონის 22 მატჩში 11 გოლი გაიტანა, მისი „ყარაბახი" კი 45 ქულით მე-3 ადგილზეა. ადამია ბომბარდირთა დავაში მეორეა და „ნეფთჩის" უზბეკ ფორვარდ **ნასიმოვს** 4 გოლით ჩამორჩება. „აზერიფუტბოლის" ცნობით, თამაშის შემდეგ კლუბის საპატიო პრეზიდენტმა **ჯახანგირ გაჯიევმა** 2-საათიანი თათბირი მოაწყო, რომელსაც პრეზიდენტი **გეორგი ნიკოლოვი** და კახა ცხადაძე ესწრებოდნენ.

მოულოდნელობა დაფიქსირდა იმავე „შაფაზე" ერთი დღის შემდეგაც - აზალ-მა „ხაზარს" 1:0 მოუგო (ამ შეხვედრას 4 ათასი მაყურებელი დაესწრო), მასპინძელთა 10-მა ნომერმა **ნუგზარ კვირტიამ** 90 წუთი ითამაშა. აზალი 39 ქულით მე-5 ადგილზეა.

ერთი ქართული გოლი ქვედა ექვსეულშიც გავიდა - „მუღანის" 23 წლის ნახევარმცველმა **გიორგი გულორდავამ** სტუმრად „სიმურგთან" 94-ე წუთზე გაიტანა, „მუღანმა" მატჩი 3:1 მოიგო. ეს კლუბი 30 ქულით მე-8 ადგილზეა. კაპიტან **გოგა ბერაიას** „გაბალა" მოიკ-ს ესტუმრა და 1:1 დაუზავდა, ჩვენებურმა მე-2 ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. „გაბალა" 32 ქულით მე-7 ადგილზეა.

„თურანმა" „განჯა" 1:0 დაამარცხა. მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშა თავდამსხმელმა **გიორგი ბერიაშვილმა**, 85-ე წუთზე შემოვიდა **ოლეგ გველესიანი**. „განჯაში" **ზურაბ ძამსაშვილი** სათადარიგო იყო. „განჯა" 24 ქულით მე-9 ადგილზეა, ხოლო „თურანი" 18 ქულით - მეათეზე.

კიდევ ერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა, სადაც ქართველ ლეგიონერთა სიმრავლეა, მოლდოვაა. ამ ქვეყნის ნაციონალურ დივიზიონში 27-ე ტურის მატჩები გაიმართა. ტური ლიდერმა „დაჩიამ" დაიწყო, რომელმაც შინ აუტსაიდერი „სფინტულ გეორგე" გაანადგურა - 3:0. „დაჩიას" ქართველთაგან მხოლოდ **დავით გამეზარდაშვილმა** ითამაშა და ისიც მე-60 წუთზე შეცვალეს. „დაჩია" 62 ქულით პირველია, მაგრამ მას კვალში „შერიფი" უდგას, რომელსაც 60 ქულა აქვს.

» მე-5 გვერდზე

საქართველოს ჩემპიონატი

XXIV ტურის მიმოხილვა

# არც ვარაუდი, აღარც პროგნოზი...

სულ მალე საქართველოს ჩემპიონატი ერთ-ერთი ძნელად „პროგნოზირებადი" ტურნირი გახდება, — ყოველ შემთხვევაში, გასულ ტურში ისეთი „მასშტაბის" სენსაცია დაფიქსირდა, სეზონის დაწყებიდან მსგავსი რომ არ ყოფილა. საერთოდაც, ამა თუ იმ წყვილში „ფავორიტისა" თუ „აუტსაიდერის" წინასწარ განსაზღვრაც გაგვიჭირდება, — მით უფრო, რომ სეზონის ბოლოსკენ უცნაური შედეგით დასრულებული არაერთი მატჩის მოლოდინშიც უნდა ვიყოთ. ჰო, პროგნოზი მართლაც ძნელი საქმეა და ამაში თავად დარწმუნდებით, თუ XXIV ტურის წინათქმაში გამოთქმულ ჩვენს ვარაუდებს კიდევ ერთხელ გაეცნობით; აი, რას ვწერდით: „...წინა ტურში რაც გვენიშნა, აშკარა გაზრდილი შედეგიანობა იყო — ხუთ მატჩში 14 გოლი გავიდა. იმედი დავიტოვოთ, რომ ეს მაჩვენებელი ამ ტურში კიდევ უფრო გაიზრდება; მით უფრო, რომ ხუთიდან სამი ისეთი წყვილია, სადაც ერთი გუნდის მიერ მეორის დიდი ანგარიშით დამარცხება არავის უნდა გაუკვირდეს. საერთოდაც, მეორე ეტაპზე მატჩების უმრავლესობა (საწყისი ტურის გარდა) მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი შედეგებით მთავრდება და გულახდილად რომ ვთქვათ, ამ ტურშიც „ლოგიკურ" ანგარიშებს ველოდებით. ალბათ, ამის გამოც „გავკადნიერდებით" და ვიტყვით, რომ ამ ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მხოლოდ და მხოლოდ ერთ გადაადგილებას ველოდებით". რეალურად კი ასეთი „სურათი" მივიღეთ: წინასთან შედარებით, ტურში ერთით ნაკლები გოლი გავიდა და „დინამო" რომ არ მოსულიყო გოლის იშტაზე, მართლაც „ჩვეულებრივი" ტური იქნებოდა; დიდი ანგარიშითაც მხოლოდ ერთადერთი მატჩი დამთავრდა (არადა, სულ მცირე, სამს ვვარაუდობდით) და რაც მთავარია, სატურნირო ცხრილშიც არც ერთი გადაადგილება არ მომხდარა! სამაგიეროდ, „ზესტაფონის" მოულოდნელმა წაფორხილებამ და „ოლიმპის" „დაგეგმილმა" გამარჯვებამ საჩემპიონო ინტრიგა გაამძაფრა; იმავეს ვიტყოდით ცხრილის ქვედა ნაწილში განვითარებულ მოვლენებზეც: ჩემპიონატის ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტთან სტუმრად ნათამაშები ფრის წყალობით „კოლხეთი" ქულებით „სპარტაკს" გაუთანაბრდა და მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეხვედრებში უარყოფითი ბალანსის გამო ჩამორჩება. არადა, როგორ „ვამტკიცებდით", გინდა თუ არა, „ლოგიკური ტური" გველოდებაო?!

## რეკორდსმენი დინამო

ტურის მთავარ მოვლენად, რალა თქმა უნდა, „ზესტაფონისა" და „კოლხეთის" ფრედ დამთავრებული შეხვედრა უნდა მივიჩნიოთ; არადა, ამ მატჩამდე **გია გეგუჩაძის** გუნდს საკუთარ მოედანზე 10 შეხვედრა ჰქონდა მოგებული და ერთიც — წაგებული. და აი, პირველი საშინაო ფრეც, რამაც „ოლიმპს" ერთპიროვანულ ლიდერთან მიახლოების საშუალება მისცა და ამას გარდა, XXIV ტურის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ყველაზე უკომპრომისო გუნდად „ვიტ ჯორჯია" რჩება (**მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს ყველაზე ნაკლები, 2 ფრე აქვს ნათამაშები). თუმცა გასულ ტურში სხვა განსაკუთრებული ფაქტებიც მოხდა: „დინამო"-„სამტრედიას" მატჩში 8 გოლი გავიდა, რაც ამ სეზონის სარეკორდო მაჩვენებელია. არადა, დიდი შანსი იყო, რომ „დინამოს" სეზონის შედეგიანობის რეკორდი გაემეორებინა: აქამდე ყველაზე დიდი ანგარიშით „ზესტაფონს" ჰქონდა მოგებული და „რეკორდის" მონაწილე მაშინაც „სამტრედია" იყო, როცა იმერულ დერბიში მეტოქისაგან შვიდი უპასუხო გოლი მიიღო. ახლაც თითქმის იგივე მეორდებოდა, მაგრამ მატჩის მიწურულს, „სამტრედიას" ახალგაზრდა შემტევმა **მურად გოგიშვილმა** „დინამოს" კარში პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. სხვათა შორის, ეს გოგიშვილისთვის სადებიუტო გოლი იყო უმაღლეს ლიგაში, ისე როგორც დინამოელი **ზურაბ არზიანისთვის**; ისე, რახან დებიუტი ვახსენეთ, „სამტრედიას" მეკარე **დავით კეკელიძეზეც** უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვით: 21 წლის ფეხბურთელმა უმაღლეს ლიგაში პირველი შეხვედრა ჩაატარა და შვიდი გაშვებული ბურთის მიუხედავად, არა მხოლოდ საკუთარ გუნდში, საერთოდ ამ მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ! ჰო, მართლაც უცნაურია, მაგრამ „დინამო"-„სამტრედიის" დაპირისპირების ყველა თვითმხილველი დაგვეთანხმება, რომ კეკელიძემ, სულ მცირე, ათჯერ (!) მაინც გადაარჩინა საკუთარი კარი...

ისევ „დინამოს" დავუბრუნდეთ და ამჯერად ამ გუნდის... დუბლშემადგენლობის მიღწევაზე გვინდა ვთქვათ. მოკლედ, უფროსებმა ხომ დიდი ანგარიშით მოუგეს „სამტრედიას" (7:1), ორი დღის მერე **რამაზ მუმლაძის** დამოძღვრილმა „დინამოს" დუბლშემადგენლობამ ეს მიღწევა გააუმჯობესა და „სამტრედიის" დუბლებს 7:0 მოუგო (გოლები გაიტანეს — **კვერნაძემ-3, ლექვთაძემ-2, ჟვანიამ, ვაშაკიძემ**). „დინამოს" დუბლშემადგენლობაში ირაკლი ლექვთაძის გარდა, რამდენიმე ისეთმა ფეხბურთელმაც ითამაშა, ძირითადში მოსახვედრად პრეტენზია რომ აქვთ: **გიორგი თექთურმანიძემ, მარკო მაროვიჩმა, გიორგი ციმაკურიძემ, ირაკლი სიხარულიძემ.** ამ შეხვედრას „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** და მისი ასისტენტი **ზაურ სვანაძე** რომ დაესწრებოდნენ, ეს არავის უნდა გაჰკვირვებოდა. სამაგიეროდ, ბევრისთვის მოულოდნელად, „დინამოს" უახლოესი რეზერვის სანახავად კლუბის პრეზიდენტი **რომან ფიფია** და მთავარი მენეჯერი **ზურაბ პოლოლიკაშვილიც** მივიდნენ. აქვე იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელიაც**, ვინც (ისევე როგორც ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელი **სოსო ჭედია**) მანამდე ორი დღის განმავლობაში რუსთავში იმყოფებოდა და ჯერ „სამტრედია"-„დინამოს" მატჩს უცქერდა, მერე კი — „ოლიმპი"-„ბაიას" შეხვედრას.




## წყვილ-წყვილი გოლები

გასული ტური იმითაც იყო გამორჩეული, რომ ერთდროულად სამმა ფეხბურთელმა შეძლო „დუბლის" შესრულება: **ლევან ხმალაძემ, დონალდ ჯუისმა** (ორივე-„დინამო") და **გიორგი მეგრელაძემ** („ტორპედო"). სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად მოხდა, ქუთაისის „ტორპედომ" ... ორბურთიანი სხვაობით რომ გაიმარჯვა! რაც შეეხება ხმალაძეს, ამ უნივერსალურ ფეხბურთელს უკვე 6 გოლი დაუგროვდა და დღესდღეობით „დინამოს" საუკეთესო ბომბარდირია. ჯუისის მიღწევაც არანაკლებ დასაფასებელია - „დინამოს" კამერუნელმა ლეგიონერმა შეცვლაზე შემოსულმა მოახერხა „დუბლის" შესრულება. თუმცა, მსგავსი შემთხვევა ამ სეზონში არაერთი იყო და ამის ნათელი დადასტურებაა **რატი წინამძღვრიშვილი** - „ზესტაფონის" ფორვარდმა ყველაზე მეტჯერ (ოთხჯერ) შეასრულა „დუბლი" და ოთხივეჯერ შეცვლაზე შემოსულმა იყოჩაღა. სამ-სამჯერ შეასრულეს „დუბლი" **გიორგი მეგრელაძემ** და **ჯაბა დვალმა,** ხოლო ზემოთ ნახსენები ხმალაძისა და ჯუისის გარდა, თითო-თითოჯერ შეძლეს ერთ მატჩში მეტოქის კარში ორი გოლის გატანა შემდეგმა ფეხბურთელებმა: **ვახტანგ კვარაცხელიამ, ჯაბა ლიპარტიამ** (ორივე-„ვიტ ჯორჯია"), **ლაშა კემუხტაშვილმა** („ტორპედო"), **ტიერი-ანს კლოვისმა, მიხეილ ბარაბაძემ, თემურ შონიამ** (სამივე-„სპარტაკი"), **ირაკლი ეხვაიამ, დავით რიგვავამ** (ორივე - „ბაია"), **ბუბა დაუშვილმა, ნიკოლოზ გელაშვილმა, თორნიკე აფციაურმა** (სამივე-„ზესტაფონი"), **ირაკლი მოდებაძემ** („ოლიმპი"), **ირაკლი ლექვთაძემ** („დინამო"), **დავით ციცხვაიამ** („კოლხეთი").

## გოლის გემო

ჩემპიონატის ბოლომდე საინტერესო „ბრძოლას" გვპირდება ბომბარდირთა შორის დავა: ბევრისთვის მოულოდნელად, „ზესტაფონის" თავდამსხმელთა „ტრიომ" (**ნიკოლოზ გელაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი, ჯაბა დვალი**) თავის აქტივს ამ ტურში ვერც ერთი გოლი ვერ შემატა; სამაგიეროდ, თავი გამოიჩინეს მათმა კონკურენტებმა — **ირაკლი მოდებაძემ** („ოლიმპი") და **გიორგი მეგრელაძემ** („ტორპედო"). დღესდღეობით კი ბომბარდირთა სიას 12 გოლით ნიკოლოზ გელაშვილი ლიდერობს, მაგრამ „მდევრები" ისე ახლოს არიან, რომ სიტუაცია შესაძლოა ყოველი ტურის შემდეგ შეიცვალოს: რატი წინამძღვრიშვილმა და ირაკლი მოდებაძემ 11-11 გოლი გაიტანეს, ჯაბა დვალმა და გიორგი მეგრელაძემ კი - 10-10. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, მართლაც, უნიკალურ რეკორდზე მიდის: პირველ ეტაპზე 6 გოლი „ბაიას" შემადგენლობაში გაიტანა და დღემდე ამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირია; ზამთრის პაუზის შემდეგ მეგრელაძე მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში" დაბრუნდა და ამ ერთი თვის განმავლობაში 4 გატანილი გოლით ახალ გუნდშიც საუკეთესო მაჩვენებელი აქვს! ისე, მეგრელაძემ ასეთი „ტემპით" თუ გააგრძელა ასპარეზობა, ვინ იცის, იქნებ **ზურაბ იონანიძის,** ერთი შეხედვით, სამუდამო რეკორდსაც... საფრთხე დაემუქროს; შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე შედეგიან ფეხბურთელს ზურაბ იონანიძეს მეტოქეთა კარში 216 გოლი აქვს გატანილი; თუმცა, მისი შედეგის გასაუმჯობესებლად მეგრელაძეს ამ სეზონშიც შესაშური აქტიურობა მართებს და სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში ჩემპიონატი 30-ზე ნაკლები გოლით არ უნდა დაასრულოს. რა თქმა უნდა, ერთობ ძნელი მისაღწევია იმ მართლაც ხელშეუხებელ რეკორდთან მიახლოება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მეგრელაძის დამატებით „ტორპედოს" შედეგიანობამ მკვეთრად მოიმატა. მართალია, უმაღლეს ლიგაში მეტოქეთა კარში ყველაზე ცოტა ბურთი (14) კვლავაც „ტორპედოს" აქვს გატანილი, მაგრამ გვჯერა, რომ მეგრელაძის მსგავსად ამ გუნდის სხვა ფეხბურთელებიც გაიხსენებენ „გოლის გემოს"...

**გია ტუხაშვილი**


მარცხნიდან: კახა კაჭარავა, ზურაბ პოლოლიკაშვილი, რომან ფიფია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## I ლიგა. XX ტური

### ბათუმი-იმერეთი 3:0

9.03. ბათუმი. ადელი. 300 მაყურებელი

1:0 გ. კაჭკაჭიშვილი (34), 2:0 თ. ბერიძე (64), 3:0 მ. კაკალაძე (89).

ბათუმი: რ. თევდორაძე, ლ. რამიშვილი, გ. კაჭკაჭიშვილი, ნ. ხუხია, კ. მაკარიანი (41. თ. ბერიძე), გ. მანწკავა, დ. სომხიშვილი, ე. გრიგალაშვილი (82. ა. ბაჯელიძე), ზ. ხაჭიპერაძე, ა. ბაციკაძე (58. ნ. დიასამიძე), მ. კაკალაძე.

*სათადარიგოები:* მ. ჯორბენაძე, გ. გოგიტიძე, მ. ჟვანია, თ. კაკალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

იმერეთი: ი. შენგელია, თ. ხარებავა, ვ. ბრეგვაძე, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი (77. მ. უგლავა), ლ. კირკიტაძე, რ. კაშია, გ. გოდერიძე, მ. ჩხარტიშვილი (82. ი. ასათიანი), ბ. ჩხეტიანი (44. გ. ქობალია), რ. კვერნაძე,

*სათადარიგოები:* გ. ნიქაბაძე, რ. გვანცელაძე, დ. კუხალაშვილი, დ. ხაბურძანია.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით ჭელიძე.

გაფრთხილება: მ ჩხარტიშვილი

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

### ჭიათურა-გურია 1:0

10.03. საჩხერე. ხელოვნური. 200 მაყურებელი

1:0 ლ. კობახიძე (6).

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, ა. დოლონაძე, ზ. ნოზაძე (70. ვ. ჭელიძე), ლ. ქურდაძე, ლ. კობახიძე, დ. სევასტოპულო (89. ნ. ტყემალაძე), გ. ცუცქირიძე (58.. გ. ზაბახიძე).

*სათადარიგოები:* ა. დარბაიძე, თ. კურტანიძე, გ. მეცხოვრიშვილი, დ. ტაბატაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან სევასტოპულო

გურია: მ. გოგუაძე, თ. ლომაძე, რ. კუკულაძე, ი. კილაძე, ს. ფირცხალაიშვილი, მ. კოტრიკაძე (52. ლ. რუსიეშვილი), ნ. ტოროტაძე გ. შეწირული (46. თ. სივსივე), გ. კვიტაშვილი (55. გ. თოლორდავა), ტ. კუკულაძე, იაგო დეისაძე.

*სათადარიგოები:* ი. ხვედელიძე, ბ. წერეთელი, ზ. რაზმაძე, გ. კუკულაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ირაკლი ფაცურია

გაფრთხილება: ზ. ნოზაძე, ბ. ჭუმბურიძე; ი. კილაძე, იაგო დეისაძე.

არბიტრი: კობა ჭაჭუა (ქუთაისი)

### ნ/დინამოელი-მარტვილი 0:2

9.03. თბილისი. შატილი. 200 მაყურებელი

0:1 გ. ჟვანია (59), 0:2 ვ. იობაშვილი (67).

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ბერიშვილი, გ. ლომიძე, ვ. კაკაშვილი, ო. გაგნიძე, თ. მარკოზაშვილი (70. გ. თანიაშვილი), ა. ხვთისავრიშვილი, გ. ქვარაია (80. დ. ქიმერიძე), ზ. კვარაცხელია (70. გ. თანიაშვილი), ლ. ლაბარტყავა, ზ. ძაგანია.

*სათადარიგოები:* დ. გლოველი, გ. ხაჭვაძე, ნ. ბიწკინაშვილი, ი. მახათაძე

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

მარტვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, გ. ჟვანია, ლ. ჩალაძე, თ. კაკუშაძე, გ. ილურიძე, გ. წოწორია, ჟ. იატრო (67. დ. ბერუაშვილი), გ. ამბროლაძე (69. მ. ტაპე), გ. თოდუა (56. ა. სუხიაშვილი), ლ. კუჭუხიძე

*სათადარიგოები:* ო. ტორაძე, გ. ბერაია, ი. ფაცაცია, კ. მელიავა

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გ. შუშიაშვილი; ვ. იობაშვილი, ზ. იატრო, ლ. ჩალაძე

არბიტრი: ოთარ ხეცაძე (თბილისი)

### ჩიხურა-მეშახტე 2:0

09.03. საჩხერე. 500 მაყურებელი

1:0 დ. ჩაგელიშვილი (45), 2:0 თ. მუმლაძე

ჩიხურა: შ. დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი, ე. ზივზივაძე, ი. გვეტაძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, გ. ქიმაძე, თ. მუმლაძე (77. ბ. პეტრიაშვილი), ა. ივანიშვილი, მ. მიქაძე, დ. ჩაგელიშვილი (73. დ. ქამუშაძე)

*სათადარიგოები:* გ. ბეგაშვილი, გ. გიორბელიძე, ა. ალავიძე, ი. ტყებუჩავა, ლ. ჩაგელიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**მეშახტე:** ი. ორბელაძე, ა. ქუთათელაძე, ლ. მაჩალაძე, ბ. ბერაია, ა. გუბელაძე, თ. ლვინიაშვილი (81. ბ. ჯიშიაშვილი), გ. ჯიშიაშვილი, ვ. ჭაჭიაშვილი, ვ. აფციაური (84. ა. სახელაშვილი), დ. გოგოლაძე, გ. აბურჯანია

*სათადარიგო:* გ. გვენეტაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ლ. მაჩალაძე, ა. ქუთათელაძე

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

### საური-გაგრა 0:2

09.03. წალენჯიხა. „საშა კვარაცხელია". 300 მაყურებელი

0:1 ი. ხუციძე (12), 1:2 ი. ნაჭყებია (17, საკუთარ კარში)

საური: ვ. ჯომიდავა, გ. აკობია, ე. ფარცვანია, ი. ნაჭყებია, ზ. მოლაშხია (78. ბ. სვანიძე), ლ. რაფავა, ლ. ქანთარია, თ. გერგედავა (70. დ. ჩახაია), ბ. გვილია (54. ბ. გუჯეჯიანი), ლ. გაბუნია, გ. ჭკუასელი.

*სათადარიგოები:* ტ. ხარჩილავა, გ. შელია, ა. მიქენაია, გ. კვირკვია

*მთავარი მწვრთნელი:* ვასო გულორდავა

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე (46. დ. გიგაური), გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნ. ჯიშკარიანი. მ. ნაკონეჩნი (63. თ. მოსიაშვილი), ი. ხუციძე, ლ. შარიქაძე, ვ. ორდინსკი, ა. ოვონიკოკო, გ. გაბედავა (71. შ. კვანტალიანი).

*სათადარიგოები:* ი. მაღრაძე, მ. კობერიძე, ბ. ქართველიშვილი, ნ. ჭკუასელი

*მთავარი მწვრთნელი:* ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: გ. აკობია; თ. მოსიაშვილი

არბიტრი: დავით ხარტონაშვილი (თბილისი)

## I ლიგა. XX ტური

**დილა-კოლხეთი (ხობი) 2:0**

09.03. გორი. „თ. ბურჯანაძე“. 500 მაყურებელი

1:0 დ. რაჟამაშვილი (9), 2:0 რ. გოგინაშვილი (38).

*დილა:* ბ. შეყრილაძე, თ. შათირიშვილი, დ. ბაქრაძე, დ. ჭითანავა, ო. ლომიძე, დ. რაჟამაშვილი, ვ. ჯოჯუა, ნოდარ ნოდარის ძე ნოზაძე (49. ო. ტარიელაშვილი), ა. კვარაცხელია (67. ნოდარ ნიკოლოზის ძე ნოზაძე), რ. გოგინაშვილი, ი. ცნობილაძე (75. დ. ტლაშაძე).

*სათადარიგოები:* ბ. კეჩხუაშვილი, გ. მიხანაშვილი, გ. იჩქითი, გ. ქარქუზაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ცეცაძე

*კოლხეთი:* დ. ხარძეიშვილი, ვ. ფირცხალავა (46. ლ. ჩაჩიბაია), გ. გოგენია, ლ. გოგენია, გ. ფარფალია, ი. კუტალია, მ. ბესარაშვილი, ც. ბუკია (46. კ. გოგენია), მ. ჭკადუა, ბ. ბუკია (75. ლ. მეიშვილი), გ. ლომაია.

*სათადარიგო:* ზ. გელაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* კალისტრატე ხურცილავა

*გაფრთხილება:* მ. ჭკადუა, მ. ბესარაშვილი

*გაძევება:* მ. ჭკადუა

*არბიტრი:* გიორგი დოგრაშვილი (ქუთაისი).

**მერცხალი-სამგურალი 4:3**

09.03. ოზურგეთი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 კ. ნაკაიძე (9), 2:0 გ. მაკასარაშვილი (11), 2:1 გ. ბუხაიძე (21), 2:2 ლ. ნავერიანი (33), 3:2 კ. ნაკაიძე (53), 4:2 ლ. ჩხაიძე (68), 4:3 გ. ბუხაიძე (74).

*მერცხალი:* ს. ვერულიძე, ზ. ტუღუში, გ. ხამაშურიძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, გ. მაკასარაშვილი (46. თ. ცეცხლაძე), კ. ნაკაიძე, ი. ბაჯელიძე (46. ო. ღლონტი), რ. ჭეიშვილი, ლ. ჩხაიძე, სერგო გ. ჩიგოგიძე, ლ. ათუაშვილი (65. ნ. ხინთიბიძე)

*სათადარიგოები:* გ. გოგუა, ლ. კოტრიკაძე, ზ. ქუტიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

*სამგურალი:* შ. ესებუა, ზ. სალინაძე, გ. ჩიხლაძე, ლ. ცხადაძე, ნ. ბაბუაძე, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, ლ. ნავერიანი (70. გ. თევდორაძე), გ. უგულავა (46. ლ. მესხი), გ. ბუხაიძე, მ. მესხი.

*სათადარიგო:* ბ. ფირცხალავა

*მთავარი მწვრთნელი:* ელდარ ჯიმშელეიშვილი

*არბიტრი:* თემურ ხუჭუა (სამტრედია)

**ჩხერიმელა-ადელი 2:0**

09.03. ხარაგაული. „ს. აბაშიძე“. 500 მაყურებელი

1:0 რ. ჩიხლაძე (44), 2:0 კ. ძაგანია (66).

*ჩხერიმელა:* ი. კუჭუხიძე, ც. ხარაბაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ლ. მახარაძე, ვ. ტაბატაძე (88. თ. კიკნაძე), გ. თურმანიძე, ა. ლაბაძე (46. კ. ძაგანია), გ. ზაქარაშვილი (78. ვ. თაბუკაშვილი), რ. ჩიხლაძე, ჯ. ავალიშვილი.

*სათადარიგოები:* მ. ლომსაძე, გ. ხეცურიანი

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ხუნდაძე

*ადელი:* ი. დევაძე, ლ. კვანტალიანი, გ. ზოიძე, ზ. მჟავანაძე (75. გ. სირაბიძე), ნ. ნულუკიძე, დ. ჯალაღანია, მ. ფუტკარაძე, ფ. მორროტიე, გ. გორჯელაძე, ა. აბუსერიძე (60. ნ დავითაძე), გ. ქოქოლაძე.

*სათადარიგოები:* ზ. სეიტიდი, გ. ფალავანდიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გია ჯორბენაძე

*გაფრთხილება:* რ. ჩიხლაძე; გ. ქოქოლაძე, მ. ფუტკარაძე, ლ. კვანტალიანი

*არბიტრი:* ალექსანდრე კრიჟაშვილი (თბილისი)

### XXI ტური

| | |
|---|---|
| სამგურალი-ჩხერიმელა | 0:3 |
| გურია-ნ. დინამო | 5:0 |
| მარტვილი-ჩიხურა | 2:0 |
| გაგრა-დილა | 1:1 |
| კოლხეთი-მერცხალი | 1:0 |
| ადელი-ლოკომოტივი | 0:2 |
| იმერეთი-ჭიათურა | 1:1 |
| მეშახტე-სქური გადაიდო | |

*ბათუმი-ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარტვილი | 20 | 14 | 4 | 2 | 42-10 | 46 |
| 2. დილა | 20 | 12 | 6 | 2 | 38-17 | 42 |
| 3. გაგრა | 19 | 12 | 5 | 2 | 43-13 | 41 |
| 4. ბათუმი | 19 | 11 | 6 | 2 | 42-9 | 39 |
| 5. გურია | 20 | 11 | 1 | 8 | 40-36 | 34 |
| 6. ჩიხურა | 18 | 10 | 4 | 4 | 32-18 | 34 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 19 | 6 | 9 | 4 | 17-16 | 27 |
| 8. სამგურალი | 20 | 6 | 5 | 9 | 25-39 | 23 |
| 9. მერცხალი | 20 | 6 | 4 | 10 | 33-49 | 22 |
| 10. იმერეთი | 19 | 6 | 2 | 11 | 20-28 | 20 |
| 11. ლოკომოტივი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-28 | 20 |
| 12. ჩხერიმელა | 19 | 4 | 8 | 7 | 24-33 | 20 |
| 13. ნ/დინამოელი | 19 | 6 | 1 | 12 | 23-40 | 19 |
| 14. მეშახტე | 18 | 5 | 4 | 9 | 24-32 | 19 |
| 15. ადელი | 20 | 5 | 2 | 13 | 24-34 | 17 |
| 16. ჭიათურა | 20 | 4 | 5 | 11 | 19-50 | 17 |
| 17. სქური | 19 | 4 | 3 | 12 | 19-33 | 15 |

ექსკლუზივი — წერილი მეხუთე

# მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე



**დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში**

მე ვახსენე, რომ თბილისის „დინამო“ ჩვენი ქვეყნის ნაკრებია, რომელიც იმის გამო, რომ ნაკრებების დონეზე არ თამაშობს, კნინდება. ამ განცხადებასთან დაკავშირებით ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან: ბრიტანელმა იმისათვის, რომ სულისკვეთება აეწიოს და სახელმწიფოებრივი სიამაყე ჰქონდეს, ბრიტანეთს წინ დაურთო სიტყვა „დიდი“ და სამშობლოს, დიდ ბრიტანეთს ასე ეძახის. ამას რომ სწორედ სულისკვეთების ასაწევად აკეთებს, ცხადია, რადგან, რა საჭიროა მინიშნება სიდიდეზე, როცა არ არსებობს პატარა ბრიტანეთი ან სხვანაირი რომელიმე ბრიტანეთი. ახლა დავაკონკრეტებ, თუ რა კავშირშია ეს ყველაფერი ჩვენთან: საქართველოს ნაკრებს, სადაც უძლიერესი ფეხბურთელები შევკრიბეთ, დავარქვით თბილისის „დინამო“ და საკავშირო უწყებრივი კლუბების დონეზე ვათამაშებთ. ვინ დამაჯერებს, რომ ჩვენ, ბორის პაიჭაძის თაობიდან მოყოლებული, დღემდე, ეროვნული ნაკრებების დონეზე რომ გვეთამაშა ევროპაში და აქედან გამომდინარე მსოფლიოშიც, ვინმეზე ნაკლები ავტორიტეტი და წარმატებები გვექნებოდა...

ჩვენ საამაყო წარსულიდან კრიზისამდე მივედით, სხვა ქვეყნები კი, რომელნიც თავისთვის, უხმაუროდ, ბეჯითად, სიყვარულით ატარებენ საკუთარ პირველობებს, მიუხედავად იმისა, რომ ადრე არავინ მიიჩნევდა ანგარიშგასაწევად, დღეს უკვე ძალას წარმოადგენენ. ავიღოთ თუნდაც ევროპის ჩემპიონი ჰოლანდია, ან დანია...

საქართველოში კი რა ხდება, გააჩერეთ ნებისმიერი კაცი ქუჩაში და ჰკითხეთ, აინტერესებს თუ არა საქართველოს საფეხბურთო პირველობა. აღმოჩნდება, რომ სასაცილოდ არ ჰყოფნით ეს ჩემპიონატი. იკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს უძლიერესი 13 გუნდი საკავშირო პირველობაზე თამაშობს და, ბუნებრივია, საქართველოს პირველობაზე რჩებიან შედარებით სუსტი გუნდები. თუ ამას იმასაც დავამატებთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, არაპრესტიჟულიც არის მასზე ლაპარაკი. საქართველოს პირველობა დაცინვისა და ქილიკის საგანი გამხდარა. ხშირად საქართველოს პირველობაზე მომხდარ უწესრიგობაზე მიგვითითებენ ეროვნული ლიგის მოწინააღმდეგენი და გვეუბნებიან „ასეთ პირველობაზე გინდათ ჩვენი ყველა გუნდის გადმოყვანა?“ მაგრამ მათ ავიწყდებათ, სწორედ იმიტომაა ეს უწესრიგობები, რომ ჩვენი უძლიერესი გუნდები არ თამაშობენ ამ პირველობაზე. ჩემი აზრით, აქ რომ ყველა ჩვენი გუნდი ითამაშებს, აუცილებლად ამაღლდება საქართველოს ჩემპიონატის და თასის გათამაშების დონე. ჩვენი საზოგადოების, პრესის, რადიო-ტელევიზიის ყურადღებაც მთლიანად რესპუბლიკის ჩემპიონატზე რომ გადმოვა, ბუნებრივია, ამაღლდება ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა თუ ორგანიზატორთა პასუხისმგებლობაც... დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ნორჩ ფეხბურთელს ეცოდინება, თბილისის „დინამოში“ კი არ უნდა მოხვდე აუცილებლად იმისთვის, რომ „სცენაზე“ თამაშობდე. ზუგდიდის გუნდიც უმაღლეს ლიგაში იქნება და იქ თამაშიც პრესტიჟული გახდება, რაც, თავის მხრივ, ახალი სტიმული უნდა გახდეს საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები ნორჩი ფეხბურთელებისთვის.

ეროვნული საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე „ჩინურ კედელს“ ახსენებს, ვითომ ეროვნულ ლიგაში თამაში ჩვენს ფეხბურთს ვიწრო, ეროვნულ ჩარჩოებში მოაქცევს. ამ დროს პირიქით, ეროვნული ლიგის შექმნის მომხრენი ვფიქრობთ, რომ ჩვენი ფეხბურთი უნდა გავიდეს როგორც ევროპულ, ისე მსოფლიო არენაზე, როგორც ნაკრების, ისე საკლუბო ტურნირების დონეზე...

საკავშირო პირველობებში მონაწილე ჩვენი ყოველი მეორე ლიგის გუნდი ოფიციალურად წელიწადში 150 ათასამდე მანეთს ხარჯავს. პირველი ლიგის გუნდები კიდევ მეტს და უმაღლესი ლიგის გუნდები უფრო მეტს. აბა, დავაკვირდეთ, ეს ხარჯები ხომ ძირითადად გუნდის მგზავრობასა და სასტუმროში დაბინავებაზე მოდის. ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებით ჩვენ დავზოგავთ უამრავ სახსარს, რომელიც მოხმარდება სპორტული ბაზების მშენებლობას, იუნიორთა ფეხბურთის უკეთ ორგანიზებას, ჩვენი ფეხბურთელების შემდგომ დაოსტატებას, რაც უნდა მოხდეს უცხოეთის წამყვანი ქვეყნების კლუბებთან თამაშის ხარჯზე. ჩვენმა გუნდებმა უნდა ითამაშონ სხვა ქვეყნებში გამართულ ტურნირებზე და ჩვენც უნდა ჩავატაროთ და მოვიწვიოთ სხვადასხვა წამყვანი გუნდი. სწორედ აქ უნდა გამოვიყენოთ ის დაზოგილი თანხები, რომელსაც ახლა ჩვენი გუნდების ხეტიალს ვახმართ...

დაბოლოს: არავის ეგონოს, რომ საკმარისია, შევქმნათ ეროვნული საფეხბურთო ლიგა და ყველა ჩვენი საფეხბურთო პრობლემა გადაიჭრება. ეროვნული ლიგა მე მიმაჩნია იმ აუცილებელ პირობად, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს საფეხბურთო მეურნეობა, უნდა შეცვალოს ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება და დამოკიდებულება საკუთარი სამშობლოს პირველობისადმი.

ჩემს წერილშიც და ეროვნული ჩემპიონატის მომხრეთა წერილებშიც აშკარად ჩანს ის მოლოდინები, თუ როგორ წარმოგვედგინა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის განვითარება. თუ რანაირად განვითარდა ჩვენი ფეხბურთი 21-წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში, რა შევძელით და რა ვერ მოვახერხეთ და რატომ, ამაზე ჩემი მონათხრობის ბოლოს აუცილებლად გაგიზიარებთ ჩემს აზრს... მანამდე კი მივყვეთ მოვლენების განვითარებას.

მართალია, გაზეთ „ლელოში“ მიდიოდა დისკუსია ეროვნული ჩემპიონატის თაობაზე და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტშიც“ ქვეყნდებოდა ეროვნული ჩემპიონატის მხარდამჭერი წერილები, მაგრამ საერთო ჯამში ეს მაინც ვერ აღიქმებოდა სერიოზულ ძალად, რომელსაც შეეძლო შეეცვალა ჩვენს ფეხბურთში არსებული ვითარება და ჩვენი გუნდები სეზონს იმ ვარაუდით ამთავრებდნენ, რომ გაისად ისევ საკავშირო ჩემპიონატში ითამაშებდნენ...

1989 წლის საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ ახალი ძალით ავმოქმედდით დამოუკიდებლობის მომხრეები. კინორეჟისორმა ალექსანდრე ჟღენტმა ამჯერად გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“ დავიწყეთ ამ ფილმის ჩვენება და განხილვები. ბუნებრივია, განხილვის საგანი ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობა და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება იყო. ერთ-ერთი ასეთი განხილვისას კინოს სახლის მცირე დარბაზში, სადაც ძირითადად ჟურნალისტები ვიყავით შეკრებილი, „ლელოს“ მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა თენგიზ გაჩეჩილაძემ თქვა: „ჩვენ, ჟურნალისტები და ფეხბურთის ქომაგები კი ვემხრობით ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეას, მაგრამ უკვე დროა, შევხვდეთ საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებს და მათთან ერთად ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე“. იქვე გადაწყდა, რომ ასეთი შეხვედრა დაგვეგეგმა 26 დეკემბრისთვის „დინამოს“ სტადიონის დარბაზში. საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები, ფეხბურთის ვეტერანები და ფეხბურთში მომუშავენი 25 დეკემბერს სპორტკომიტეტში შეიკრიბნენ. დაახლოებით 35 კაცამდე იქნებოდა. ამ შეხვედრაზე, რომელზეც მეც მიმიწვიეს, მოვიდნენ კახი ასათიანი, გივი ნოდია, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი ბაქანიძე... სხდომას კახი ასათიანი უძღვებოდა. ძირითადად ის ლაპარაკობდა, თუმცა თავიანთი აზრი თითქმის ყველამ გამოთქვა. მათი საერთო აზრი ასეთი იყო: უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები აუცილებლად უნდა დარჩნენ საკავშირო პირველობაზე, მეორე ლიგის გუნდები კი შეიძლება, საქართველოს პირველობაზე გადმოვიდნენო. ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ყველა ჩვენი გუნდის მონაწილეობით გაუმართლებლად მიიჩნევდნენ და ამ საკითხის განხილვას არც აპირებდნენ. ბუნებრივია, მეც მომცეს სიტყვა, მე ხაზი გავუსვი, რომ მთელი მსოფლიო დამოუკიდებელ ეროვნულ ჩემპიონატს ატარებს და რაც მთავარია, სხვანაირად ჩვენ ეროვნული ნაკრები ვერ გვეყოლება, ევროტურნირებზე შევხვდებით რუსებსაც და სხვა ევროპელ გუნდებსაცმეთქი. ყურადღებით მომისმინეს, მაგრამ არ დამეთანხმნენ. ეროვნული ჩემპიონატის საჭიროებაზე ილაპარაკა მანუჩარ მაჩაიძემაც. ის ვეტერანი ფეხბურთელებიდან ერთადერთი იყო, ვინც საჯაროდ აფიქსირებდა ეროვნული ჩემპიონატისადმი მხარდაჭერას. მანუჩარმა ისიც გაიხსენა 70-იანი წლების თბილისის „დინამოში“ საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებაზე იყო ლაპარაკი და ჩემ გარდა სხვებიც იყვნენ მომხრენიო...

როგორც მოსალოდნელი იყო, 26 დეკემბერს „დინამოს“ სტადიონის დარბაზში ტევა არ იყო. სხდომას თავმჯდომარეობდა თენგიზ გაჩეჩილაძე. ისევ ვაჩვენეთ ალექსანდრე ჟღენტის ფილმი „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“ ისევ გაჩაღდა კამათი, ამჯერად უკვე ჩვენი მოწინააღმდეგენიც სოლიდურად გამოიყურებოდნენ. ხანგრძლივი დისკუსიის საკვანძო მომენტში, როდესაც დამოუკიდებლობის მომხრეები „დინამოს“ ხელმძღვანელთაგან მოვითხოვდით, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ეთამაშა გუნდს, სიტყვა მოითხოვა „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა და გააკეთა განცხადება: „თქვენ ჩემგან მოითხოვთ, რომ „დინამომ“ მიატოვოს საკავშირო უმაღლესი ლიგა და საქართველოს პირველობაზე ითამაშოს. მაქვს წინადადება, დავაფუძნოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც უფლებამოსილი იქნება, უხელმძღვანელოს ქართულ ფეხბურთს. სწორედ მას შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება, სად ითამაშონ თბილისის „დინამომ“ და სხვა საკავშირო პირველობაზე მოთამაშე გუნდებმა“. დარბაზმა მოიწონა დავით ყიფიანის წინადადება და იქვე გადაწყდა, რომ ფეხბურთის ფედერაცია უნდა იყოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს მანამდე არსებულ ფეხბურთის სამმართველოსა და საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ფეხბურთის ფედერაციის ფუნქციებს.

ასეთი სერიოზული ფედერაციის შესაქმნელად საჭირო იყო, სრულიად საქართველოს მიელო მონაწილეობა და შეიქმნა ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იქვე, დარბაზშივე სახელდებოდნენ. კომიტეტში შეჰყავდათ როგორც საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები, ისე ჟურნალისტები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. როგორც მე მახსოვს, კომიტეტში შევიდნენ: დავით კვინიკაძე (თავმჯდომარე), კახი ასათიანი, ვლადიმერ ბარქაია, გივი ნოდია, მანუჩარ მაჩაიძე, მერაბ იაშვილი, ვანო ყიფიანი, გურამ ქავთარაძე, ამირან გრიგოლავა, ზვიად დარასელი, გურამ პეტრიაშვილი, ავთანდილ იმნაძე, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე ჟღენტი, მამუკა კვარაცხელია, გოდერძი კუბლაშვილი, დავით კუპრეიშვილი, ბონდო ქურდაძე და ზურაბ პეტრიაშვილი. 27 დეკემბერს საორგანიზაციო კომიტეტი სრული შემადგენლობით შეიკრიბა „დინამოს“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში და შევუდექით მუშაობას. პირველივე შეკრებაზე გადაწყდა, რომ საორგანიზაციო კომიტეტი კვირაში ორჯერ შეიკრიბებოდა ამ დარბაზში და საფუძვლიანად მოამზადებდა საქართველოს საფეხბურთო ყრილობას. საორგანიზაციო კომიტეტი, 26 დეკემბერს კი შეიქმნა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ კომიტეტში შემავალი წევრები მანამდეც ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით ქართული ფეხბურთის პრობლემებზე.

**ზურაბ პეტრიაშვილი**

*გაგრძელება სამშაბათობით*

## ადამიას გა[illegible]ქვს

„შერიფმა“ შინ 5:1 გაანადგურა „გაგაუზია“, ერთი გოლი (პენალტით) ჩემპიონთა 39 წლის კაპიტნის, **ვაჟა თარხნიშვილის** ანგარიშზეა. ეს ვაჟას მეორე გოლია ამ ჩემპიონატში.

„ისკრა-სტალმა“, რომელიც 51 ქულით მე-4 ადგილზეა, ქვა ქვაზე არ დატოვა ბენდერის „დინამოსგან“ - 6:1. ამ შეხვედრაშიც გავიდა ქართული გოლი - 45-ე წუთზე 20 წლის **სანდრო შუღლაძემ** ანგარიში 3:0 გახადა, ის 56-ე წუთზე შეცვალეს. „ზიმბრუმ“, სადაც სეზონის განახლების წინ **ვასილი ლუჭაშვილი** გადავიდა, 1:0 მოუგო „ტირასპოლს“. 26 წლის ქართველმა ფორვარდმა მატჩის ბოლო 9 წუთი ითამაშა. **გიორგი ტუხაშვილის** „ნისტრუმ“ ამჯერადაც სენსაცია მოახდინა და სტუმრად მესამეადგილოსან „მისლამის“ მოუგო, ქართველის ანგარიშზე ამჯერად საგოლე პასია. როგორც იქნა, შედგა „ოლიმპიას“ რიგებში **დავით კაკულიას** დებიუტი მოედანზე, „სფინტულ გეორგედან“ გადასულ 20 წლის ფეხბურთელს აქამდე სამუშაო ვიზის პრობლემა ჰქონდა. კაკულია „კოსტულენისთან“ 71-ე წუთზე შევიდა, ეს მატჩი 0:0 მორჩა. 51-ქულიანი „ოლიმპია“ მეხუთეა.

კვიპროსის I დივიზიონის 25-ე ტურში **ლევან მაღრაძის** „ერმისმა“ 3:1 მოუგო „ალკის“. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. მოიგო **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსმაც“, რომელმაც სტუმრად 2:1 აჯობა „ენოსისს“. ლევანმა 90 წუთი ითამაშა და ბოლოს მის დარტყმას მოჰყვა გადამწყვეტი პენალტი (მცველმა ხელით ითამაშა) მასპინძელთა კარში.

ბოსნიის ჩემპიონატში სერბულ-ხორვატიული დაპირისპირება პრინციპული იყო ქართველი ლეგიონერისთვის. მოგეხსენებათ, **ლევან კუტალია** ადრე სერბულ „სლავიაში“ თამაშობდა, ახლა კი ხორვატულ მოსტარის „ზრინსკიშია“. ლევანი სასტარტო შემადგენლობაში იყო, მას მე-9 წუთზე თავის გამოჩენის კარგი შანსი ჰქონდა, როცა 20 მეტრიდან ურტყამდა კარში. საბოლოოდ, მისი გუნდი 2:3 დამარცხდა. „ზრინსკი“ 19 ქულით გასავარდნი ზონის პირასაა.

ესტონეთის მეისტრილიგა 2 ტურია, რაც დაიწყო, მაგრამ „ფლორა“ ჩემპიონატის ერთადერთ ქართველ ლეგიონერ **ზაქარია ბეგლარიშვილს** არ ათამაშებს. ზაქარია დუბლებშია, სადაც კვირას „პიარნუსთან“ გასვლით მატჩში „ფლორა II-ის“ მე-3 გოლი გაიტანა (0:3).

საფრანგეთის ნასიონალლიგაში (რანგით მე-3) **ამირან სანაიას** „ბასტია“ „კოლმარს“ ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და მე-2 ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. „ბასტია“ 64 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. უნგრეთის II დივიზიონში „დიორი ეტოს“ სარეზერვო გუნდში **ლაშა თოთაძემ** (გოლი გაიტანა) და **თეიმურაზ შარაშენიძემ** ითამაშეს.

ისრაელის რანგით მე-2, ლეუმითლიგაში **გიორგი გაბიდაურისა** და **აკაკი მიკუჩაძის** „ბნეი ლოდი“ შინ 0:0 დაუზავდა რიშონ ლეციონის „ჰაპოელს“. ორივე ჩვენებური სასტარტოში იყო, მიკუჩაძე 50-ე წუთზე გაიყვანეს. „ბნეი ლოდი“ 37 ქულით მე-8 ადგილზეა. წინა ორ სეზონში 18-18 ბურთის გამტან მიკუჩაძის ანგარიშზე ამ სეზონში მხოლოდ 3 გოლია.

## სპარტაკმა ნამეტანი დაისვენა, გოგუა კი დააფასეს

რუსეთის პრემიერლიგის I ტურში ყველაზე მეტად ორშაბათის თამაშების იმედი გვქონდა, ჩემპიონატში ბოლო ჩაერთო **ჯანო ანანიძის** „სპარტაკი“, ასევე გუშინ ითამაშა ყველაზე ქართულმა გუნდმა პრემიერლიგაში, „ვოლგამ“. **ვალერი კარპინმა** გადაწყვიტა, „აიაქსთან“ მატჩის წინ მოწინავე ფეხბურთელთა ნაწილი დაესვენებინა და მკაცრადაც დაისაჯა - „როსტოვმა“ 4:0 გაანადგურა რუსეთის „სახალხო გუნდი“. კარპინმა ჯანო ანანიძე 52-ე წუთზე შეუშვა მოედანზე **პაველ იაკოვლევის** ნაცვლად. ბევრი ვერც ჩვენებურმა გაახერხა, მაგრამ „ჩემპიონატმა“ 5,5 ბალი დაუწერა, რაც მის გუნდში საუკეთესო შეფასებაა (**მახმუდოვთან** და **კომბაროვთან** ერთად). შემოსვლის შემდეგ „სპარტაკის“ სტანდარტულებს ჯანო ასრულებდა.

აი, მეორე თამაშმა კი მართლაც გაგვახარა - ომარ თეთრაძის „ვოლგამ“ ჩემპიონატი „ტომის“ 2:0 დამარცხებით დაიწყო. მასპინძელთა სასტარტოში ერთბაშად ხუთი ქართველი ვიხილეთ! დაცვის მარჯვენა ფლანგს **ლაშა სალუქვაძე** („ჩემპიონატის“ შეფასება - 5,5 ბალი) აკონტროლებდა, მარცხენას - **გია გრიგალავა** (5,5), ნახევარდაცვის შუაში **გოჩა ხოჯავა** (5,5) მოქმედებდა, მარცხენა ფლანგზე **გოგიტა გოგუა** (6,5 - მატჩის საუკეთესო შეფასება), წინ კი - **ოთარ მარცვალაძე** (6). 87-ე წუთზე ხოჯავას ნაცვლად **მათე ვაწაძე** გამოჩნდა. 92-ე წუთზე შეცვალეს მარცვალაძე. მე-5 წუთზე მარცვალაძეს გოლი... მეტოქეთა კაპიტანმა **ხარიტონოვმა** „მოპარა“, ქართველის დარტყმული მას ფეხში მოხვდა და ოდნავ იცვალა მიმართულება. ოქმში ეს გოლი ავტოგოლად გაფორმდა. მე-15 წუთზე გოგუამ ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც თავით **სერგეი ბენძმა** იყოჩალა.

## დვალიშვილი დაბრუნდა და გაიტანა

ტრავმის შემდეგ მოედანს იღბლიანად დაუბრუნდა **ლადო დვალიშვილი** - ნუხელ ჰაიფურ დერბიში „მაქაბიმ“ 2:0 მოუგო „ჰაპოელს“, 85-ე წუთზე გოლი ქართველმა ფორვარდმა გაიტანა. ეს ლადოს მე-11 გოლია სეზონში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უცხოური ფეხბურთი

● სერია A XXIX ტურის მიმოხილვა

# მგლების ხროვის ბებერი მეთაური

## კიდევ ერთი ახალი ნომინაცია

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ჟულიო სეზარი** (ინტერი) - **აბატე** (მილანი), **რუისი** (ნაპოლი), **მექსე** (რომა), **ლაურო** (ჩეზენა) - **ალმირონი** (ბარი), **პაროლო** (ჩეზენა) - **ლავესი** (ნაპოლი), **დელ პიერო** (იუვენტუსი), **დი ნატალე** (უდინეზე) - **ტოტი** (რომა).

ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხი გამოკვეთილი შემტევია, რაც პრაგმატული თვალსაზრისით აშკარად მეტისმეტია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიმბოლურ გუნდზე გვაქვს ლაპარაკი. მერვეჯერ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის **ანტონიო დი ნატალე**, რომელიც კიდევ ერთხელ მიიწევს ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირის სტატუსისკენ. ტოტოს უკვე 24 გოლი აქვს გატანილი და თუ ასე გააგრძელა, სამ ათეულსაც თავისუფლად მიაღწევს. დი ნატალეს მხარდამხარ **ალესანდრო დელ პიეროს** და **ესეკილ ლავეცის** ვხედავთ, ტურინელმა „ჩეზენასთან" გაიბრწყინა, ნეაპოლელმა კი „პარმასთან". შეტევის წინა ხაზზე **ფრანჩესკო ტოტია** გამწესებული, ვინც დუბლი შეუსრულა „ლაციოს" და რომაული დერბის გმირად მოგვევლინა.

მეკარეთა შორის **ჟულიო სეზარი** გამოირჩა, რომელმაც „ბრეშასთან" პაექრობაში არაერთხელ გადაარჩინა გუნდი გაშვებული გოლისგან და ბოლოს, თერთმეტმეტრიანიც აილო. კარგად ითამაშა მცველმა **ინაციო აბატემაც** და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისმა „მილანმა" საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ „ბარის" ვერ მოუგო. ეს ამბავი კი **ალმირონს** დაუფასდა, რომელიც სწორედ „ბარიში" ასპარეზობს და რჩეულთა შორის სრულიად დამსახურებულად მოხვდა. **ვიქტორ რუისის** სახით „ნაპოლის" შესანიშნავი მცველი ჰყოლია; არადა მხოლოდ იმიტომ მიეცა თამაშის საშუალება, რომ სამხრეთელებს ძირითადი შემადგენლობის ორი უკანახაზელი ჰყავთ დაშავებული. აი ასეთი გამოვიდა XXIX ტურის სიმბოლური ნაკრები.

### ტურის გმირი

**ვინჩენცო მონტელამ** ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებით შეხვედრაში **ფრანჩესკო ტოტი** არ ათამაშა და ალბათ იმიტომ, რომ თვითონაც არ სჯეროდა 'შახტარის" ბარიერის გავლის. მართალიც აღმოჩნდა, რადგან უკრაინელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და 3:0 გაანადგურეს. იმ შეხვედრაში „რომას" ვერც ტოტი უშველიდა და ვერც თავად მონტელა საუკეთესო წლებში. სამაგიეროდ, რომაულ დერბიში ვიხილეთ „პუპონე" ძირითად შემადგენლობაში, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მატჩის საბოლოო შედეგზე. „ჯალოროსიმ" ორი ბურთის სხვაობით დაამარცხა მეტოქე და ორივე გოლი ტოტიმ მიითვალა აქტივში. ერთხელ საჯარიმო დარტყმა შეასრულა ზუსტად, ერთხელაც - პენალტი და საქმეც მოთავდა.

გარდა ამისა, ფრანჩესკოს მარგი ქმედების კოეფიციენტი იყო ძალიან მაღალი - დიდხანს ინარჩუნებდა ბურთს მეტოქის ნახევარზე, რამაც წყობიდან გამოიყვანა „ლაციოს" ფეხბურთელები. ამად იყო, რომ ემოციები ვერ მოთოკეს და შედეგად, ცხრა კაცით ჩაამთავრეს თამაში. ტოტიმ უკან მოიტოვა საუკეთესო წლები, მაგრამ ფაქტია, რომ ხროვას კვლავაც ბებერი მგელი მეთაურობს.

### ტურის დაბრუნება

ესეკილ ლავეციმ დისკვალიფიკაცია მოიხადა და გასულ ტურში, „პარმასთან" პაექრობაში დაუბრუნდა მოედანს. დაბრუნდა და შეხვედრის გმირიც გახდა - ერთი გოლი მიითვალა აქტივში და ერთიც საგოლე გადაცემა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ „ნაპოლისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. არგენტინელის გარეშე სამხრეთელებს ჩავარდნა ჰქონდათ, „მილანთან" განადგურდნენ და „ბრეშასთან" მხოლოდ ქულა მიითვალეს, რითიც მკვეთრად გაიაურესეს სატურნირო მდგომარეობა. სამაგიეროდ, გასულ ტურში იძალეს და მილანურ გრანდებთან ჩამორჩენა შეამცირეს. ნამატჩევს, ლავეცი ბედნიერი გახლდათ:

*„ერთი სული მქონდა, როდის დავუბრუნდებოდი მოედანს და ეს დღეც დადგა. ბედნიერი ვარ, რადგან ყველა სიკეთესთან ერთად, გოლი გავიტანე და გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარე. დისკვალიფიკაციამ ერთი კარგი სამსახური გამიწია, დასვენებული ვარ, ენერგია მომეძალა და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დარჩენილ შეხვედრებში საუკეთესოდ წარმოვჩნდები. წინ გადამწყვეტი პაექრობები გველის, თითოეული მათგანი ფინალის ტოლფასია".*

### ტურის სენსაცია

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ტურის სენსაციად ლიდერის აუტსაიდერთან წაფორხილებაა მიჩნეული. სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე მყოფმა „მილანმა" საკუთარ მოედანზე" წყალწაღებული „ბარი" მიიღო და ყველასათვის მოულოდნელად, მხოლოდ ქულას დასჯერდა. ტურის მიმოხილვაშიც აღვნიშნეთ, რომ სტუმართა წისქვილზე მსაჯის საკამათო გადაწყვეტილებებმა დაასხა წყალი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, შედეგი ყველასთვის მოულოდნელი გახლდათ.

„მილანი" მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდა მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გაიტანა და ისიც მაშინ, როდესაც უკვე ათი ფეხბურთელით იყო მოედანზე დარჩენილი. არბიტრმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გააძევა, ვინც ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში.

### ტურის პროგრესი

სამი წაგებული შეხვედრის შემდეგ, „იუვენტუსი" „ჩეზენას" ესტუმრა და ქუ-



ლას გამოჰკრა ხელი. ტურინული გრანდის გულშემატკივრები დაიმედებულნი არიან და ამბობენ, რომ ნელ-ნელა გამარჯვებებიც მოვა. რაც მთავარია, გუნდის მთავარი მწვრთნელია უაღრესად კმაყოფილი და იმ წინსვლაზე საუბრობს, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან პაექრობაში თვალნათლივ გამოჩნდა. **ჯანლუიჯი ბუფონი** კი რატომღაც უხასიათოდ გახლავთ და არაადეკვატურ კომენტარებს აკეთებს:

*„თითქმის გადამეწურა იმის იმედი, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ. პირადად მე, ცდას არ დავაკლებ და ყველაფერს ვილონებ გულშემატკივართა გასახარად, მაგრამ არ ვიცი, ეს რამდენად იქნება საკმარისი. გუნდური მექანიზმი მოშლილია, თამაში არ გამოგვდის, რამაც ფსიქოლოგიურადაც მოშალა გუნდი. უნდა მოვიკრიბოთ ძალები და ყველანაირად ვეცადოთ, რომ სეზონის დასკვნითი ნაწილი მაინც ჩავატაროთ მაღალ დონეზე".*

### ტურის უდინეზე

გახსოვთ ალბათ, რამდენჯერმე გვქონდა ნომინაცია სახელად „ტურის კოზაკი", სადაც „ლაციოს" ჩეხი ლეგიონერის გმირობებზე, ან „გმირობებზე" გვქონდა საუბარი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძნელია ნომინაციას სახელი შეურჩიო, მაგრამ უყურადღებოდაც ვერ ტოვებ ამა თუ იმ მოვლენას. „კალიარისთან" მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, „უდინეზემ" ოთხეულში შეაბიჯა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრიულელები ჩემპიონთა ლიგის ზონაში არიან. რაც არ უნდა იძახოს **ფრანჩესკო გვიდოლინმა** რა ლიგა, რის ლიგაო, ფაქტია, რომ უდინელები სწორედ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის საგზურისთვის იბრძვიან.

გასულ ტურში, „უდინეზე" სარდინიას ესტუმრა და მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. არადა, ცნობილი ამბავია, რომ „კალიარი" საკუთარ მოედანზე აღიარებული გრანდებისთვისაც კი მეტად უხერხული მეტოქეა. საოცრად შედეგიანად ასპარეზობენ ანტონიო დი ნატალე და **ალექსის სანჩესი** - თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტისთვის ეს არის საუკეთესო თავდასხმის ტანდემი იტალიაში. ბრავო დი ნატალე, ბრავო სანჩესი, ბრავო გვიდოლინი, ბრავო „უდინეზე"...

### ტურის ფრაზები:

- **ლუიჯი დელ ნერი (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი):** *„კრიტიკა, სტვენა და ცინიზმი ტაშით, ქებით და დიდებით შეიცვლება".*
- **კლაუდიო ლოტიტო (ლაციოს პრეზიდენტი):** *„დერბიში სუსტმა გაიმარჯვა - ჯარიმით და პენალტით გაგვიტანეს, რაც არანაირ უპირატესობაზე არ მეტყველებს".*

### ციფრები და ფაქტები:

- მიმდინარე სეზონში, ფრანჩესკო ტოტიმ პირველი გოლი გაიტანა საჯარიმოს გარედან;
- „მილანთან" მატჩამდე, „ბარის" გასვლაზე 385 წუთი არ ჰქონდა გოლი გატანილი;
- 2010 წლის 10 ნოემბრის შემდეგ, „ინტერმა" პირველად ითამაშა ფრედ - ლეონარდოსთვის. ეს პირველი საყაიმო რეზულტატია „ნერაძურის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სერია A-ში;
- ბოლო ხუთ ტურში, 15 შესაძლებელი ქულიდან „კიევომ" მხოლოდ ერთი აილო, „იუვენტუსმა" კი - ოთხი;

**ლაშა ნიკლაური**

● ამბები

## ბექჰემი ინგლისზე ფიქრობს

**დევიდ ბექჰემმა** მიანიშნა, რომ „მეიჯორ ლიგ სოკერის" მიმდინარე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ინგლისში დაბრუნებას შეეცდება. ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამჟერად „ლოს ანჯელეს გელექსის" ფეხბურთელია, მაგრამ ხსენებული სეზონის დასრულებისთანავე ანუ ნოემბერში, კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და ახალ გუნდში გადასასვლელად ხელ-ფეხი გაეხსნება. გეხსომებათ: ბექჰემმა იანვარსა და თებერვალში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" ერთად ივარჯიშა. ლაპარაკობდნენ, რომ ის ამ ლონდონურ კლუბში ითამაშებდა კიდეც, მაგრამ, ამასობაში ამერიკაში პირველობა განახლდა და ვეტერანს დაბრუნება მოუხდა.

*„ინგლისში 12-13 წელიწადი ვითამაშე. იქ ჩემი კარიერის უდიდესი ნაწილი გავატარე და ვინ იცის, იქნებ დავბრუნდე კიდეც. ახლა უკვე ასაკოვანი ვარ, ფეხბურთელის კარიერას რამდენიმე წელიწადში დავამთავრებ. აშშ-ში კონტრაქტი მიმთავრდება და ვინ იცის რა მოხდება მერე"* — თქვა 36 წლის პროფესიონალმა. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგაში **ბრაიან რობსონმა, მარკ ჰიუზმა** და **დენის ირვინმა** 38 წლამდე ითამაშეს, **ტედი შერინგემი** კი, ფეხბურთის თამაშს თავი რომ დაანება 40 წლისა იყო.

## ფაბრეგასს კომპლექსი აქვს

„არსენალის" ერთ-ერთმა ოდინდელმა ვარსკვლავმა, ფრანგმა **ემანუელ პეტიმ** განაცხადა, რომ მისი საყვარელი გუნდი დღეს გატეხილია.

*„ამ წუთას „არსენალი" დაწყევლილს ჰგავს. გუნდის წამყვანი ფეხბურთელები აშკარად გატყდნენ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სესკ ფაბრეგასს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება. ის ფეხბურთი, რომელსაც ფაბრეგასი დღეს თამაშობს, მის ჩვეულებრივ დონეს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. ვგონებ, მას თავისი ყოფილი გუნდის „ბარსელონას" კომპლექსი აქვს".*

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონმა „მეთოფეებს" ფეხბურთის ასოციაციის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან" 2:0-ის წაგების შემდეგ შეუტია. შეგახსენებთ, რომ „არსენალი" 15 დღეში სამ შეჯიბრებას გამოეთიშა. პეტიმ ჩრდილოლონდონელთა შემადგენლობაში 1998 წელს დუბლი მოიგო.

## ჟოზე ფერგის ვერ შეცვლის

**გარი ნევილმა ჟოზე მოურინიოს** შეუთვალა, ამ ეტაპზე **ალექს ფერგიუსონის** შეცვლაზე ოცნებას თავი დაანებეო. მოგეხსენებათ, ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ „განსაკუთრებული" სეზონის დასრულების შემდეგ მადრიდის „რეალის" მიტოვებას და პრემიერლიგაში დაბრუნებას აპირებს. ატყდა მარჩიელობა, რომელ გუნდში შეიძლება მივიდეს მოურინიო. სხვებთან ერთად „მანჩესტერ იუნაიტედიც" დაასახელეს, თუმცა 36 წლის ნევილმა ამ ზაფხულში პორტუგალიელის „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცად მისვლაზე ლაპარაკს დროის ფლანგვა უწოდა. ნევილმა ფერგის ხელმძღვანელობით 20 წელიწადი ითამაშა და ახლახან, თებერვალში დაასრულა კარიერა. მან თქვა:

*„ამჟამად ბევრი დიდი მწვრთნელია და ყოველთვის იქნება მარჩიელობა რომელი მათგანი შეცვლის სერ ალექსს. რასაკვირველია, კანდიდატთა შორის იქნება მოურინიოც, რადგან მას ძალიან ბევრი ჯილდო აქვს მოგებული. ის გამოკვეთილი, მტკიცე ხასიათის ადამიანია. ყველა ვალდებულია პატივი სცეს სხვებს მათი წარმატებების გამო, მაგრამ დღეს, როდესაც ფერგიუსონი ისეთ ფორმაშია არასდროს ყოფილა, მოურინიოს „მანჩესტერ იუნაიტედში" მოსვლა გამორიცხული მგონია. დღეს ამაზე ლაპარაკიც კი დროის ფლანგვაა და მეტი არაფერი".*

## მანჩესტერი თუ მანჩესტერი?

„მანჩესტერ სიტიმ" ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „რედინგს" 1:0 მოუგო და ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება. სხვათა შორის, მანჩესტერის გუნდები შარშან, „ქარლინგის თასზე" ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ „იუნაიტედმა" გაიმარჯვა, მაგრამ ისტლენდელთა თავკაცი **რობერტო მანჩინი** ამბობს, რომ დღეს მისი გუნდი გაცილებით ძლიერია.

*„ჩვენ უმაღლესი დონის გუნდებს ფაქტობრივად აღარ ჩამოვრჩებით, თუმცა გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის. შემდეგ სეზონში განსხვავება საერთოდ აღარ იქნება. დღეს „მანჩესტერ სიტი" „მანჩესტერ იუნაიტედთან" ძალიან ახლოსაა. ჩვენს გუნდებს დიდებული ნახევარფინალი ელით და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ".*

მანჩინის თებერვლის მანჩესტერული დერბი, კერძოდ, **უეინ რუნის** ზღაპრული მაკრატელა გაახსენეს და ჰკითხეს, ასოციაციის თასის ნახევარფინალში შურისძიებას ხომ არ გეგმავს. ამაზე იტალიელს გაეცინა:

*„ფეხბურთში გუნდები სეზონში ორჯერ მაინც ხვდებიან ერთმანეთს, ხანდახან შეხვედრების რაოდენობა სამი ან ოთხია, ასე რომ, ჩემთვის ეს დიდი ნახევარფინალური დაპირისპირებაა და მეტი არაფერი".*

**ილია ბაბუნაშვილი**

● საფრანგეთის ლიგა 1 გამოხმაურება

LIGUE 1

## აზარი გენიოსად ყალიბდება

**წინა ტურის გამოხმაურებაშიც აღვნიშნეთ, რომ ლიგა 1-ის ბოლო ტურის შეხვედრები ისეა მიწყობილი, გულშემატკივარს არჩევანის საშუალებას არ უტოვებს. ყოველ ტურს ერთი მძაფრი დაპირისპირება მაინც აქვს ლიდერთა „დიდი ხუთეულის" მონაწილეობით. 25-ე ტურში ასეთი იყო „ლილი"-„ლიონი", 26-ეში „მარსელი"-„ლილი", გასულ უქმეებზე „რენი"-"მარსელი", მომდევნო ტურში კი ერთბაშად ორი საინტერესო დაპირისპირებაა: „მარსელი"-პსჟ და „ლიონი"-"რენი". მოკლედ, გულშემატკივარს მოსაწყენად ნამდვილად არ სცალია.**

### ტურის მატჩი

„რენი"-"მარსელი" 0:2 - უბრალოდ შეუძლებელი იყო ტურის მატჩად სხვა დაგვესახელებინა. აღნიშნული დაპირისპირება პარასკევს გაიმართა. მართალია, სანახაობრივი მხარე მაინცდამაინც თვალისმომჭრელი არ იყო, მაგრამ სატურნირო მნიშვნელობიდან გამომდინარე მაინც გამოსარჩევი გახლდათ. „მარსელის" საჩემპიონო ამბიციები ისედაც გასაგებია, ლიგა 1-ის მოქმედი გამარჯვებული ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძვის, რაც შეეხება მასპინძელს, სწორედ აღნიშნულ მატჩში უნდა ჩაებარებინა მათ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოცდა და როგორც აღმოჩნდა, „რენი" ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. ეს წაგება არ ნიშნავს, რომ მათ ამბიციებს მსუყე წერტილი დაესვა, თუმცა გუნდს საკუთარი ძალების რწმენას რომ გვარიანად შეურყევდა, ვგონებ ეჭვი არავის ეპარება. **დიდიე დეშამის** სამწყსომ შეხვედრა კლასის ხარჯზე მოიგო. მთავარი იყო, დაცვაში ვინ უკეთ დადგებოდა. შემტევი პოტენციალით კი სტუმრები რომ აღემატებოდნენ, ეს ისედაც ცხადი იყო. „მარსელმა" ამოცანას თავი გაართვა - იშვიათი მომენტებიდან ორის რეალიზაცია შეძლო. აშკარად გამოჩნდა, რომ „რენის" თავკაც **ფრედერიკ ანტონეტის** ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. *„ბოლო დროს ჩვენ სერიოზული პრობლემები გვქონდა. ხომ ხედავთ, ჩემი გუნდი ნამდვილად არ არის საუკეთესო ფორმაში. თუმცა დღეს ნამდვილად შევძელით უტეხი ხასიათის დემონსტრირება. სწორედ ამის წყალობაა, რომ დავამარცხეთ გუნდი, რომელსაც ლიგა 1-ში საუკეთესო დაცვა ჰყავს. კმაყოფილი ვარ თუ არა შედეგით? ეს ის სიტყვა არ არის"* - განაცხადა შეხვედრის შემდეგ დიდიე დეშამმა.

### ტურის გმირი

ტურს ულაპარაკო ლიდერი ჰყავს, „ლილის" ლიდერი **ედენ აზარი**. მან მეტოქეს მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაუტანა გოლი და ამით გუნდს სამი ქულა მოუტანა.

» ჩვ-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგა 1

გამოხმაურება

« მე-8 გვერდიდან

ფაქტია, რომ ის თანდათან უფრო იხვეწება და ასაკის მიუხედავად ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად ყალიბდება. სპეციალისტები სულ მალე მისგან ახალი სუპერვარსკვლავის დაბადებას ელოდებიან. აქვე წარმოგიდგენთ ტურის სიმბოლურ ნაკრებს:

**რუფიე** (მონაკო) - **ადრიანო** (მონაკო), **დიავარა** (მარსელი), **რამი**, (ლილი), **ტრემულინასი** (ბორდო) - **აზარი** (ლილი), **პიანიჩი** (ლიონი), **ლ. გონსალესი** (მარსელი), **ბრიზონი** (ნანსი) - **ლ. ლოპესი** (ლიონი), **რემი** (მარსელი)

## ტურის გუნდი

ულაპარაკოდ მარსელის „ოლიმპიკი". თითქოს მათ განსაკუთრებული არაფერი უჩვენებიათ, არა? თუმცა უშუალოდ კონკურენტის გასვლით შეხვედრაში ასე დამაჯერებლად დამარცხება უთუოდ იმსახურებს განსაკუთრებულ აღნიშვნას.

## ტურის გოლი

ნიცელმა **ერიკ მულინგიმ** „ოსერთან" შეხვედრაში ულამაზესი და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. მან პარტნიორის გამჭოლი გადაცემა პირველი შეხებით დაამუშავა და ისე, რომ ბურთი მიწაზე არ დაუშვია, მეორედ მოუქნია და ხარიხის ქვეშ მიუჩინა ადგილი.



დიდიე დეშამის გუნდმა რენში უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება მოიგო

## ტურის უიღბლოები

როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ლიგა 1-ს ამ ნომინაციაშიც ულაპარაკო გამარჯვებული ჰყავს. ეს არის „ლიონის" თავდამსხმელი **ბაფეტიმბი გომისი.** ფეხბურთელი, რომელმაც ძალზე იაქტიურა, „სოშოს" კარის დარაჯ **პიერიკ კროსს** თუ ვინმე აწუხებდა, ეს პირველ რიგში ის იყო, თუმცა რად გინდა? მისი დარტყმულებიდან ზოგი მეკარის ნადავლი გახდა, ზოგიც კარის ჩარჩოს სანტიმეტრებში ასცდა. მას იმდენად არ უმართლებდა, რომ არა **ლისანდრო ლოპესისთვის** გაკეთებული შედეგიანი გადაცემა, დეპრესია ალბათ გარანტირებული ექნებოდა.

უიღბლოთა სიაში შეიძლებოდა ოსერელი **ირენეუშ ელენის** ჩაწერაც. მან „ნიცასთან" დაპირისპირებაში წარმოუდგენელი მომენტი ვერ გამოიყენა - ცარიელი კარის წინ მარტო იდგა და ბურთისთვის უბრალოდ ფეხი უნდა მიერტყა. დიახ, ელენმა სწორედ ეს „მირტყმა" ვერ მოახერხა და... „ოსერი" დამარცხდა.

## ტურის ციფრები

„ლორიანთან" შეხვედრაში „არლმა" ანგარიში გახსნა, თუმცა მატჩი გამარჯვებამდე ველარ მიიყვანა. მიმდინარე ჩემპიონატში ეს უკვე მეოთხედ მოხდა.

ლისანდრო ლოპესმა მორიგი ბურთი გაიტანა და ახლა გამოდის, რომ ის გოლს ყოველ 105 წუთში ერთხელ იტანს.

## ტურის ფრაზა

„როცა პირველი ტაიმის შემდეგ შენი გუნდი 2:0-ს იგებს, ის ვალდებულია მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანოს," - კბილებში გამოსცრა „მონპელიესთან" 2:2 დასრულებული მატჩის შემდეგ „პარი სენ-ჟერმენის" მთავარმა მწვრთნელმა **ანტუან კამბუარემ.**

**ლევან ბიბილაშვილი**

● სევილია-ბარსელონა. გამოძახილი

LFP

# ანდალუსიური საფასური

## დაკარგული 2 ქულა და 5 ფეხბურთელი

ლა ლიგის 28-ე ტურის მშვენება უდაოდ „სანჩეს პისხუანზე" გამართული მატჩი იყო, სადაც ჩემპიონმა და ერთპიროვნულმა ლიდერმა „ბარსელონამ" ორი ქულა დაკარგა - „სევილიას" 1:1 დაუზავდა, მიუხედავად იმისა, რომ გოლის გაშვების შემდეგ უზარმაზარ უპირატესობას ფლობდა. რა იყო ამ ჩავარდნის მიზეზი, რომელი დეტალი გაჩერდა **ხოსეპ გვარდიოლას** შვეიცარიული საათივით აწყობილ მექანიზმში? შევეცდებით, ამ კითხვებს ვუპასუხოთ, თუმცა თავიდან მწვრთნელთა მატჩის შემდგომი ინტერვიუებით დავიწყოთ.

**გრეგორიო მანსანო** (სევილია): *„ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა ხესუს ნავასმა. ამ გოლმა მოგვცა რწმენა, რომ შეგვეძლო „ბარსელონასთან" წარმატებით თამაში. მეორე ტაიმის დასაწყისშივე გავიტანეთ და მეტოქეს ვაგრძნობინეთ, რომ შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში ვართ. ძალიან, ძალიან ძნელია „ბარსელონას" დამარცხება, ამიტომაც ნუ დაგვძრახავთ, რომ ვერც ჩვენ შევძელით. მაგრამ ფრეს მე დიდებულ შედეგად მივიჩნევ. თამაში ისე წარიმართა, რომ მოგებაც შეგვეძლო, დამეთანხმებით, ამის თქმის საშუალება ბევრი გუნდის მწვრთნელს არა აქვს. „ბარსელონა" მატჩის დასაწყისში აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, როცა ეს გუნდი ბურთს აკონტროლებს, მოედანზე ყველაფერი ფანტასტიკურად გამოსდის. მეორე ტაიმში კი ისინი ცოტათი დაიღალნენ და აღარც ზუსტი პასები გამოსდიოდათ".*

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„მსაჯის სიტყვა კანონია, ამიტომ მესის გაუქმებულ გოლზე არ ვილაპარაკებ. საერთოდ არ მაქვს სურვილი, მსაჯის ქმედება განვსაჯო. ისედაც ყველამ ყველაფერი თავისი თვალით ნახა. დიდებული მეტოქე გვყავდა და ჩვენც ძალიან კარგად ვითამაშეთ. იმ თამაშით, რაც პირველ ტაიმში ვაჩვენეთ, აშკარად ქულაზე მეტს ვიმსახურებდით. მეორე ტაიმში „სევილიამ" მოუმატა და ქულები წაგვართვა. საერთო ჯამში, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩვენი მიზანი ყოველთვის მატჩის მიმდინარეობის სრული კონტროლია, მაგრამ ხანდახან ამ მიზნის მიღწევას ხელს ძლიერი მოწინააღმდეგე უშლის. რაც მთავარია, არ წაგვიგია და ერთი წამითაც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა".*

როგორც ხედავთ, ორივე თავკაცი კმაყოფილია თამაშით, თუკი მანსანო გულწრფელი ჩანს, პეპის მხრიდან ეს ერთგვარი რევერანსია მეტოქე გუნდის წარმომადგენლებისადმი. ამ ფრის შემდეგ „ბარსელონას" 75 ქულა აქვს, მის ერთადერთ მეტოქეს ტიტულისათვის ბრძოლაში, „რეალს" კი - 70. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უფრო, რომ დარჩენილია „კლასიკო", რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. საჩემპიონო რბოლა ხელახლა გამოცხადდა გახსნილად...

სხვათა შორის, იმ დღეს, როცა პეპმა „ბარსელონა" „სანჩეს პისხუანზე" საბრძოლველად გაიყვანა, ათასი დღე შესრულდა, რაც ის კატალონიური გრანდის მწვრთნელია.

მოკლედ, ვნახოთ, რას მისტირიან კატალონიაში. უპირველესად, ეს **ლეო მესის** გოლია, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. მე-9 წუთი მიმდინარეობდა, როცა პატარა არგენტინელმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ბურთი „სევილიას" კარის ბადეში აფრთხიალდა. მაგრამ მსაჯმა **პერეს ლასამ** (რომელსაც „მარკამ" 10-ბალიანი სისტემით 0 (!) დაუწერა) „ბარსას" სულ სხვა ფეხბურთელი დააჯარიმა იმ ეპიზოდში. საოცარი გადაწყვეტილება მიიღო არბიტრმა და ლეოს სეზონში 28-ე გოლი არ დაანება, რითაც ის „პიჩიჩისთვის" ბრძოლაში დაწინაურდებოდა. ამის გარდა, „ბარსელონას" ფეხბურთელებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი ხარიხას. 42-ე წუთზე მესის თავური (!) მოხვდა ხარიხას, მე-2 ტაიმში კი **ანდრეს ინიესტას** ბრწყინვალე დარტყმული კვლავ „სევილიას" კარის ხარიხამ უკუაგდო. 68-ე წუთზე „სევილია" **გარი მედელის** თავგანწირვამ გადაარჩინა, როცა მესის ბრწყინვალე დრიბლინგს **ბოიან კრკიჩის** დარტყმა მოჰყვა, ჩილელმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. მალე კრკიჩი საჯარიმოში წააქციეს, თუმცა მსაჯის სასტვენი დუმდა. ამ შემთხვევაში, ვიტყვით, რომ გადაწყვეტილება საეჭვო იყო. ბოლოს მედელმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა და ცარიელი კარიდან, ახლა, ინიესტას დარტყმული გამოიტანა. მოკლედ, ფორტუნამ ზურგი შეაქცია კატალონიურ კლუბს, თუმცა, სადაც სტუმართა ამდენი შანსი ვახსენეთ, „სევილიას" ერთი ნალდიც ვთქვათ - **ხესუს ნავასს** შეეძლო მეორე გოლის გატანაც, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან მთლად კარგად ვერ დაარტყა.

**ბოიან კრკიჩი** (ბარსელონა): *„იმდენი შანსი გვქონდა, რომ ფრეზე მეტისთვის უნდა მიგვეღწია. როგორც შევძელი, ვეხმარებოდი გუნდს. გოლი კარგია, მაგრამ, იმის გამო, რომ ქულები დავკარგეთ, გაორებული გრძნობით ვტოვებ სევილიას. მართლაც დაძაბული მატჩი გამოდგა, მოგება კარგი იქნებოდა, მაგრამ 1 ქულა მაინც ხომ ავიღეთ. ლა ლიგა საკმაოდ გრძელი ტურნირია, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომ, ეს თამაში უნდა დავივიწყოთ, რაც შეიძლება მალე".*

ტრადიციულად, ამ თამაშის სტატისტიკიდანაც მოვიყვანთ საინტერესო ფაქტებს.

● „ბარსელონას" ბურთის ფლობის 75% ჰქონდა ამ მატჩში.

● „ბარსელონას" ფეხბურთელებმა გააკეთეს 760 პასი, „სევილიას" - 228.

● ამ თამაშში ყველაზე კარგი მეპასე ანდრეს ინიესტა იყო, რომელმაც 144 პასიდან 132 ზუსტი გააკეთა. იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მან **ჩავისაც** კი აჯობა (143 პასი, 124 ზუსტი). შედარებისთვის, „სევილიას" საუკეთესო წარმომადგენელი გარი მედელია, რომელმაც 40 პასიდან 31 ზუსტი გააკეთა.

● „სევილია" ორჯერ მეტჯერ დაჯარიმდა, ვიდრე „ბარსა" - ოცი ათის წინაალმდეგ.

● მიუხედავად სტუმართა ამხელა უპირატესობისა, გუნდებმა კარში თითქმის ერთნაირად ურტყეს - 12 „ბარსელონამ", 11 - „სევილიამ".

● ბოლო გოლი ბოიან კრკიჩმა 3 თვის წინ გაიტანა „რეალ სოსიედადის" კარში. ახლა ახალგაზრდა ფორვარდის ანგარიშზე ჩემპიონატში 4 გოლია.

● **ვიქტორ ვალდესი** კლუბის მაისურით მატჩების რაოდენობით ლეგენდარულ **ანტონი რამალეტსს** დაეწია (288 მატჩი) და ახლა მხოლოდ **ანდონი სუბისარეტას** (301 მატჩი) ჩამორჩება.

● **სერხიო ბუსკეტსის** საოცარი სერია დასრულდა, აქამდე ბოლო 25 მატჩში, როცა ის მოედანზე იყო, „ბარსა" აუცილებლად იგებდა.

● „ბარსელონას" რამდენიმე ფეხბურთელს ემუქრება 1-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, თითო ყვითელი ბარათის მიღება დარჩათ ლიმიტის ამოწურვამდე ბუსკეტსს, ვალდესს, ჩავის, მესის და **მასკერანოს**.

● „ბარსელონამ" ლა ლიგაში რეკორდული წაუგებელი სერია (26 მატჩი) გაიმეორა, რეკორდი კი 1974 წლის სეზონზე მოდის.

ამასობაში, „ბარსელონა" მადრიდულ რადიოსადგურ „კადენა კოპეს" უჩივლებს, თუ ეს უკანასკნელი ბოდიშს არ მოიხდის კლუბისთვის დოპინგ-მაქინაციებში გარევის დაბრალებისგან. რადიოარხზე ერთ-ერთ გადაცემაში თქვეს, რომ „ბარსას" წარმატების საწინდარი აკრძალულ პრეპარატებზე დამყარებული მთელი ინსტიტუტია, რომლის წყალობითაც გუნდი საოცარ ფორმაშია.

„სევილიასთან" მატჩმა „ბარსას" ლაზარეთი გვარიანად შეავსო - სხვადასხვა ხარისხის ტრავმები მიიღეს: **დანი ალვესმა**, მესიმ, **მაქსველმა**, **პედრომ** და **ადრიანომ**.

**დანი ალვეში**: ბრაზილიელ მცველს მარჯვენა კოჭი დაუზიანეს. ითამაშებს თუ არა, „ხეტაფესთან" მატჩში, უცნობია.

**ადრიანო**: მარცხენა ფეხის კუნთი გაიჭიმა. ჯერჯერობით არც მისი თამაშის საკითხია ცნობილი.

**მაქსველი**: კიდევ ერთი ბრაზილიელი მცველი თამაშის შემდეგ საზარდულში ტკივილს უჩიოდა. ტესტირებამ აჩვენა, რომ კუნთი არ არის დაზიანებული, თუმცა მისი თამაში „ხეტაფესთან" ეჭვქვეშაა.

**პედრო**: მან პირველივე ტაიმში მიიღო ტრავმა. ტესტირებამ სპორტული თიაქარი დაადგინა, მისი თამაში „ხეტაფესთან" ძალზე საეჭვოა.

**მესი**: მარჯვენა მუხლზე დარტყმა მიიღო. არგენტინელს ექიმები დღეს ჩაუტარებენ ტესტირებას, რამდენად სერიოზულია დაზიანება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დანი ალვეში

### ლა ლიგა. XXVIII ტური

**ხეტაფე-ბილბაო 2:2**

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - ვ. სანჩესი, კატა დიასი, მარკანო, მ. ტორესი - ბოატენგი, პარეხო (75. კასკერო) - პ. რიოსი (79. სარდინერო), ალბინი (82. ბორხა), მანუ - არისმენდი.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი - ხ. მარტინესი, გურპეგი (46. ორბაისი) - სუსაეტა (61. ვერა), დე მარკოსი (61. . ლოპესი), მუნიაინი - ფ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 მანუ (68), 1:1 მანუ (69 ს.კ.), 2:1 მანუ (84), 2:2 ვერა (91)

**გაფრთხილება:** პარეხო, დიასი, კასკერო, ბორხა - დ. ლოპესი, ხ. მარტინესი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 14-12 (3-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 28 | 24 | 3 | 1 | 79-14 | 75 |
| 2. რეალი | 28 | 22 | 4 | 2 | 67-20 | 70 |
| 3. ვალენსია | 28 | 16 | 6 | 6 | 42-32 | 54 |
| 4. ვილიარეალი | 28 | 15 | 6 | 7 | 47-30 | 51 |
| 5. ესპანიოლი | 28 | 14 | 1 | 13 | 37-39 | 43 |
| 6. ბილბაო | 28 | 13 | 3 | 12 | 44-40 | 42 |
| 7. ატლეტიკო | 28 | 11 | 6 | 11 | 41-37 | 39 |
| 8. სევილია | 28 | 11 | 6 | 11 | 42-43 | 39 |
| 9. სოსიედადი | 28 | 11 | 2 | 15 | 38-46 | 35 |
| 10. მალიორკა | 28 | 10 | 5 | 13 | 29-38 | 35 |
| 11. ხეტაფე | 28 | 9 | 7 | 12 | 38-43 | 34 |
| 12. ოსასუნა | 28 | 8 | 8 | 12 | 30-33 | 32 |
| 13. ლევანტე | 28 | 9 | 5 | 14 | 29-39 | 32 |
| 14. დეპორტივო | 28 | 7 | 10 | 11 | 23-38 | 31 |
| 15. სარაგოსა | 28 | 7 | 9 | 12 | 28-39 | 30 |
| 16. რასინგი | 28 | 7 | 9 | 12 | 26-42 | 30 |
| 17. სპორტინგი | 28 | 6 | 11 | 11 | 26-35 | 29 |
| 18. ალმერია | 28 | 5 | 11 | 12 | 30-47 | 26 |
| 19. ერკულესი | 28 | 7 | 5 | 16 | 25-43 | 26 |
| 20. მალაგა | 28 | 7 | 5 | 16 | 36-59 | 26 |

**ბომბარდირები:** 27 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 13 - პედრო როდრიგესი (ბარსელონა);

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის გამოხმაურება

BUNDES LIGA

# ნაცნობი სახე

## მწვრთნელთა ვარამი გერმანიაში

„ბაიერნმა“ რობენისა და რიბერის „მეცადინეობით“ ექვსი გოლი გაიტანა, თუმცა სასწაულები სხვაგანაც მოხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ისაა, რომ მიუნხენურმა გრანდმა „ინტერთან“ უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩის წინ ხასიათი გამოიკეთა, „ჰამბურგი“, „შალკე“ და „ვოლფსბურგი“ კი იმ მტვერში ბუღრაობენ, რომელიც თვითონვე შექმნეს: „ჰამბურგში“ ზაფხულში გასაგდები მწვრთნელი ახლავე დაიფრინეს, გელზენკირხენში კაციშვილმა არ იცის, ფელიქს მაგათი ახლავე წავა, ზაფხულში, თუ საერთოდ არ წავა, ვოლფსბურგში კი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ დროებით დანიშნული მწვრთნელის, პიერ ლიტბარსკის ხელში გერმანიის ექსჩემპიონი, შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდეს.

თქვენ წინაშეა ამ და სხვა საინტერესო ფაქტებით გაჯერებული, ბუნდესლიგის 26-ე ტურის გამოხმაურება Tops & Flops-ის სახით.

რიმიდან კი მიონხენგლადბახელებმა გოლი გაიტანეს. შესაბამისად, „ვერდერი“ ერთი ქულის ამარა დარჩა, რაც უშუალო კონკურენტ „გლადბახთან“ ხელცარიელობის ტოლფასია.

მართალია, „ვერდერი“ მე-12 ადგილზეა, მაგრამ მე-16 ადგილს მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბრემენული კლუბის შეფები თომასს მშვიდად მუშაობის საშუალებას აძლევენ. ასეთი მიდგომა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ისეთი ქაოსი და გაუგებრობა, როგორიც გელზენკირხენში ან ჰამბურგშია, მაგრამ თუ „მუსიკოსები“ თვლემას განაგრძობენ, შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგაში გამოფხიზლდნენ...

Flop

### Never Change a Winning Beard

„ჰოფენჰაიმთან“ წაგებამ (0:1) დორტმუნდელებს ხასიათი ოდნავ წაუხდინა და მიუხედავად იმისა, რომ „ლევერკუზენთან“ სხვაობა 9 ქულამდე შემცირდა, „ბორუსიაში“ ამ მარცხისგან ტრაგედიას არ ქმნიან. წაგება ყველამ BVB-ს მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** დააბრალა...

ზუსტად ექვსი კვირის წინ „ბორუსიამ“ გადაწყვიტა, დილაობით წვერი არ გაეპარსა და მისი შეგირდები ფანტასტიკურად თამაშობდნენ. სწორედ გაუპარსაობის პერიოდში დაამარცხა „ბორუსიამ“ „ბაიერნი“ 3:1 და იმაზე აღარც ღირს ლაპარაკი, „შავ-ყვითლებს“ 2011 წელს წაგება საერთოდ რომ არ ჰქონდათ. „ჰოფენჰაიმთან“ მატჩის წინ კი კლოპმა რატომღაც გაპარსვა გადაწყვიტა და მისმა გუნდმაც წააგო. მატჩის შემდეგ დორტმუნდელი ქომაგები მღეროდნენ: დიდი ამბავი, თუ რობიზონ კრუზოს ჰგავხარ, იურგენ, წვერი ძალიან გიხდებოდაო...

Flop

### დაუკარით! მეორე ბუნდესლიგაში...

მაშინაც კი, როცა ძალიან გაბრაზებულია, ბრემენის „ვერდერის“ თავკაცი **თომას შააფი** მშვიდი, მამაშვილური ტონით საუბრობს ხოლმე. „გლადბახთან“ მატჩის შემდეგ, რომელშიც ბრემენულ კლუბს ანგარიში 92-ე წუთზე გაუთანაბრეს, თომასმა თქვა, მარტივად უნდა გვეთამაშა და ასეთი რამ არ დაგვემართებოდა, ყველაფერი თვითონვე გავართულეთ, ავიჭერითო. შააფი ასპროცენტიანია: **ვესლიმ** ბურთი იდიოტურად დაკარგა და მერე **ჰარვარდ ნორდტვეიტი** მოცელა, დანიშნული ჯა-

Flop

### შენი საქმე დოლია, პიერ...

„ვოლფსბურგის“ მენეჯერ **დიტერ ჰიონესის** განცხადება 9 ივნისს, როცა **პიერ ლიტბარსკი სტივ მაკლარენის** თანაშემწედ დაინიშნა: *„პიერი არის სპეციალისტი, რომელიც იდეალურად ესადაგება როგორც ჩვენს გუნდს, ისე მაკლარენსაც.“*

დიტერ ჰიონესის განცხადება 7 თებერვალს, როცა მაკლარენის გაგდების მერე ლიტბარსკი დროებით მთავარ მწვრთნელად დაინიშნა: *„პიერმა დაგვარწმუნა, რომ შექმნილ სიტუაციაში მისი დანიშვნა საუკეთესო გამოსავალია.“*

12 თებერვალს „ვოლფსბურგმა“ „ჰამბურგთან“ წააგო (0:1), 19 თებერვალს ფრაიბურგში დამარცხდა (1:2), 25 თებერვალს „გლადბახს“ მოუგო (2:1), 5 მარტს ლევერკუზენში 0:3 განადგურდა, 12 მარტს კი საკუთარ მოედანზე „ნიურნბერგთანაც“ წააგო (1:2).

დ. ჰიონესს „ნიურნბერგთან“ მარცხის შემდეგ ლიტბარსკიზე არაფერი უთქვამს. ვიცე-თავმჯდომარე **გერდ ფოსმა** კი აღნიშნა, რომ მდგომარეობა მძიმეა და ანალიზს საჭიროებს.

დასკვნა: პიერ ლიტბარსკის შეუძლია, ახალი სამსახური ეძებოს.

Flop

### ცისფერი მთები

**ფელიქს მაგათმა** „აინტრახტთან“ მატჩის წინ, რომელიც „შალკემ“ 2:1 მოიგო, ჟურნალისტებს სთხოვა, კითხვები მხოლოდ უშუალოდ თამაშის შესახებ დაესვათ, მაგრამ ერთმა კორესპონდენტმა მაინც შეჰბედა და ჰკითხა, ფეხბურთელებს მართლა არაადამიანურად ექცევით, როგორც ამას **კლემენს ტიონიესი** ამბობსო - *„წელიწად-ნახევარია აქ ვმუშაობ და ჩემთან ასეთი საჩივრით არავინ მოსულა!“* - იყო ფელიქსის მჭახე პასუხი.

მატჩის შემდეგ მაგათს ჰკითხეს: *„შალკეს“ გაისადაც თქვენ გაწვრთნით?“* პასუხი: *„რატომაც არა?!“*

შეფ ტიონიესის კომენტარი: *„ძალიან კარგი, თუ ასე ფიქრობს...“*

ფელიქსმა ფეხბურთელებს სამდღიანი შვებულება მისცა, რაც აქამდე არასდროს, არც ერთ გუნდში არ გაუკეთებია. ხვალ კი სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომაა, რომელზეც თავმჯდომარე ტიონიესი მკაცრად მოითხოვს მაგათის გათავისუფლებას. სხდომაზე ფელიქსიც დაპატიჟებულია. სავარაუდოდ არ მივა, მაგრამ შეიძლება მივიდეს კიდეც. მოკლედ, ნადი და გაიგე, რა ხდება...

ფაქტი ერთია: **ოტო რეჰაგელი** მზადაა, „შალკე“ სეზონის ბოლომდე ჩაიბაროს.

Flop

### ჰამბურგი, მარადიული ჯოჯოხეთი

წლევანდელი „ჰამბურგი“ მხოლოდ ზღვაში წვეთია. არც **არმინ ფეეს** გაგდება (ბაიერნთან 0:6-ის შემდეგ) ყოფილა ვინმესთვის მოულოდნელი. წლებია, ბუნდესლიგის „უკანასკნელი დინო“ (ერთადერთი გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის დაარსებიდან ელიტაშია) ქაოსისა და უკონცეფციობის საუკეთესო მაგალითია. მწვრთნელები და ფეხბურთელები მიდიან და მოდიან, არანაირი გეგმა არ არსებობს და წამყვანი ფეხბურთელების უმეტესობას სეზონის ბოლოს კონტრაქტები უმთავრდება, რომელთა გახანგრძლივებაზე სერიოზულად ჯერ არავინ ფიქრობს.

როგორც ვთქვით, არმინ ფეეც ზღვაში წვეთია, მაგრამ დააკვირდით ფოტოს: ამ წვეთს ისეთი სახე აქვს, რაც ზუსტად, ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე გამოხატავს იმას, რაც „ჰამბურგში“ უკვე წლებია ხდება...



ასეთი სახე ჰქონდა ჰამბურგის აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ არმინ ფეეს „ბაიერნთან“ მატჩის (0:6) საფინალო სასტვენის შემდეგ

Top

### უკბილო გოლი

„კაიზერსლაუტერნისა“ და „ფრაიბურგის“ მატჩში, 92-ე წუთამდე **ადამ ნემეცი** ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელიც ყურადღების ცენტრში მოექცა: ჯერ საკუთარი კარი დალაშქრა, მერე კი მეტოქის.

მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი მიმდინარეობდა და საფინალო სასტვენამდე წამებიღა იყო დარჩენილი, როცა კაიზერსლაუტერნელმა **ერვინ ჰოფერმა** ბურთი ხარიხის ქვეშ შეაგდო. რა გასაკვირია, რომ ჰოფერი სიხარულისგან გადაირია და კბილებიც გამოაჩინა, უფრო სწორად, უკბილობა. ზაფხულში, ერთ-ერთი ტესტ-მატჩის დროს მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელმა ჰოფერს ოთხი კბილი ჩაუმტვრია. ჰოფერი მას მერე პროთეზს ატარებს, რომელსაც თამაშების წინ გასახდელში ტოვებს ხოლმე...

Top

### ეს ვინ მოსულა?

ფელიქს მაგათმა იანვრის მიწურულს **დანილო აველარი, ალი ქარიმი** და **ანგელოს ხარისტეასი** გუნდში რომ აიყვანა, სამივეზე თქვა, შესაძლოა, არც დამჭირდნენ, მაგრამ თუ დამჭირდებიან, ზუსტად ვიცი, იმედს არ გამიცრუებენო. „აინტრახტთან“ მატჩში ხარისტეასი პირველი იყო იმ სამეულიდან, ვინც „შალკეს“ ფორმა პირველად მოირგო და მოედანზე შესვლიდან ცოტა ხანში გაიტანა გოლი, რომელმაც გელზენკირხენულ კლუბს სამი ქულა მოუტანა.

მაგათს რომ აგდებენ, ეს ბერძენ თავდამსხმელს დიდად არ უნდა აღელვებდეს, რადგან ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „შალკეს“ სეზონის ბოლომდე ოტო რეჰაგელი ჩაიბარებს. ხარისტეასისა და რეჰაგელის ურთიერთობაზე ლაპარაკით კი თავს აღარ შეგაწყენთ - ისედაც ყველაფერი გეცოდინებათ. თანაც, „შალკესთან“ კონტრაქტი ანგელოსსაც მხოლოდ სეზონის ბოლომდე აკავშირებს.

Top

### პოდოლსკი, კიოლნის წარმატების გარანტია

მე-14 ტურში „კიოლნმა“ საკუთარ „რაინენერგიშტადიონზე“ „ვოლფბსურგთან“ 1:1 ითამაშა. მას მერე „თხებმა“ ზედიზედ ექვსი საშინაო მატჩი მოიგო და მე-16 ადგილიდან მე-11 პოზიციამდე აღზევდა. კაპიტან **ლუკას პოდოლსკის** კი წარმატებებში ლომის წილი მიუძღვის: დუბლი „ვერდერთან“ (3:0), დუბლი „მაინცთან“ (4:2), გამარჯვების გოლი „ფრაიბურგთან“ (1:0), გოლი და საგოლე პასი „ჰანოვერთან“ (4:0)...

Top

### ერთადერთი გულახდილი ჰამბურგელი

*„ექვსი გოლი გავუშვი და ასეთი წაგების მერე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ მაინც უნდა ვილაპარაკო. ეს ყველაფერი უკვე ამაზრზენია! „ჰამბურგი“ იძირება და არაფრის გაკეთებას აზრი არა აქვს, რადგან ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. გუნდი ეგოისტების ხელშია! ისეთ მწვრთნელებს ნიშნავენ, რომლებიც გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. თუკი ფეემ დრობნი იყიდა, იმის ვაჟკაცობაც უნდა ჰყოფნოდა, რომ ძირითადი შემადგენლობიდან ამოვეგდე და კარში ნაყიდი დრობნი დაეყენებინა. ხანდახან ფიქრობს, რომ რომელიღაც ფეხბურთელი შესაცვლელია, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ იღებს. წლებია, ჰამბურგში სწორედ ასეთი მწვრთნელები ინიშნებიან და საინტერესოა, ვისი ბრალი უნდა იყოს ეს ყველაფერი?“*

...ვეტერანი მეკარე **ფრანკ როსტი** ერთადერთი გულახდილი ჰამბურგელია...

Top

### ნუ გააბრაზებთ რობენს

წინა ტურის გამოხმაურებაში **არიენ რობენი** ეგოიზმის გამო მაგრად გავაკრიტიკეთ და წარმოიდგინეთ, როგორ გააკრიტიკებდნენ გერმანიაში. როგორც ჩანს, „ბაიერნის“ ჰოლანდიელი დრიბლიორი ძალიან გაბრაზდა: შაბათს მან „ჰამბურგს“ ჰეთ-თრიკი შეუსრულა. რობენს ამ სეზონში, ბუნდესლიგაში მხოლოდ რვა თამაში აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე რვა გოლი და ოთხი საგოლე პასია.

შეგახსენებთ, რომ დღეს „ბაიერნი“ „ინტერს“ მასპინძლობს...

XXII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი. 3-1-3-3)

**ტომ შტარკე** (ჰოფენჰაიმი) - **ანდრეას ბეკი** (ჰოფენჰაიმი), **ფილიპ ვოლშაიდი** (ნიურნბერგი), **დანტე** (ბორუსია მ) - **პეტიტი** (კიოლნი) - **არიენ რობენი** (ბაიერნი), **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი) - **მილოვოე ნოვაკოვიჩი** (კიოლნი), **ვედად იბიშევიჩი** (ჰოფენჰაიმი), **რაული** (შალკე)

*ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ლუკას პოდოლსკი ძალიან კარგ სეზონს ატარებს - „კიოლნის“ კაპიტანი „კიკერის“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში უკვე მეექვსედ მოხვდა. იგივე უნდა ვთქვათ* ***რაულ*** *ზეც, რომელსაც სიმბოლურში მეხუთედ ვხედავთ. აი,* ***პეტიტი, ბეკი*** *და* ***შტარკე*** *კი დებიუტანტები არიან.*

საუკეთესო ფეხბურთელები

26 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშ. შეფასება |
|---|---|---|
| 1. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.56 |
| 2. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.56 |
| 3. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.61 |
| 4. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.62 |
| 5. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.70 |
| 6. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.71 |
| 7. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.73 |
| 8. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.75 |
| 9. ტომ შტარკე | ჰოფენჰაიმი | 2.76 |
| 10. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.82 |

ტურის გმირი

### არიენ რობენი (ბაიერნი)

მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ 8 მატჩი აქვს ჩატარებული (8 გოლზე და 4 საგოლე პასზე ზემოთაც ვისაუბრეთ), არიენ რობენმა „კიკერისაგან“ ტურის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას ხელი უკვე მეორედ გამოჰკრა. შაბათს „ბაიერნმა“ „ჰამბურგს“ ექვსი გოლი რომ გაუტანა, აქედან სამი ჰოლანდიელი დრიბლიორის ანგარიშზე იყო, ერთში კი ლომის წვლილი მიუძღვოდა.

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 18 | 3 | 21 |
| 2. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 17 | 1 | 18 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 9 | 9 | 18 |
| 4. არტურო ვიდალი | ლევერკუზენი | 9 | 9 | 18 |
| 5. დიდიე ია კონანი | ჰანოვერი | 11 | 7 | 18 |
| 6. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 11 | 6 | 17 |
| 7. ანდრე შიურლე | მაინცი | 12 | 5 | 17 |
| 8. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 11 | 5 | 16 |
| 9. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 14 | 2 | 16 |
| 10. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 3 | 13 | 16 |

შალკე

# ასოციალური, მფლანგველი...

## გელზენკირხენში მაგათი გაშიფრეს...

**ფელიქს მაგათის** „შალკეს“ მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის პოსტებიდან გადაყენება ერთი კვირაა, გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ პროცესი სალეჭი რეზინასავით გაიწელა. გუშინ, ბუნდესლიგის 26-ე ტურის მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ კვირას საღამოს ფელიქსი გელზენკირხენული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონიესს** შეხვდა - ერთმანეთის მოძულეებმა მხოლოდ ნახევარი საათი ისაუბრეს. შეხვედრის შემდეგ ტიონიესმა „ბილდს“ უთხრა, ყველაფერზე გულახდილად ვილაპარაკეთ, ოთხშაბათს ფელიქს მაგათს მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე სიტყვით წარსდგეს და ყველაფერი გაირკვევაო.

გერმანელი ჟურნალისტები კი ირწმუნებიან, რომ ხვალ მაგათი საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე, რომლის მიზანი მისი გათავისუფლებაა, საერთოდ არ გამოცხადდება. „ბილდის“ ცნობით, ფელიქსის წასვლა ასი პროცენტით გადაწყვეტილია, მაგრამ რაკი „შალკესთან“ კონტარქი 2013 წლამდე აკავშირებს და გაგდების შემთხვევაში კომპენსაცია ეკუთვნის, ახლა საქმე მხოლოდ ფულს ეხება. ფელიქსის ხელფასი წელიწადში 6 მილიონი ევროა, რაც იმას ნიშნავს, რომ გელზენკირხენული კლუბისგან 12 მილიონი ევრო ეკუთვნის.

თუკი მაგათი 12 მილიონს სრულად მოითხოვს, „შალკეს“ შეფებს შეუძლიათ, ეს ფული მისცენ, მაგრამ 2013 წლის ივნისამდე სხვაგან მუშაობის ნება არ დართონ და უმუშევრობა აიძულონ, რაც მაგათს სავარაუდოდ არ უნდა აწყობდეს. გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ზალცბურგის „რედ ბულის“ მფლობელს, მილიარდერ **დიტრიხ მატეშიტცს** ფელიქსის გადაბირება უნდა და მზადაა, წელიწადში 8 მილიონი ევრო გადაუხადოს...

„ვალენსიასთან“ მიღწეულმა წარმა-



ფელიქს მაგათს შალკედან ოფიციალურად ხვალ გააგდებენ

ტებამ (შალკე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა) მაგათის გაგდება რამდენიმე დღით გადადო, თუმცა შაბათს, „აინტრახტთან“ 2:1-ის შემდეგ ფელიქსმა მაინც გაიგო, რომ მისი გაშვება გადაწყვეტილია. გელზენკირხენული კლუბის ბოსების მთავარი არგუმენტები ასეთია: მაგათი ფეხბურთელებს არაადამიანურად ექცევა; სოციალურად არაკომპეტენტურია; 40 ფეხბურთელში, რომელთა უმრავლესობა გუნდს არაფერში გამოადგა, მილიონები გადაყარა.

გერმანული პრესის ცნობით, გადაწყვეტილია, რომ „შალკეს“ სეზონის ბოლომდე 72 წლის **ოტო რეჰაგელი** ჩაიბარებს. და ვინ გაწვრთნის **ლევან ყენიას** გუნდს მომდევნო სეზონში? ფავორიტად „შალკეს“ ყოფილი დამრიგებელი **რალფ რანგნიკი** მიიჩნევა, რომელიც ბოლოს „ჰოფენჰაიმს“ წვრთნიდა, საიდანაც იანვრის დასაწყისში წავიდა, თუმცა „პროფესორ რალფს“ „ჰამბურგსა“ და „ვოლფსბურგშიც“ ეპატიჟებიან. გამორიცხული არაა, რომ რანგნიკმა „შალკე“ ახლავე ჩაიბაროს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი




# ორი წელი ჰაინკესს

## ლევერკუზენში იუპის აღარ სჯერათ, ბაიერნისკენ გზა ხსნილია

„ჰამბურგთან“ 6:0-ის შემდეგ, ჟურნალისტებმა „ბაიერნის“ სპორტულ დირექტორ **კრისტიან ნერლინგერს იოახიმ ლიოვზე** ჩამოუგდეს სიტყვა - მართალია თუ არა, რომ რეკორდმაისტერი გერმანიის ნაკრების მწვრთნელზე ფიქრობსო, რაზეც ნერლინგერმა პასუხის გაცემა არ ისურვა. არც იყო სავალდებულო, რადგან ლიოვი „ბაიერნისთვის“ ჯერ კიდევ შორეული მომავლის პერსპექტივაა, ზაფხულიდან რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი და უმთავრესი კანდიდატი კი **იუპ ჰაინკესი** გახლავთ.

თუ „ლევერკუზენის“ დამრიგებელი „ბაიერნს“ ზაფხულიდან მართლაც ჩაიბარებს, შეცვლის მწვრთნელს, რომელმაც ორი წლის წინ თვითონ ჰაინკესი შეცვალა - **ლუის ვან გაალს** ვგულისხმობთ, რომლის მიუნხენიდან წასვლა, ოლონდ ზაფხულში, უკვე გადაწყვეტილი და ოფიციალურად დადასტურებული ამბავია.

ჰაინკესს „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და ჯერჯერობით მის გაგრძელებაზე სიტყვაც არ დასცდენია. სწორედ ამიტომ თქვა გუშინ „ფარმაცევტების“ ბოსმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა**, ჰაინკესისგან პასუხს უკვე ზედმეტად დიდი ხანია ველით, ფაქტია, რომ ჩვენთან ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს და ზუსტად ვიცი, რატომაცო.

„დონ იუპმა“ განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას, აფორმებს თუ არა „ლევერკუზენთან“ ახალ ხელშეკრულებას, მომდევნო ტურის შემდეგ გაახმაურებს. ყველამ იცის, რომ მისი მიზანი „ბაიერნია“, ჰაინკესი კი დროს იმიტომ წელავს, რომ მიუნხენელები სავარაუდოდ სხვა, „უფრო მსუყე კანდიდატისგან“ პასუხს ელიან. ეს მსუყე კანდიდატი კი, გერმანელი ჟურნალისტების რწმენით, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერია**. „ლევერკუზენში“ კი, ჰაინკესის შემცვლელად „ფრაიბურგის“ თავკაც **რობინ დუტს** განიხილავენ.

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# ინტერი იტალიური ფეხბურთისთვის იბრძოლებს!

## ბაიერნს ნერაძური საკუთარ მოედანზე არასდროს დაუმარცხებია, მაგრამ მიუნხენელებს ფრეც აწყობთ...

„ბაიერნი“ წელს ვერც გერმანიის ჩემპიონი გახდება და ვეღარც გერმანიის თასს მოიგებს. ასე რომ, თუკი **ლუის ვან გაალს** მიუნხენურ პუბლიკასთან ტიტულით გამომშვიდობება სურს, ერთადერთი შანსი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. რაკი მილანში 1:0 გაიმარჯვა, გერმანული გრანდი „ინტერთან“ ფავორიტია და თუ მიუნხენელები სასურველ შედეგს მიაღწევენ, „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მეთერთმეტედ გავა. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნს“ „ინტერი“ საკუთარ მოედანზე არასდროს დაუმარცხებია, თუმცა მხოლოდ ორჯერ შეხვდა: 0:2 და 1:1.

შაბათს, „ჰამბურგთან“ 6:0-ის შემდეგ, რამაც რეკორდმაისტერს ბოლოდროინდელი წარუმატებლობებით წახდენილი ხასიათი მნიშვნელოვნად გამოუკეთა, მიუნხენური კლუბის გასახდელი ყველაზე ბოლოს მთავარმა ექიმმა, დოქტორმა **მიულერ-ვოლფარტმა** დატოვა, რომელმაც ჟურნალისტებს ამაყად ამცნო, რომ „ბაიერნის“ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელია. ამრიგად, „ბაიერნი“ სეზონის დღემდე უმნიშვნელოვანეს მატჩს უპრობლემოდ ხვდება (თუ არ ჩავთვლით **ივიცა ოლიჩის** ტრავმას, რომელსაც ფაქტობრივად მთელი სეზონი გაუცდა). „ჰამბურგთან“ დიდი ანგარიშით მოგებამ კი ბავარიელებს თავდაჯერებაც შემატა, რაც **არიენ რობენის** თქმით, „ინტერთან“ შეხვედრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

„ჯუზეპე მეაცაზე“ მიღწეული 1:0 „ბაიერნს“ მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევს. *„ჩვენ ხომ ვიცით, რომ თუ ვინმეს გოლი აქვს გასატანი, ეს პირველ რიგში იტალიელებზე ითქმის,“* - ამბობს **ბასტიან შვაინშტაიგერი**, რომელსაც ამ სიტყვებით იმისთვის სურს ხაზგასმა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული „ინტერი“ ვალდებულია, შეუტიოს, რაც მიუნხენური გრანდის დრიბლიორ გარემარბებს, **ფრანკ რიბერისა** და **არიენ რობენს** დერეფნებს გაუხსნის. თუმცა „ბაიერნი“ დაცვაში ჩაჯდომას არ აპირებს: შვაინშტაიგერი ამბობს, ვან გაალის ხელში დაცვითი ფეხბურთი არასდროს გვითამაშია და ეს არც ახლა მოხდება, იმაში კი ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ საგოლე შანსები ჩვენც გვექნება, თანაც, არაერთი და მთავარია, რომ გამოვიყენოთ.

შვაინი ცამდე მართალია, მაგრამ თუ „ბაიერნის“ მცველები მოწოდების სიმაღლეზე არ იდგებიან, არაფერი გამოვა. ვან გაალმა გასულ უქმეებზე კიდევ ერთხელ აღიარა, რომ მის გუნდს დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს. მართალია, ჰოლანდიელ მწვრთნელს ეს სიტყვით არ უთქვამს, მაგრამ დაცვის ცენტრში **დანიელ ვან ბუიტენისა** და **ლუის გუსტავოს** წყვილის სახით მიმდინარე სეზონში ცენტრალური მცველების დუეტის მე-17 (!) ვარიანტი რომ გაამწესა, ამით ყველაფერი ნათქვამი იყო.

თუკი ლუისი „ინტერთანაც“ იმავე წყვილს მიანიჭებს უპირატესობას, გამოვა, რომ ლუის გუსტავო საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ვერ ითამაშებს, არადა, პირველ შეხვედრაში ბრაზილიელი ძალიან კარგად გაუმკლავდა მილანელთა გამთამაშებელ **ვესლი სნეიდერს**. ასე რომ, ვან გაალი უნდა დაფიქრდეს: არის თუ არა ნახევარდაცვის ცენტრში შვაინშტაიგერისა და **კროოსის** წყვილი საკმარისად ხისტი და დაცვითი ფუნქციების იდეალურად შემსრულებელი „ინტერთან“ პაექრობისთვის?

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ბაიერნი (გერმანია) VS ინტერი (იტალია)**

**პირველი მატჩი 1:0**

15 მარტი. მიუნხენი. ალიანს არენა. 23:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ვან ბუიტენი, ლუის გუსტავო, პრანიჩი - კროოსი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - გომესი.

**ინტერი (4-1-2-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, რანოკია, კივუ - კამბიასო - ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი - სნეიდერი - ეტო'ო, პანდევი.

**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)



მომენტი პირველი მატჩიდან: ფილიპ ლამისა და ვესლი სნეიდერის ორთაბრძოლა. ბაიერნმა მილანში 1:0 მოიგო

ზემოთაც ვთქვით, რომ „ბაიერნს“ საკუთარ მოედანზე „ინტერი“ არასდროს დაუმარცხებია, მაგრამ მიუნხენელებს გამარჯვება დღესაც არ სჭირდებათ - რეკორდმაისტერს მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც აძლევს ხელს.

რაც შეეხება „ინტერს“: თუკი „ბაიერნი“ მიმდინარე სეზონში უკანასკნელი ტიტულისთვის იბრძვის, „ნერაძური“ იტალიური ფეხბურთის შელახული რეპუტაციის მცირეოდენ აღდგენას შეეცდება - „ინტერი“ ხომ ერთადერთი იტალიური კლუბია, რომელიც ევროტურნირებს შემორჩა. თუ „ინტერი“ გავარდება, ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად მოხდება ისე, რომ ორივე ევროტურნირის მეოთხედფინალში არც ერთი იტალიური კლუბი არ იქნება წარმოდგენილი.

ევროპის ლიგაში მოასპარეზე იტალიური კლუბების აბსოლუტური უმრავლესობა ჯგუფური ეტაპიდან გავარდა. მართალია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სერია A-ს სამმა წარმომადგენელმა გააღწია, მაგრამ „რომა“ დონეცკის „შახტართან“ გავარდა, „მილანი“ კი „ტოტენჰემთან“. ახლა მთელი იტალია „ინტერის“ იმედადაა.

*„ბაიერნთან“ მატჩს ჩვენთვის ზუსტად ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც გასული სეზონის ფინალს ჰქონდა,“* - აცხადებს მილანელთა თავდამსხმელი **გორან პანდევი** და ამ სიტყვებით „ნერაძურის“ ტიფოზებს იმედიანად განაწყობს. იტალიური ფეხბურთის კრიზისს არაერთი მიზეზი აქვს, რაზეც ადრეც არაერთხელ გვისაუბრია და ახლა აღარ დავაკონკრეტებთ, გაგახსენებთ მხოლოდ იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ჩეზარე პრანდელის** სიტყვებს, რომელმაც თქვა, იტალიური კლუბები წლების მანძილზე ფულს მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებში ხარჯავდნენ, ინფრასტრუქტურას კი ყურადღებას არ აქცევდნენ, რამაც შესაბამისი შედეგი გამოიღო: სერია A უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგში ახლახან მესამედან მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგაში იტალიიდან სამი გუნდი გავა, გერმანიიდან კი უკვე ოთხი...

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: დღეს საფეხბურთო იტალიას იმ კლუბის იმედი აქვს, რომელიც ყველაზე არაიტალიური კლუბია. თვითონ განსაჯეთ: გასული სეზონის ფინალში „ინტერმა“ „ბაიერნი“ 2:0 რომ დაამარცხა, „ნერაძურის“ ძირითად შემადგენლობაში არცერთი იტალიელი არ იყო. მას მერე ვითარება დიდად არ შეცვლილა, თუმცა დღეს ძირითადში ერთი იტალიელი ნამდვილად იქნება: **ანდრეა რანოკია**, დაცვის ცენტრში.

საინტერესოა ის, რომ როცა „ბაიერნი“ პლეი ოფში პირველ მატჩს სტუმრად იგებდა, მომდევნო ეტაპზე გასვლას ყოველთვის ახერხებდა ხოლმე. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგა რომც მოიგოს, ვან გაალს მიუნხენურ კლუბში მომავალი სეზონისთვის მაინც არავინ დატოვებს, რასაც ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

*„შეუძლებელი არაფერია. ჩვენ მიუნხენში მოგება ნამდვილად შეგვიძლია,“* - ეს „ინტერის“ თავკაც **ლეონარდოს** ოპტიმისტური განცხადებაა, რომელსაც **ტიაგო მოტა** და **ლუსიო** კი გამოუჯანმრთელდნენ, მაგრამ შესაძლოა, ისინი ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ ვიხილოთ.




ცხადია, მარსელის „ოლიმპიკისთვის“ უმჯობესი იქნებოდა, რომ პირველი თამაში საკუთარ მოედანზე მოეგო, მაგრამ 0:0 ისეთი ფრეა, ფრანგები უკეთესს რომ ვერ ინატრებდნენ - თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. **დიდიე დეშამის** გუნდმა პირველ მატჩში გოლი არ გაუშვა, რაც „მარსელს“ საპასუხო მატჩის წინ საკმაოდ კომფორტულ მდგომარეობაში აყენებს. საკმარისია, ფრანგებმა „ოლდ ტრეფორდზე“ ერთი გოლის გატანა შეძლონ, რომ „მანჩესტერს“ უკვე ორი ექნება გასატანი.

მანჩესტერელები ძალიან თავდაჯერებულები არიან, რაც ასოციაციის თასზე „არსენალთან“ გამარჯვების დამსახურებაა. *„არსენალთან“ გამარჯვებამ სულზე მოგვისწრო, ბიჭები აზრზე მოვიდნენ და ირწმუნეს, რომ მოგება ჯერ კიდევ შეუძლიათ. ასე რომ, საქმეს უნდა მივხედოთ და „მარსელი“ უნდა დავამარცხოთ,“* - განაცხადა **უეინ რუნიმ** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე და როგორც ხედავთ, პრემიერლიგაში ორი პრინციპული თამაშის ნაგების („ჩელსისთან“ და „ლივერპულთან“) შემდეგ, „მანჩესტერს“ „არსენალთან“ გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მართლაც წაადგა.

ამრიგად, სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს ამ სეზონში ჰეთ-თრიკის შესრულების შანსი აქვს.

ალსანიშნავია, რომ „არსენალთან“ მატჩში ფერგიუსონმა **პოლ სქოულზი** და **რაიან გიგზი** დაასვენა, რომლებიც დღეს სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. ფერგიუსონის თქმით, დიდი შანსია, რომ დღევანდელი შეხვედრისთვის სრულად გამოჯანმრთელება **ნანიმაც** მოასწროს.

რაც შეეხებათ ფრანგებს: მარსელელები ფიქრობენ, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ წარმატების მიღწევა ხელეწიფებათ. *„ცხადია, ფავორიტი მანჩესტერია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ პირველ მატჩში კარი მშრალად შევინახეთ. ეს კი, საპასუხო შეხვედრაში, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდეს,“* - ეს ველოდრომელთა მთავარი მწვრთნელის, დეშამის სიტყვებია.

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

**მანჩესტერი (ინგლისი) VS მარსელი (საფრანგეთი)**

**პირველი მატჩი 0:0**

15 მარტი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 23:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - რაფაელი, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა - ნანი, ფლეტჩერი, სქოულზი, გიგზი - ერნანდესი, რუნი.

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ფანი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - ლუჩო გონსალესი, მბია, შეირუ - ვალბუენა, რემი, აიევი.

**არბიტრი:** კარლოს ველასკო (ესპანეთი)

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# რას მიხვდა კაპელო?

დიდი ამბები დატრიალდა ინგლისის ნაკრების კაპიტნობასთან დაკავშირებით: გასულ უქმეებზე დაირხა ჭორი, რომ **ფაბიო კაპელო** სამკლავურის **ჯონ ტერისთვის** დაბრუნებას აპირებს, რასაც - მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 11 თამაშიდან მხოლოდ ოთხში მიიღო მონაწილეობა - ამჟამინდელი კაპიტნის **რიო ფერდინანდის** შეშფოთება მოჰყვა. ფერდინანდმა ნაკრების გენერალურ მენეჯერ და კაპელოს მარჯვენა ხელ **ფრანკო ბალდინისთან** დარეკა და სიტყვიერი გარანტია მიიღო, რომ კაპიტნად ის რჩება. მიმოხილველები წერენ, რომ ამ დაპირების შემდეგ კაპელო ვარდება საჩოთირო მდგომარეობაში: 26 მარტს კარდიფში თამაშია, უელსი და ინგლისი ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელ ადგილს ეცილებიან. თუ ამ შეხვედრაში იტალიელი კაპიტნად მაინც ტერის დანიშნავს, ფერდინანდმა შეიძლება იფიქროს, რომ ბალდინის დაპირებას ფასი არ აქვს და ეროვნულ გუნდში ურთიერთობები აირიოს, რაც, ბუნებრივია, არასასურველია.

ფერდინანდის მაგობარმა „დეილი მეილს" უთხრა: *„ბალდინიმ რიოს უთხრა, რომ ტერი მისი და სტივენ ჯერარდის ტრავმების გამო გაახსენდათ. მას დაჰპირდნენ, რომ როგორც კი გამოჯანმრთელდება, სამკლავურს მისცემენ".*

მიუხედავად ამისა, დადის ხმები, რომ გუნდის ბუნებრივ ლიდერად კაპელოს მაინც „ჩელსის" კაპიტანი მიაჩნია. შეგახსენებთ, რომ ტერის სამკლავური **უეინ ბრიჯის** ცოლთან რომანის გაბმის გამო ჩამოართვეს.

მაგრამ, განა ინგლისში ყველა კაპელოს მსგავსად ფიქრობს? ზემოხსენებული „დეილი მეილის" მიმომხილველი **მეტ ლოუტონი** მიიჩნევს, ტერი მართლა განსაკუთრებული და შეუცვლელი კაპიტანი რომ იყოს, ეს იმ შეჯიბრებებს დაეტყობოდა, რომლებშიც ის გუნდს გაუძღვა - 2008-ის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრები საერთოდ ვერ მოხვდა, 2010-ის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კი ისეთი რამ ჩაიდინა, რომ გუნდის გაძღოლა აღარც კი ანდეს. *„ამრიგად, ისტორია გვიმტკიცებს, რომ ის ბობი მურისგან (მურის კაპიტნობის დროს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა) ძალიან შორს არის"*, - წერს ჟურნალისტი, თუმცა მსჯელობას სხვა მხრიდან იწყებს:

*„ნება მომეცით, შეგახსენოთ, რატომ ჩამოართვა შარშან, „უემბლიზე", 12-წუთიანი შეხვედრის შემდეგ კაპელომ ტერის სამკლავური. თქვენ გგონიათ იმიტომ, რომ მან მეგობარს უღალატა და მის ცოლთან რომანი გააბა? ასეთ რალაცებს ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში კაპელო მრავლად შეხვედრია და შესაბამისად, ამ ისტორიაში მისთვის განსაკუთრებული არაფერი იყო. მწვრთნელმა თქვა კიდეც, ასეთები ხდება. აქ, სხვა პრობლემა იყო - ვანესა პერონსელის (ბრიჯის მოღალატე ცოლი) ისტორია გაზეთებში მოხვდა და ის მსოფლიოს ჩემპიონატის წელს იმიჯს აფუჭებდა. თუ გახსოვთ, იმავე პერიოდში გაზეთებმა გამოჩხრიკეს, რომ ტერის „უემბლიზე" კერძო ლოჟა ჰქონდა და მას ფასდაკლებით აქირავებდა. ერთი სიტყვით, ამ ფეხბურთელის კაპიტნობა სახელს აფუჭებდა".*

ლოუტონი ფიქრობს, რომ ტერისთვის სამკლავურის ჩამორთმევა და მისი ფერდინანდისთვის გადაცემა კაპელოს „ინგლისურ კარიერაში" ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილი იყო. აქ მან თავი პრინციპულ ადამიანად წარმოაჩინა. რასაკვირველია, ბევრმა შეიძლება თქვას, რომ ვაჟკაცური საქციელია ისიც, რასაც იტალიელი ახლა აკეთებს - საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ ტერის სამკლავურს უბრუნებს, მაგრამ ვაგლახ: როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ დროებითი ნაბიჯია, რაც სულაც აღარ არის ვაჟკაცური საქციელი. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპელო როგორც იქნა მიხვდა - ინგლისელებისთვის ნაკრების კაპიტნობა მნიშვნელოვანი რამ არის, თუმცა კვლავ ვერ გაუგია, რომ ამ ქვეყანაში კაპიტანი ღირსეული, კორექტული, სამაგალითო ადამიანი უნდა იყოს.

**ილია ბაბუნაშვილი**




თავისუფალი ჭიდაობა



გიორგი გოგშელიძე

# გოგშელიძე: დაბმულივით ვარ, ერთი სული მაქვს...

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი თავისუფალ ჭიდაობაში **გიორგი გოგშელიძე** (96) უკვე გორშია და სარეაბილიტაციო პერიოდს შეუდგა. შეგახსენებთ - მან ხელზე ოპერაცია გაიკეთა გერმანიაში პროფესორ **ალბერტ გუზბახერის** კლინიკაში. გოგშელიძეს გუშინ გორში დავუკავშირდით და ოპერაციის თაობაზე დავეკითხეთ.

„იდაყვზე ოპერაცია მოსალოდნელზე უფრო დიდხანს გაგრძელდა - ორ საათზე ბევრად მეტხანს, რადგან რეალური სურათიც იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე - გვეგონა. იდაყვში ზოგიერთი ხრტილი გახევებულ-გაძვალებული იყო და გადაღებისას არ ჩანდა. 5 ცალი ასეთი ხრტილი ამომაჭრეს, მერე სახსარში სითხე აღმოჩნდა და ისიც ამოიღეს, ქრონიკული ანთებითი გარსიც მომაშორეს. ახლა საჭიროა, სარეაბილიტაციო პერიოდი სწორად წარვმართოთ - ხელი დროულად და გეგმაზომიერად უნდა დავამუშაოთ. ძალიანაც არ უნდა გავურთხილდეთ, მაგრამ არც უნდა ვიჩქაროთ. ეს მე თვითონ უნდა გავაკონტროლო - როგორც კი ტკივილს ვიგრძნობ, მაშინვე უნდა გავჩერდე, ტკივილი არ უნდა მოვითმინო. ერთ კვირაში ნაკერებსაც მომხსნიან და მერე ხელის კუნთების ვარჯიშსაც შევუდგები. ამაზე აქაურ ექიმებთან უკვე გავიარე კონსულტაცია, სარეაბილიტაციო პერიოდს ზურაბ კახაბრიშვილისა და ვალერი ახალკაცის მეთვალყურეობით გავივლი. ამ ოპერაციით ქრონიკული და სერიოზული ტრავმებიც დამთავრდა - ახლა არაფერია ისეთი, რაც ვარჯიშში ხელს შემიშლის. ამიტომ სარეაბილიტაციო პერიოდი როგორც კი დამთავრდება, სრული დატვირთვით შევუდგები ვარჯიშს. დაბმულივით ვარ, ერთი სული მაქვს, როდის გაივლის ეს პერიოდი, რომ მუშაობას შევუდგე", - გვითხრა გოგშელიძემ.



ოქსანა კალაშნიკოვა

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა ბრუნდება

ავსტრალიის ღია პირველობის მე-2 საკვალიფიკაციო წრეში დამარცხების შემდეგ არსად გამოჩენილა ჩვენი ქვეყნის მე-2 ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (188), რომელიც იანვრის მერე უქმობდა. და აი, 20 წლის ჩვენებური ჩინეთის ქალაქ სანიას 25-ათასიან ტურნირში გამოჩნდა, სადაც მე-6 ნომრად განთესეს. ორთვიანი პაუზის შემდეგ პირველ მატჩს ოქსანა ჩინელ **ია-ინ ლუსთან** (488) გამართავს, ვინც „უაილდ ქარდითაა" მიწვეული ტურნირზე. კალაშნიკოვა წყვილებშიც ითამაშებს, სადაც უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** (191) დუეტში მე-2 ნომრად არის განთესილი.

ჩინეთიდან საფრანგეთში გადავიდეთ, სადაც ამიენის 10-ათასიან ტურნირში სამი ჩვენებურია - მე-2 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** (279) ფრანგ **ალის ტისეს** (584) ეთამაშება, მე-3 ნომრად განთესილი **თათია მიქაძე** (285) პოლონელ **პატრისია სანდუსკას** (568) გამოცდის, ხოლო მე-6 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (415) საკვალიფიკაციო წრეში გამარჯვებულს შეხვდება, რომლის ვინაობა გუშინ გვიან გაირკვა. ეს ტრიო და **ანა ჯიქია** (1155) წყვილთა თანრიგშიც გამოვლენ, ოღონდ, სუფთა ქართული დუეტი მხოლოდ მიქაძესა და შაფათავას ექნებათ (მე-3 ნომრად განთესილები), ქვაცაბაია ისევ ხორვატ **აბრამოვიჩთან** ერთად ითამაშებს (მე-2 ნომრად განთესილები), ჯიქია კი რუს **მარენკოსთან** ერთად.

ანთალიის 10-ათასიან ტურნირში ძირითად ბადეში ერთი ქართველია - **ეკა გორგოძე** (552) პირველ წრეში მასპინძელ **ბუსრა კაირუნს** ეთამაშება. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში პირველივე წრეში დამარცხდა ურეიტინგო **თამარ ცხაკაია**, რომელმაც 0:6, 0:6 დათმო ჰოლანდიელ **ლოეს იანსენთან**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოხმაურება

# ორჯერ დამარცხებული რუნი

**უეინ რუნი** ფიქრობს, რომ ფეხბურთის ასოციაციის თასზე „არსენალთან" გამარჯვება „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შეგახსენებთ, რომ გუნდი კვლავ სამ ფრონტზე იბრძვის: პრემიერლიგის ცხრილს სამქულიანი უპირატესობით ლიდერობს, ჩემპიონთა ლიგაში დღეს „მარსელს" მასპინძლობს, ხოლო ასოციაციის თასზე ნახევარფინალშია. „მეთოფეთა" 2:0 დამარცხება „ჩელსისა" და „ლივერპულთან" წაგების შემდეგ „იუნაიტედისთვის" მნიშვნელოვანი იყო.

*„ზედიზედ ორი დამარცხების შემდეგ თამაში ყოველთვის ძნელია, მაგრამ ჩვენ საკუთარ თავს ვძლიეთ და „არსენალს" მოვუგეთ, რაც მნიშვნელოვანი შედეგი გახლდათ".*

თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისელთათვის ფეხბურთის ასოციაციის თასი მხოლოდ მეორადი მნიშვნელობის ჯილდო არ არის. რუნი ამ შეჯიბრების ფინალში ორჯერ 2005 და 2007 წლებში იყო. პირველად, კარდიფის „მილენიუმზე" მანჩესტერელეთა მეტოქე სწორედ „არსენალი" გახლდათ. შეხვედრა 0:0 დასრულდა, პენალტებში კი ჩრდილოლონდონელებმა გაიმარჯვეს, მეორედ კი **დიდიე დროგბას** მიერ 116-ე წუთზე გატანილი გოლით „ჩელსიმ" გაიმარჯვა.

*„მე ორი ფინალი მაქვს წაგებული, რასაც ვერ ვეგუები. ძალიან მინდა ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგება - ამბობს რუნი - ეს გახლავთ უდიდესი ისტორიის მქონე შეჯიბრება, რომელსაც ბავშვობიდან გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს. ორი ფინალის წაგება მეტისმეტია და ამიტომ დღეს, როდესაც წარმატებას ძალიან მივუახლოვდით, ყველა ღონეს ვიხმარ რათა შანსი ხელიდან არ გავუშვა".*

„არსენალთან" მეოთხედფინალურ შეხვედრაში რუნიმ გოლი გაიტანა, რაც ამ თავდამსხმელის მეშვიდე გოლი გახლდათ „მეთოფეთა" კარში.

*„ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. მთავარი იყო, რომ დაცვა გავამაგრეთ. მართალია შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავდა, მაგრამ ვიცოდით, რომ თუ დაცვაში უშეცდომოდ ვითამაშებდით, „არსენალს" კონტრშეტევაზე აუცილებლად გამოვიჭერდით. მართლაც ასე მოხდა. კონტრშეტევაზე ბევრი მომენტი შევქმენით და შესაძლოა მეტი გოლიც უნდა გაგვეტანა. რასაკვირველია, ფიზიკურადაც უპირატესობას ვფლობდით. საქმე ის არის, რომ „არსენალს" ცოტა ხნით ადრე ბარსელონაში დამღლელი თამაში ჰქონდა და ამით უნდა გვესარგებლა".*

„მანჩესტერ იუნაიტედისგან" განსხვავებით „არსენალს" ერთადერთი მიზანიღა შემორჩა - პრემიერლიგაში გამარჯვება. თუმცა აქ, როგორც მოგახსენეთ, დღეისათვის პირველ ადგილზე „იუნაიტედია". მანჩესტერელები ზემოთ ნახსენები სამი ქულით სწორედ „მეთოფეებს" უსწრებენ.

*„არავინ იცის, როგორ მოიქცევა „არსენალი" ერთიმეორეს მიყოლებული წარუმატებლობების შემდეგ - თქვა რუნიმ - რასაკვირველია, სამი შეჯიბრებიდან მიყოლებით გამოვარდნა ძნელი გადასატანია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლა ლონდონელებს შეუძლიათ მთელი ენერგიით შეუტიონ პრემიერლიგას. ჩვენ ყურადღების სამ სხვადასხვა ფრონტზე გადანაწილება დაგვჭირდება, „არსენლს" კი ერთი მიზანი დარჩა და მთელ ძალ-ღონეს მისკენ მიმართავს".*

„ლელოს" მკითხველმა იცის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „არსენალის" შეხვედრაში მოედანს **ანტონიო ვალენსია** დაუბრუნდა. რუნიმ თქვა:

*„ვერც კი ალგიწერთ, რა კარგია ვალენსია რომ გამოჯანმრთელდა. ეს შეხვედრა მისთვის ბოლო ექვს თვეში პირველი იყო, მაგრამ ანტონიომ ისე ითამაშა გეგონება მთელი ამ ხნის განმავლობაში მოედანზე იყო".*

და ბოლოს, მანჩესტერელთა მეკარის **ედვინ ვან დერ სარის** შესახებ... 40 წლის ჰოლანდიელმა გოლკიპერმა ისეთი დარტყმები მოიგერია, რომ გულშემატკივარს უნებლიედ გაუჩნდა მისი ფეხბურთში დატოვების სურვილი - მოგეხსენებათ, ვან დერ სარი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს.

*„ედვინმა რამდენიმე ეპიზოდში საოცრად ითამაშა. ჩვენ, ფეხბურთელები ვცდილობთ ყველა ღონე ვიხმაროთ რათა მას კარიერის დასრულება გადავაფიქრებინოთ. „არსენალთან" თამაშის შემდეგ საშხაპეშიც ამაზე ველაპარაკე, მაგრამ მან გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენ ვალდებული ვართ პატივი ვცეთ. არადა, ის ასაკის მიუხედავად დიდებულად თამაშობს და ჩემი ღრმა რწმენით მსოფლიოში საუკეთესოა".*

**ილია ბაბუნაშვილი**



უეინ რუნიმ არსენალს გაუტანა

სამთო თხილამურობა

# 0,19 წამი პოდიუმამდე

ბოლო დღეებში ქართველი სამთო მოთხილამურეები გერმანიასა და იტალიაში ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდნენ. გუდაურელი **ნინო ნიკლაური** 11 მარტს პეკოლ დი ზოლდოს გიგანტურ სლალომში გამოვიდა, სადაც მე-16 ადგილი დაიკავა. შემდეგ მან კავალეზეში გადაინაცვლა, სადაც კიდევ ორ გიგანტურ სლალომში იასპარეზა, ჯერ მე-6, შემდეგ კი მე-4 ადგილები დაიკავა. ნინოს ბოლო შეჯიბრებაში 0,19 წამი დააკლდა პოდიუმამდე.

იტალიაშივე იასპარეზა **დიმიტრი გედევანიშვილმა**, თუმცა ნაკლები წარმატებით. კავალეზეს პირველ გიგანტურ სლალომში მან 34-ე ადგილი დაიკავა, მეორეში კი დისკვალიფიკაცია მიიღო. გერმანიის კურორტ ლოჰბერგში **ჯაბა გელაშვილმა** ორ გიგანტურ სლალომში სცადა ბედი, პირველი ფის-ის ეგიდით გამართული დიდების ტურნირი იყო და იქ ჩვენებურმა 23-ე შედეგი აჩვენა, მეორე კი - გერმანიის ახალგაზრდული ჩემპიონატი, სადაც გელაშვილი მე-8 ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. მეტოქე

# ხომ არ გადაგვეღო მაგალითი?

## გადაწყდა - აზერბაიჯანის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებს მარტში ხელფასები გაუნახევრდებათ

ასეთი სადამსჯელო ღონისძიების გატარება ჭიდაობის იქაურმა ფედერაციამ გადაწყვიტა, რომელიც მინსკში გამართულ მსოფლიოს თასზე ნაკრების სუსტმა გამოსვლამ განარისხა - იქ ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფარიდ მანსუროვის** შეგირდებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს. ბაქოში დაბრუნებულ გუნდს ხელმძღვანელობა ბაზაზე შეხვდა და საკმაოდ მწვავე საუბარიც გაიმართა. სადამსჯელო ღონისძიების შესახებაც სპორტსმენებს იქ უთხრეს. ფედერაცია განსაკუთრებით უკმაყოფილო ნაკრების ლიდერთა გამოსვლებით დარჩა, რომლებსაც კრიტიკა არც გაუპროტესტებიათ. კიდევ ერთი სადამსჯელო ნაბიჯი ის იქნება, რომ უკლებლივ ყველა ლიდერი იჭიდავებს თვის ბოლოს დორტმუნდში გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე. არადა, თავდაპირველი გეგმით, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად მათ ახლა დასვენებას უპირებდნენ, მაგრამ მინსკში სუსტმა ჭიდაობამ ყველაფერი რადიკალურად შეცვალა და ახლა ყველას ევროპაზე ერეკებიან. თუმცა ეს ლიდერთათვის რეაბილიტაციის შანსიცაა - ვინც იქ წარმატებით იჭიდავებს და სამშობლოში მედლით დაბრუნდება, აპრილის ხელფასზე მარტის თვის დანაკლისს დაუმატებენ. ცხადია, მიიღებენ იმ პრემიებსაც, რაც მედალოსნებისთვისაა დაწესებული.

> **წამყვანი ათლეტები ლამის თვითონ წყვეტენ, როდის იჭიდაონ, სად გამოვიდნენ, როდის დაისვენონ და ასე შემდეგ, მაგრამ ამ „კალენდარში“ უფრო მეტი დრო რატომღაც უქმობას ეთმობა**

ვფიქრობ, ეს ჩვენთვისაც ძალზე საინტერესო მაგალითია - ალბათ, ბევრს აქაც მოუხდებოდა ამგვარი დასჯა, ორივე ნაკრებში, თუმცა არა მხოლოდ ჭიდაობებში. ჩვენთან ამ საკითხზე საუბრისას ყველა დონის ხელმძღვანელობა მოგიგებთ, ვინც არ იჭიდავებს, არც ხელფასი ექნება მაღალიო. მოგვიტევოს ყველამ, მაგრამ ასეთი მიდგომა პილატეს საქციელს გვაგონებს, ხელების დაბანა კი საქმეს ვერ უშველის. დაგვეთანხმებით, აზერბაიჯანელთა მიდგომა ძირეულად განსხვავებულია, ვფიქრობთ - უფრო სწორიც. ისინი წამყვან მოჭიდავეებს, პრაქტიკულად, აიძულებენ ჭიდაობას. ბუნებრივია, საწვრთნელ პროცესს მწვრთნელები უნდა გეგმავდნენ და არა - ჩინოვნიკები; გვესმის ისიც, რომ ტაქტიკურ-სტრატეგიული მოსაზრებებით, მწვრთნელებმა იქნებ ვინმე დაასვენონ კიდეც, თუმცა ჩვენთან ძალიან „პენსიონერულ სპორტსმენობამდე“ დავედით - წამყვანი ათლეტები ლამის თვითონ წყვეტენ, როდის იჭიდაონ, სად გამოვიდნენ, როდის დაისვენონ და ასე შემდეგ, მაგრამ ამ „კალენდარში“ უფრო მეტი დრო რატომღაც უქმობას ეთმობა. საკითხავია, იმსახურებენ კი ისინი იმ თუნდაც დაბალ ხელფასს, აქ ისიც შევნიშნოთ, რომ ეს დაბალი ხელფასი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუწვდომელი ფუფუნებაა. აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ წარმატება ჩვენს სპორტსმენებს ურიგოდ არ უფასდებათ. შეიძლება ზოგიერთ წამყვან ქვეყანაზე მეტადაც კი. ნამდვილად არ გვინდა, ვინმემ ცუდად ჩამოგვართვას რუსეთის მაგალითის შეხსენება, მაგრამ როცა შარშანწინ ძიუდოისტი **ივან ნიფონტოვი** (81) ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მშობლიურ ბარნაულში ერთოთახიანი ბინა მისცეს და იმის 10 პროცენტიც მას დააფარვინეს; უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონები, ძიუდოში **რომან გონტიუკი** (90) და თავისუფალ ჭიდაობაში **ვასილ ფედორიშინი** (60) ასევე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობენ, თავის დროზე საბინაო პრობლემას უჩიოდა უკრაინელთა ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში **გიორგი ზანთარაია** (60), რომელიც ძმასა და მშობლებთან ერთად ოროთახიანში ცხოვრობდა... დაგვეთანხმებით, არც ერთი ცნობილი ქართველი სპორტსმენი ასეთ სივიწროვეში არაა.

...ამ თემაზე საუბრისას აზერბაიჯანელ მოჭიდავეებს ფრიად საინტერესო რამ უთხრა ჭიდაობის იქაური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ელჩინ ჯაფაროვმა**. „როცა თქვენ აღწევთ წარმატებას, მთელი ფედერაცია, სპორტის სამინისტრო და ოლიმპიური კომიტეტი ძალიან ბევრს აკეთებენ საიმისოდ, რათა თქვენ კარგი ჯილდოები მიიღოთ - ბინა, ფული და მანქანა. ამიერიდან წარუმატებლობის შემთხვევაში თქვენ დაჯარიმდებით“, - განაცხადა მან.

ჯაფაროვს პირადად არ გაუკრიტიკებია მანსუროვი, თუმცა მწვავედ გაამათრახა მწვრთნელთა კორპუსი, რაც თავკაცის კრიტიკაცაა. თუმცა ეს იქით იყოს, ჩვენთვის საინტერესო კი ამ სიტყვებშიცაა. „სპორტსმენებში მოიშალა დისციპლინა. მე ვიცი, რომ შეჯიბრებებზე - ავტობუსში იქნება თუ სასტუმროში, სპორტსმენები უდისციპლინოდ იქცევიან და ამაზე მწვრთნელთა კორპუსი რატომ არ იღებს ზომებს? ვინც დისციპლინას დაარღვევს, ის ნაკრებიდან უნდა მოიკვეთოს - სხვა გამოსავალი არაა. ტიტულებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ - ვინც არ მუშაობს, გუნდში მისი ადგილი არ უნდა იყოს. აზერბაიჯანის დროშით გამოსვლა და მისი სახელის

> **ვინც არ მუშაობს, გუნდში მისი ადგილი არ უნდა იყოს. აზერბაიჯანის დროშით გამოსვლა და მისი სახელის დაცვა დიდი პატივია და ამას გათვალისწინება სჭირდება“, - თქვა ჯაფაროვმა. რამე ხომ არ გეცნოთ ამ ფრაზებში?**

დაცვა დიდი პატივია და ამას გათვალისწინება სჭირდება“, - თქვა ჯაფაროვმა. რამე ხომ არ გეცნოთ ამ ფრაზებში? ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტ ნაცნობს ამოიკითხავთ ვიცე-პრეზიდენტის მრისხანე გამოსვლის ამ ნაწილშიც: „მსოფლიოს თასზე მე ვერ დავინახე სპორტსმენი, რომელიც წაგებას განიცდიდა. მოიგებდნენ თუ ვერა, ეს სულერთი იყო მათთვის“.

მე არ ვიცი, რა დააშავეს აზერბაიჯანელმა ფალავნებმა მინსკში და რა დარღვევაზე ლაპარაკობდა ჯაფაროვი. შეიძლება, მას მანსუროვის ჯავრიც სჭირს - თავის დროზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩაანაცვლა ის, მაგრამ ექსცესები რეალურად რომ არ ყოფილიყო, ვიცე-პრეზიდენტი ამას ვერ მოიგონებდა. თუმცა მე ის უფრო მადარდებს, რომ შეჯიბრებებზე კარგად არც ჩვენი ათლეტები იქცევიან - აქაც ხშირია ქვეყნისთვის სახელის გამტეხი პრეცედენტი, განსაკუთრებით - ქურდობის. თავის დროზე სროლის ფედერაციამ ამისთვის ერთი სპორტსმენი სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯა. ახლახან კი ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია ძიუდოს ფედერაციამაც მიუსაჯა ერთს. სამწუხაროდ, ქვეყნის ღირსება არც ჩვენი სპორტსმენების ნაწილისთვისაა ფასეული ღირებულება...

ძიუდო. ინტერვიუ ვალერი ლიპარტელიანთან



ვალერი ლიპარტელიანი

# ძიუდოისტები სამშობლოში დაბრუნდნენ

**როგორც იქნა, გუშინ გამთენიისას ჩვენი ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები თურქეთის გავლით იაპონიიდან თბილისში დაბრუნდა. ჩვენები იქ დიუსელდორფიდან გაემგზავრნენ ერთობლივ შეკრებაზე და ტოკიოდან 40 წუთის სავალზე ცხოვრობდნენ. იმ საშინელ დღეს, როცა დამანგრეველმა მიწისძვრამ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა უბედურების ზონად აქცია, ჩვენები სასტუმროში იყვნენ. საბედნიეროდ, სტიქიის შემოტევას ყველა უვნებლად გადაურჩა, სამშობლოში დაბრუნება კი ერთი დღით შეუგვიანდათ. „ამომავალი მზის ქვეყანაში“ შექმნილ ტრაგიკულ ვითარებაზე, რაც მსოფლიოს უბედურებადაც იქცა, აგრეთვე, ჩატარებულ ერთობლივ შეკრებაზე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვალერი ლიპარტელიანი გვესაუბრება.**

**- თქვენ სად იყავით მიწისძვრის დროს?**

- დარბაზიდან ახალი მოსულები ვარჯიშის შემდეგ სასტუმროში ვისვენებდით. დაახლოებით 14.45 საათი იყო, როცა პირველი ბიძგები დაიწყო. პანიკაში არ ჩავცვენილვართ, მაგრამ შეგვეშინდა და გარეთ გამოვედით, საკმაოდ ძლიერი რყევები იყო. თან დიდხანსაც გრძელდებოდა - დაახლოებით წუთ-ნახევარი ირგვლივ ყველაფერი ირყეოდა და ყანყალებდა. ამის შემდეგ ნომრებში აღარ შევბრუნებულვართ, ფოიეში ვიყავით და როცა ბიძგები მეორდებოდა, გარეთ გავდიოდით. თავიდან არ ვიცოდით, სად იყო მიწისძვრის ეპიცენტრი ანუ რამდენით ვიყავით დაშორებული მას. ეს შიშს კიდევ უფრო გვიძლიერებდა. მერე, როცა გავიგეთ, ეპიცენტრი ჩვენგან შორს იყო და საფრთხე არ გვემუქრებოდა, ცოტა დავწყნარდით, ჩვეულებრივ რეჟიმს დავუბრუნდით და საღამოს ვივარჯიშეთ კიდეც.

**- ქალაქში დიდი პანიკა იყო?**

- პანიკა თავიდანვე ატყდა, რადგან ყველას შეეშინდა. იმ ინსტიტუტში, სადაც ვვარჯიშობდით, სწავლა შეწყდა და სტუდენტები შინ გაუშვეს. იქ მომსახურე ერთი შუახნის ქალი ამბობდა, ასეთი სიმძლავრის მიწისძვრა არ მახსოვსო და სხვებიც იმავეს ადასტურებდნენ. პანიკა კიდევ უფრო გააძლიერა აფეთქებამ ატომურ ელექტროსადგურზე - ყველა ცდილობდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ქვეყანა. საჰაერო სივრცის პარალიზებაც ამან გამოიწვია.

ქვეყანაში დიდი გლოვაა - ყველა ტიროდა და უზომოდ განიცდიდა მომხდარს, საშინელი სიტუაცია დავტოვეთ იქ. სტრესს რადიაციის საფრთხე კიდევ უფრო აძლიერებს. მიმდებარე ტერიტორიიდან ახლაც გრძელდება ხალხის სასწრაფო ევაკუაცია.

**- თავად ტოკიოში რა მდგომარეობა იყო? იგრძნობოდა საკვების დეფიციტი?**

- ცოტა დეფიციტი იქაც შეინიშნებოდა იმის მიუხედავად, რომ ეს მიწისძვრა ტოკიოდან შორს მოხდა. თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც უშუალოდ უბედურების ზონაში ხდება - იქ არც სასმელი წყალია, არც - საკვები და არც არაფერი. ჩვენთან ყველაფერი იყო, შიმშილობის საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრებოდა, თუმცა ბოლოს დეფიციტის გარკვეული ნიშნები კი შეინიშნებოდა.

**- ეს ნიშნები თქვენს საცხოვრებელ პირობებსაც ხომ არ დასტყობია?**

- არა, ჩვენ უკვე ისედაც მოვდიოდით - მიწისძვრა წამოსვლის წინადღეს მოხდა. ჩვენ არაფერი დაგვშავებია, მხოლოდ ერთი დღით გვიან მოგვიხდა გამომგზავრება.

**- იაპონიაში მცხოვრები ქართველებიდან ვინმეს თუ დაუკავშირდით?**

- სუმოისტებს მაშინვე დავურეკეთ. ისინიც ტოკიოში იყვნენ და არც მათ დაშავებიათ რამე, უვნებლად გადარჩნენ, მაგრამ რადიაციის გამო ისინიც დარდობდნენ. ამ მხრივ ვითარება თუ გაუარესდა, ალბათ, ჩვენც დავტოვებთ აქაურობასო, გვითხრეს მათ.

**- რიგითი ადამიანები მსხვერპლის შესახებ რას ამბობდნენ - იზიარებდნენ ოფიციალურ მონაცემებს?**

- არა, არ სჯერათ ამ მონაცემების და ეჭვობენ, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნება. ამბობენ, ძალიან ბევრია დაღუპული და დაკარგულიო.

**- ანუ, იაპონელებიც ეჭვობენ, რომ მთავრობა რეალურ სურათს მალავს?**

- კი, არსებობს ამის ეჭვი. განსაკუთრებით, ატომურ რეაქტორებთან დაკავშირებით - ხელისუფლება რეალურ ვითარებას არ ამხელს, ხალხში პანიკა რომ არ გამოიწვიოსო. მაგრამ ვიმეორებ - ამას ეჭვის დონეზე ამბობდნენ.

**- ბოლოს, სპორტულ მხარეზეც ვილაპარაკოთ - რამდენად კმაყოფილი ხართ ამ შეკრებით?**

- პირადად მე კმაყოფილი ვარ და როგორც ვიცი, ბიჭებიც ასევე ფიქრობენ. არანაირი პრობლემა არ ყოფილა და მაქსიმალური დატვირთვა მივიღეთ, რაც კი შეიძლებოდა - შტანგებზეც და ლეიბზეც. ვნახოთ, როგორ აისახება ეს შედეგზე, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი დადებითად იმოქმედებს.

ჩვენ გარდა შეკრებაზე სხვა უცხოელები ჩამოვიდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი ფრანგული კლუბიდან იყვნენ ბრიტანელებიც, აგრეთვე, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც, რასაც ადგილობრივი კლუბის ძიუდოისტებიც ემატებოდნენ, ძალიან ძლიერი მოჭიდავეები. თავად განსაჯეთ - იქ გამოდიოდნენ კანოსა და დიუსელდორფის შეჯიბრებების გამარჯვებული მასაკი ფუკუოკა 60-ში, კანოსა და პარიზის ტურნირის მომგები რიკი ნაკაია 73-ში, იუია იოშიდა, ვინაც როტერდამის „დიდი პრიზის“ ფინალში მომიგო, ვარჯიშებზე ყოველდღიურად დადიოდა და ბიჭებს ესპარინგებოდა კოსეი ინუე... ერთი სიტყვით, დამტვირთავები გვყავდა და ამ მხრივ პრობლემა არ იყო.

**- ზაიზენბახერის ფიზიკურ ვარჯიშებს როგორ შეეგუეთ?**

- თავიდან გაგვიჭირდა, რადგან არ ვიყავით მიჩვეულები. ამიტომ კუნთები გვტკიოდა, მაგრამ მერე შევეგუეთ და უკვე იმდენად აღარ გვიჭირს. პროგრესი მართლაც არის - მწვრთნელი ინიშნავდა ჩვენს დატვირთვებს და ყველამ საგრძნობლად მოვუმატეთ. მაგალითად, პირადად მე თუ თავიდან ჩაჯდომებზე 70 კილოგრამს ვაკეთებდი, შეკრება 95-ით დავამთავრე. ვნახოთ, ეს წინსვლა რამდენად აისახება შედეგებზე, ვარჯიშებით კი კმაყოფილი ვარ და საჭიროცაა ასეთი დატვირთვა. რასაც ვუყურებთ, ყველა ასე ვარჯიშობს, ასე ემზადება და თავი აქვთ გადადებული. ხალხი 24 საათი ვარჯიშობს, წუთით არ ისვენებს. იაპონელები ვარჯიშის მეტს არაფერს აკეთებდნენ - მწვრთნელი ხან ცხრა საათზე იბარებდა დარბაზში, ხან - სამზე და ხანაც - ხუთზე. მათთვის ერთ რეჟიმში ვარჯიში არ არსებობდა, მწვრთნელი როცა მიიჩნევდა საჭიროდ, მაშინ მუშაობდნენ. ამის შემხედვარე ჩვენც ვცვლიდით გრაფიკს - თუ დილით ლეიბზე ვემზადებოდით, საღამოს შტანგაზე ვვარჯიშობდით და - პირიქით. მართლა ჯარისკაცურ რეჟიმში ვიყავით, მაგრამ სხვა გზა არცაა დარჩენილი, ჩვენც ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. ოლიმპიადამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი.

**- ზაიზენბახერმა თუ გააკეთა კომენტარი ამ შეკრების შესახებ ან სამომავლო გეგმებზე თუ გითხრათ რამე?**

- დატვირთვები რომ გავზარდეთ, ამით კი იყო კმაყოფილი, მაგრამ მაინც მეტია საჭირო, ეს არაა საკმარისიო. მგონი, მთლად უკმაყოფილო არ უნდა იყოს, რადგან ბიჭები ბოლომდე იხარჯებოდნენ, ყველას გადადებული ჰქონდა თავი და ვარჯიშის გარდა არაფერზე ფიქრობდა. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ერთი ის გვითხრა, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ თურქეთში გავივლით ერთობლივ შეკრებას, ოღონდ იქ რომელი გუნდები იქნებიან, ეს არ დაუკონკრეტებია. ამის შემდეგ სად და რა გრაფიკით მოვემზადებით, არ უთქვამს. რამდენადაც მე ვიცი, ზაფხულში, მსოფლიოს წინ ისევ იაპონიაში იგეგმებოდა ერთობლივი ვარჯიში, მაგრამ ახლანდელი ტრაგედიის შემდეგ ეს ამბავი როგორ იქნება, ვერ გეტყვით.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● სანიკიძე იტალიის ოლ სტარში

# განბილებული ვარსკვლავეთიდან




კვირას, **ვიქტორ სანიკიძემ** იტალიაში გამართულ „ოლ სტარში“ ითამაშა... პირველი წინადადება წესით, ძახილის ნიშნით უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ ვინც მატჩი პირდაპირ ეთერში იხილა, ჩემსავით განბილებული დარჩებოდა: მეორე პერიოდის დასაწყისში სანიკიძემ **ანტონუტის** ეფექტურად დაუფარა, მოედანზე დაშვებისას „დაზარალებულს“ ზემოდან დაეცა და კოჭი იტკინა. ვიქტორი დახლოებით ორი წუთი პირითი ხაზის მიღმა იჯდა და ექიმები ტრავმის სიმძიმეს ამოწმებდნენ. შემდეგ იგი წამოდგა და კოჭლობით გასახდელში შევიდა. საიდანაც მალევე გამოვიდა და ყინულდადებული ფეხით „მსოფლიო“ ნაკრებს შეუერთდა. ბოლომდე იმედი გვქონდა, რომ ტრავმა სერიოზული არ იყო და სანიკიძე ჩატენვების კონკურსში მონაწილეობას მიიღებდა, მაგრამ ამ შეჯიბრების დროს მოედანზე მის ნაცვლად **იბრაჰიმ ჯაბერი** გამოვიდა. ჩატენვების კონკურსი, როგორც მოსალოდნელი იყო „სისარის“ ამერიკელმა ლიდერმა **ჯეიმს უაითმა** მოიგო.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ოლ სტარი“ იტალიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა - 90:88.

ვიდრე ტრავმაზე ლაპარაკს განვაგრძობდეთ, ვარსკვლავთა მატჩში ვიქტორის მონაგარს გაგაცნობთ: 6 წუთი, 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი), 1 მოხსნა, 1 დაფარება, 2 პასი... მიუხედავად იმისა, რომ სულ 6 წუთი ითამაშა, სანიკიძემ „ოლ სტარში“ თავისი სიტყვა მაინც თქვა - მისი ჩატენვა პირველი ტაიმის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მომენტი იყო.

მატჩის დასრულების შემდეგ ვიქტორი ბოლონიაში გაემგზავრა, სადაც გამოკვლევა ჩაუტარდება და ტრავმის ხარისხიც დადგინდება. ბოლონიელებსაც და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ სერიოზული არაფერია და სანიკიძე 20 მარტს „ვარეზესთან“ იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ითამაშებს. ბოლონიელებისთვის ამ შეხვედრის მოგება ძალიან მნიშვნელოვანია.

● ტროადან სოხუმისკენ

# ფაცაცია ამერიკაში დაასრულა და საქართველოსთვის ემზადება



ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **ლევან ფაცაცია** „სოხუმის“ განაცხადშია. კლუბის ხელმძღვანელობას ეიმედება, რომ კალათბურთელი ამერიკაში კოლეჯს მალე დაამთავრებს და პლეი ოფებისთვის შემოუერთდება. ვიდრე ფაცაციას კომენტარს შემოგთავაზებდეთ, ორიოდე სიტყვა 2010-11 წლების სეზონზე ვთქვათ.

მისმა „ტროამ“ რეგულარული ეტაპი 6 მოგებით დაასრულა და პლეი ოფში გავიდა, სადაც პირველივე ეტაპზე დამარცხდა. ტროელთა მეტოქე „ჩრდილოეთ ტეხასი“ იყო, რომელმაც 83:69 იმარჯვა.

ამ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა 24 წუთში 11 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. მან სეზონში 29 მატჩი ითამაშა (15 სასტარტოში), საშუალოდ 26.1 წუთში 7.8 ქულასა და 4.8 მოხსნას აგროვებდა. ფაცაციამ სეზონი მეტად ეფექტურად დაიწყო, 20 ქულასაც რამდენიმეჯერ ასცდა, მაგრამ შუა სეზონში ტრავმის გამო მაჩვენებლები გაუუარესდა.

*- თებერვალში ტრავმა მივიღე, თუმცა მალე გამოვჯანმრთელდი და „ტროას“ ბოლო მატჩებში დავეხმარე. ახლა თავს კარგად ვგრძნობ.*

ფაცაციამ პლეი ოფზეც თქვა:

*- რეგულარული ეტაპის შედეგებით პლეი ოფში გამოსვლის უფლება მოვიპოვეთ, მაგრამ პირველივე წრეში დავმარცხდით. ძლიერი მეტოქე გვყავდა. სეზონის დასრულების შემდეგ ვარჯიში არ შემიწყვეტია, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ.*

კალათბურთელი ამჟამად მთლიანად სწავლაზეა გადართული, რომელსაც მაისის დასაწყისში ამთავრებს. სწორედ მას შემდეგ შეუერთდება „სოხუმს“.

*- სოხუმელებს აქედან ვქომაგობ. ძალიან მაინტერესებს, ვის შეხვდებიან მეოთხედფინალში. მინდა ჩამოვუსწრო და წარმატებულ თამაშში დავეხმარო. თუმცა, თუ სწავლა არ დავამთავრე, ვერ ჩამოვალ.*

შეგახსენებთ, რომ ლევან ფაცაცია 1988 წელსაა დაბადებული, 199 სმ სიმაღლისაა და უნივერსალი კალათბურთელია: შეუძლია მსროლელად, მსუბუქ და მძიმე ფორვარდად თამაში.

● ესტონეთის ჩემპიონატი

# ცინცაძის ოთხი სამიანი



ბალტიის ლიგის მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩის წაგების შემდეგ („ვენტსპილსთან“) „ტარტუ როკმა“ ჯავრი „პარნუზე“ იყარა. ესტონეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი „როკერებმა“ სტუმრად ჩაატარეს და 93:60 იმარჯვეს.

**გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელებმა პირველი ტაიმი მხოლოდ 10 ქულის სხვაობით მოიგეს, მეორე ნახევარში კი სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და საბოლოოდ 33-ქულიანი სხვაობითაც იმარჯვეს.

სტუმართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი გამთამაშებელი იყო. მან 20 წუთში (სასტარტო) 16 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი შეასრულა. 12 ქულა გიორგიმ სამქულიანი ტყორცნებით მოაგროვა: 7-დან 4 სამიანი, 3-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო. მასზე მეტი მხოლოდ **ტიმო ეიჩფუსმა** ჩააგდო - 17 ქულა, რასაც 10 მოხსნა მიაყოლა.

ესტონეთის პირველობის სატურნირო ცხრილს სათავეში „კალევი“ (28 გამარჯვება) უდგას, თუმცა მას „ტარტუ როკზე“ (26 მოგება) ორით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. „როკერები“ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩისთვის ემზადებიან - ბალტიის ლიგაზე 17 მარტს „ვენტსპილსს“ უმასპინძლებენ. მოგების შემთხვევაში გადამწყვეტი მესამე მატჩი დაინიშნება. სერია ორ გამარჯვებამდეა.

● კარგი ამბები ბელგიიდან

# შენგელიას ეფექტი

**თორნიკე შენგელიას** დამაჯერებელი თამაში „პეპინსტერის“ მესამეადგილოსან „მონსთან“ გამარჯვების საწინდარი გახდა. ამ მოგებით პეპინსტერელებმა გასავარდნ ზონას დააღწიეს თავი. მათ 7 მოგება მოუგროვდათ და მეშვიდე ადგილზე ავიდნენ, ხოლო ბოლოსწინა პოზიციაზე მყოფ „ლიეჟს“ ერთით ნაკლები გამარჯვება უწერია.

„პეპინსტერმა“ „მონსთან“ მთელი შეხვედრა სტაბილურად ჩაატარა, მეორე და მესამე პერიოდებში მეტოქე 15 ქულით ჩამოიტოვა, ხოლო ბოლო რაუნდში მონსელებს თამაშის შემოტრიალების უფლება არ მისცა.

თორნიკემ მართალია მხოლოდ 14 წუთი ითამაშა, მაგრამ თანაგუნდელთა შორის გამორჩეული იყო: 11 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა. შენგელიამ 4 ორქულიანი, 1 სამიანი და 2 საჯარიმო ისროლა და მხოლოდ ერთი ორქულიანი გააცუდა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 17-ს უწია, ამ მაჩვენებლით ორით ჩამორჩა თანაგუნდელ **რაშუან ფრიმენს**, რომელმაც 14 ქულას 7 მოხსნა შეუწყვილა.

„პეპინსტერი“ მომდევნო შეხვედრას 18 მარტს ჩაატარებს, სატურნირო ცხრილის შუაში მყოფ „ოოსტენდეს“ ეწვევა.



● ადრიატიკის თასი

# ბოისა-შერმადინი ფინალურ ოთხეულს უმასპინძლებენ

ადრიატიკის ლიგის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა - ფინალური ოთხეულის მატჩებს სლოვენიის დედაქალაქი ლიუბლიანა უმასპინძლებს. ნახევარფინალები 19 აპრილს გაიმართება, ხოლო ფინალი - 21-ში.

სადღეისოდ ნახევარფინალში თამაშის უფლება სამ გუნდს აქვს მოპოვებული: სლოვენიის „ოლიმპიას“ (16 მოგება), ასევე სლოვენიის კრკა-ს (17) და სერბულ „პარტიზანს“ (17). მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობა რეგულარული ეტაპის ბოლო ტურში გაირკვევა - ფინალურ ოთხეულში ან ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტი“ ითამაშებს, ან ხორვატიის „ზაგრები“. მათ 14-14 გამარჯვება უწერიათ. ბოლო ტურში „ბუდუჩნოსტი“ ჩეხეთის „ნიმბურკს“ უმასპინძლებს, ხოლო „ზაგრები“ - სერბეთის „ცრვენა ზვეზდას“. ამავე ტურში სლოვენიის „ოლიმპია“ „რადნიჩკის“ უმასპინძლებს (16 მარტს).

მომავალ მატჩებზე ვრცლად ვილაპარაკეთ, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს „ოლიმპიას“ ბოლო შეხვედრა, რომელიც წარუმატებელი გამოდგა როგორც გუნდისთვის, ასევე ქართველი ოლიმპიელებისთვის. სლოვენიელებმა სერბეთში „ცრვენა ზვეზდასთან“ თამაში პირველივე მეოთხედიდან ვერააწყვეს (12:26 ჩამორჩნენ) და მატჩის ბოლომდე არ მისცემიათ თუნდაც დაწევის შანსი. საბოლოოდ 92:70 სერბების სასარგებლოდ.



**ვლადიმერ ბოისაც და გიორგი შერმადინიც** სათადარიგოები იყვნენ. ვოვამ 17:30 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა.

შერმადინმა მოედანზე 8:30 წუთი გაატარა. არ გეგონოთ, მწვრთნელმა დრო ისევ შეუმცირა - გიორგიმ ხუთი ჯარიმის გამო შეხვედრა ნაადრევად დაასრულა. მისი მონაგარი ასეთი იყო - 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება. ორივე ჩვენებურმა ორქულიანები ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა: გიორგიმ 2 ჩააგდო, ბოისამ - 1.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ჭადრაკი

# ევროპა საფრანგეთში შეიკრიბება

საფრანგეთი 22 მარტიდან მოჭადრაკე ვაჟთა მე-12 ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. დღევანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ტურნირი ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება - შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე სხვადასხვა ქვეყნის 410-მა წარმომადგენელმა გამოთქვა პაექრობებში მონაწილეობის სურვილი (შარშან რიეკაში (ხორვატია) 408 მოჭადრაკე იბრძოდა პირველობისთვის). სამფეროვანთა ქვეყანაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ევროპის ჩემპიონატების 2009 წლის ბრინჯაოს და 2010 წლის ვერცხლის პრიზიორი **ბაადურ ჯობავა,** საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **დავით ზარქუა,** მეორე და მესამეადგილოსნები - **ლევან ფანცულაია** და **ლუკა პაიჭაძე,** ასევე, **თორნიკე სანიკიძე, დავით ბენიძე** და **დავით ლობჟანიძე.**

საერთოდ, ჩემპიონატში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს. 10 დიდოსტატი 2700-იანთა კლუბის წევრია. ესენი არიან: **პიოტრ სვიდლერი** (რუსეთი, 2730), შარშანდელი ჩემპიონი **იან ნეპომნიაშჩი** (რუსეთი, 2729), **დავით ნავარა** (ჩეხეთი, 2722), **ნიკიტა ვიტიუგოვი** (რუსეთი, 2720), **ზოლტან ალმაში** (უნგრეთი, 2719), **დმიტრი იაკოვენკო** (რუსეთი, 2718), **ფაბიანო კარუანა** (იტალია, 2716), **რადოსლავ ვოითაცეკი** (პოლონეთი, 2711), **ბაადურ ჯობავა** (2707) და **ფრანცისკო ვალეხო** (ესპანეთი, 2707).


დავით ზარქუა

ფრანგებმა საკმაოდ მაღალი ფულადი პრიზები დააწესეს: ოქროსმედალოსანი 20000 ევროთი დაჯილდოვდება, მეორეადგილოსანი - 15000, მესამე ადგილზე გასული - 11000, მეოთხე-მეექვსეადგილოსნები, შესაბამისად, 8, 7 და 6 ათასი ევროთი. სულ პირველ-ოცდამეხუთე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ ფულად პრიზებს. შეჯიბრებაში 11 ტური გათამაშდება, 29 მარტი დასვენების დღეა.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთში ვაჟებს მეტოქეობას გაუწევენ ქალები უნგრელი **იუდით პოლგარის** მეთაურობით. ლიდერს მხარს აუბამენ ორგზის ევროპის ჩემპიონი **კატერინა ლახნო** (უკრაინა), მისი თანამემამულე, მანდილოსნებში ევროპის პირველი ჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა,** ასევე, **ლელა ჯავახიშვილი** და **სალომე მელია** (ორივე-საქართველო), **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია), **იოლანტა ზავადსკა** (პოლონეთი), **ელენა დემბო, ეკატერინა პავლიდუ** (ორივე-საბერძნეთი), **იოვანკა ჰოუსკა** (ინგლისი) და სხვები.

პირველობისთვის ყველა ქართველი მოჭადრაკე მონდომებით ემზადება, მათ შორის - ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი **დავით ზარქუა**. აი, რა მითხრა მან: „პირადი მწვრთნელი არ მყავს, ამიტომ შეძლებისდაგვარად ვახერხებ, ინდივიდუალურად გავერკვე ლაბირინთებში. ამას წინათ ირანის საერთაშორისო ტურნირში ვითამაშე. 9-დან 8 პარტიაში 2500 და მეტი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებს შევხვდი, მათ შორის - 6 დიდოსტატსა და 2 საერთაშორისო ოსტატს, 9 შესაძლებლიდან 6 ქულით მე-9 ადგილი დავიკავე, რეიტინგი 26 პუნქტით გავიუმჯობესე. ერთადერთი დასანანი მარცხი ვიწვნიე ნიდერლანდელ სერგეი ტივიაკოვთან საყაიმო პოზიციაში. მესმის, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად მეტ ტურნირში უნდა მეთამაშა, მაგრამ საამისოდ ფინანსებია საჭირო. ხელშეწყობა რომ მქონოდა, მაშინ ევროპის პირველობაზე, სადაც უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს, ალბათ, უფრო მაღალი რეიტინგითა და წოდებით გავემგზავრებოდი, ვიდრე ეროვნული ოსტატობაა. ყოველივეს მიუხედავად, ვეცდები, მეტოქეებს მედგარი წინააღმდეგობა გავუწიო".

ახლა კი იმ მოჭადრაკეთა ვინაობას შეგახსენებთ, რომლებიც წინა ევროპის ჩემპიონატებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: 2000 წელი-**პაველ ტრეგუბოვი** (რუსეთი), უმასპინძა იტალიამ, 120 მოთამაშე; 2001 წ.-**ემილ სუტოვსკი** (ისრაელი), მაკედონია, 203; 2002 წ.-**ბართლომეი მაჩეია** (პოლონეთი), ბათუმი, 101; 2003 წ.-**ზურაბ აზმაიფარაშვილი** (საქართველო), თურქეთი, 207; 2004 წ.-**ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა), თურქეთი, 74; 2005 წ.-**ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ** (რუმინეთი), პოლონეთი, 229; 2006 წ.-**ზდენკო კოზული** (ხორვატია), თურქეთი, 138; 2007 წ.-**ვლადისლავ ტკაჩიევი** (საფრანგეთი), გერმანია, 403; 2008 წ.-**სერგეი ტივიაკოვი** (ჰოლანდია), ბულგარეთი, 323; 2009 წ.-**ევგენი ტომაშევსკი** (რუსეთი), ჩერნოგორია, 306; 2010 წ.-**იან ნეპომნიაშჩი** (რუსეთი), ხორვატია, 408 მოთამაშე.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# უკეთ, მაგრამ ათეულს მიღმა

ბლიცტურნირის შემდეგ ნანსმა სწრაფ ჭადრაკში საფრანგეთის ღია ჩემპიონატს უმასპინძლა. საასპარეზოდ 169 მოთამაშემ მოიყარა თავი, მათ შორის 19 დიდოსტატი გახლდათ. 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი გერმანელმა **დანიელ ფრიდმანმა** დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ **ულფ ანდერსონი** (შვედეთი), **მაქსიმ ტუროვი** (რუსეთი), **ლორან ფრესინე** (საფრანგეთი), **არკადი ნაიდიჩი** (გერმანია), ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონი **რუსტამ კასიმჟანოვი** (უზბეკეთი) და **გეორგ მაიერი** (გერმანია), რომლებმაც, შესაბამისად. მეორე-მეშვიდე ადგილები გაინაწილეს.



შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქართველი დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძე,** რომელიც ევროპის ინდივიდუალურ პირველობაში საპაექროდ ემზადება. საქართველოს 2009 წლის ჩემპიონმა აყამად უკეთ ითამაშა, ვიდრე ბლიცტურნირში - 6 ქულას მოუყარა თავი და მე-19 ადგილი დაიკავა, არადა, უკეთესი კოეფიციენტით, შესაძლოა, მე-11 ყოფილიყო.

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# მეორე ტურიც ნაცნობი სცენარით



საქართველოს წყალბურთელთა წლევანდელ ჩემპიონატში მხოლოდ ოთხი გუნდი მონაწილეობს, რადგან ბათუმელებმა შეჯიბრებაში, სურვილის მიუხედავად, მონაწილეობა ვერ შეძლეს. პირველ ტურში ქვეყნის ჩემპიონმა „თბილისმა" ვეტერანთა გუნდი „ზვიგენები" დაამარცხა (21:6), ხოლო ვერცხლის პრიზიორმა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსმა" „ივერიას" სძლია. ფავორიტებმა მე-2 ტურშიც მიაღწიეს წარმატებას: „ლიგამუსმა" „ზვიგენებს" აჯობა- 22:1, „თბილისმა" კი „ივერიას" მოუგო. მე-3 ტურის მატჩები 12 აპრილს გაიმართება, ანუ მას შემდეგ, რაც ეროვნული ნაკრები 30 მარტს „ოლიმპიკის" აუზში საბერძნეთის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პაექრობას გამართავს.

**ვაჟა დანელია**




ნიაზ მამრიკიშვილი

# წინ და მხოლოდ წინ...

## ქართული რაგბი შემდგომი განვითარების სისტემას ნაბიჯ-ნაბიჯ აყალიბებს

რაგბიში საქართველოს პირველობაში მონაწილეობის განცხადების წარდგენის ვადა 11 მარტს ამოიწურა. ახლა უკვე დაზუსტებითაა ცნობილი, რომ უმაღლეს და პირველ ლიგაში 8-8 გუნდი იასპარეზებს. გუშინ რაგბის კავშირში მთელი სამუშაო დღე მომავალ შეჯიბრებებთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით იყო დატვირთული.

საგულისხმოა, რომ სპორტის არც ერთ სათამაშო სახეობაში არ არის საქართველოში სპორტული კალენდარი ისე „დამძიმებული", როგორც რაგბიში. უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების გარდა თავიანთ პირველობებს ჩაატარებს დუბლიორთა შემადგენლობა, მეორე ლიგა, ა და ბ ლიგები (შესაბამისად აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონები), დაგეგმილია აგრეთვე შვიდკაცა ჩემპიონატი სამ ტურად, საქართველოს თასის გათამაშება, ბავშვთა ტურნირები, ქვიშის რაგბი... ასპარეზობები აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

როგორც ხედავთ, რაგბი მთელ საქართველოში განეფინა და აქტიური სპორტული ცხოვრების სტიმულად იქცა. მაგრამ ერთია კლუბებისა და გუნდების განუხრელი ზრდა, მეორე დონე, რაც კადრების და მათი კვალიფიკაციის პირდაპირპროპორციულია. როგორაა ამ თვალსაზრისით მდგომარეობა?

- რაც მთავარია, თვითდინებაზე არაა მიშვებული საქმე, ყველაფერი ორგანიზაციულ ჩარჩოში ჯდება, მივდივართ წინ - განვითარება-სრულყოფისკენ, - გვეუბნება რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე, **ნიაზ მამრიკიშვილი,** რომელსაც ახლა, აპრილის მოახლოებასთან დაკავშირებით, ყველაზე მეტად მოძალებია საქმე. მცირე დრო ჩვენთან სასაუბროდ მაინც გამონახა.

**- ბატონო ნიაზ, კადრებზე გვინდა გკითხოთ, რაგბის პოპულარობა განუხრელად იზრდება, დღეს მისი თამაში ქვეყნის ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში სურთ. რა კეთდება კადრების მოსამზადებლად?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა კადრების დეფიციტი არ შეიქმნას, მოთხოვნას არ ჩამოვრჩეთ. გვეხმარებიან ყოფილი მორაგბეებიც. პარალელურად მიმდინარეობს მათი კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი.

**- რა პრინციპით და რა გზით?**

- ჩამოყალიბებულია მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა, რომელსაც გიორგი ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს. იგი უფლებამოსილია შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურების მიერ ჩაატაროს მეცადინეობები ანუ სწავლება-ტესტირება. წელიწადში ორჯერ ბარდება ტესტები. მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა ლიცენზია. აქვე გეტყვით, რომ უკვე 2012 წლიდან ულიცენზიოდ არც ერთ მწვრთნელს არ ექნება ჯგუფებთან თუ გუნდებთან მუშაობის უფლება.

**- ბარემ მსაჯებზეც ვთქვათ...**

- მსაჯთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაც ორგანიზებულად მიმდინარეობს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის დავით შუბითიძის თაოსნობით. მსაჯთა კომიტეტის პირველი ფილიალი უკვე შეიქმნა დასავლეთ საქართველოში და რეგიონის თვრამეტი მსაჯი იმაღლებს ცოდნას დიმიტრი ფულარიას ხელმძღვანელობით. კვალიფიკაციის ხარისხის მონიტორინგს თბილისიდან ჩასული სპეციალისტები ნოდარ რობიტაშვილი და უჩა ნარიმანიძე ჩაატარებენ.

**- აღმოსავლეთ საქართველოში რამდენია ჩართული მსაჯთა სწავლებაში...**

- აბიტურიენტებიანად ორმოცამდე. სწავლების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს კვირაში ორი დღე. აქაც ტესტირება წელიწადში ორჯერ ტარდება და ცოდნის შესაბამისად ენიჭებათ კვალიფიკაცია. რაც აქვს, იმის დაცვაც აუცილებელია, მაგრამ ყველა უფრო მაღალ დონეზეა ორიენტირებული, რაც უდავოდ კარგია.

**- უცხოეთიდან მსაჯების მოწვევას ხომ არ გეგმავთ...**

- ასეთი პრაქტიკა არსებობს, მაგრამ წლეულს რამდენად იქნება შესაძლებელი, ძნელი სათქმელია.

**- რატომ?**

- ფინანსები! თუმცა წინა წლების მსგავსად, პლეი ოფის სტადიაზე ალბათ კვლავ წავალთ ამ ნაბიჯზე. ახალი პროექტით კი ამ სტატიამდეც გვინდა მოწვეული მსაჯები გაუძღვნენ მატჩებს. მაგრამ ეს ჯერ იდეის დონეზეა, ვნახოთ!..

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

თქვენთვის, რაგბის მოყვარულებო!

## ვიქტორინა

**1. დაასახელეთ წარსულში ცნობილი მორაგბე, ირლანდიის ნაკრების წევრი და ჟურნალისტი.**

ა — ჯეკი კეილი
ბ — მიკ დოილსი
გ — კლაივ ვუდვორდი

**2. რა მიზეზით გადადგა ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის (2011) გასამართ ასპარეზობამდე რამდენიმე ხნით ადრე ფიჯის ნაკრების ხელმძღვანელობა?**

ა — შიდა დაპირისპირებების გამო
ბ — ჯგუფში უელსელებთან მოხვედრის გამო
გ — დაუფინანსებლობის გამო

**3. რომელია დავით ზირაქაშვილის კლუბი?**

ა — „კლერმონი"
ბ — „ლესტერი"
გ — „მეტრო რასინგი"

**4. ცნობილმა ინგლისელმა მორაგბემ ვინ გრინვუდსმა 2010 წლის მსოფლიოს ნაკრები შეადგინა. საუკეთესო მე-15 ნომრად დაასახელა:**

ა — ჯონი ვილკინსონი (ინგლისი)
ბ — ქართლი ბეილი (ავსტრალია)
გ — სტიუარტ ვილსონი (შოტლანდია)

**5. რომელმა ნაკრებმა გამოიყენა პირველმა საერთაშორისო მატჩში ოთხი უკანახაზელით თამაშის ახალი ტაქტიკა 1886 წელს?**

ა — ავსტრალიის ნაკრებმა
ბ — შოტლანდიის ნაკრებმა
გ — უელსის ნაკრებმა

პასუხი: 1-ბ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ბოსტონმა ირმებთან გაისეირნა

# ლავი მეომრებმა შეაჩერეს

თანდათან შორდება პლეი ოფის ზონას „ფინიქს სანზი". გუშინ **ელვინ ჯენტრის** გუნდმა ყველა კომპონენტში დათმო შეხვედრა „ორლანდოს" წინააღმდეგ. „მეჯიქმა" პირველი მეოთხედიდან დაიწყო საჭირო ჰანდიკაპის შექმნა, თუმცა პირველ ნახევარში „მზეების" ჩამორჩენა არც ისე კატასტროფული იყო. იმ სალამოს ტრავმირებულ **სტივ ნეშს აარონ ბრუქსი** ცვლიდა და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა - პირველ ტაიმში მის ანგარიშზე 19 ქულა იყო.

დიდი შესვენების შემდეგ ფლორიდელებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელთ ინიციატივა და მასპინძლები უშანსოდ დატოვეს. ისევ დომინირებდა ორივე ფარზე **დუაიტ ჰოვარდი**, თანაც ხარისხიანი მხარდაჭერა ჰქონდა **ბრენდონ ბასისგან**. ბოლოს და ბოლოს, უკვე მესამე მეოთხედის მიწურულისთვის მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. დანარჩენი დრო მოედანზე რეზერვისტები თამაშობდნენ.

„მილუოკიმ" შედეგიანობის საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა. „ბოსტონმა" „ირმების" წინააღმდეგ ფანტასტიკური დაცვა ითამაშა და მეტოქეს მხოლოდ 56 ქულის დაგროვების საშუალება მისცა. მატჩი 87:56 დასრულდა და სტუმრებმა დაამხეს შედეგიანობის წინა ანტირეკორდი, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იყო ძალაში. აღსანიშნავია, რომ მაშინაც ერთმანეთს „ბოსტონი" და „მილუოკი" ხვდებოდნენ და „ბაქსმა" 57 ქულა დააგროვა.

„ბოსტონი" განსაკუთრებული განწყობით შეხვდა ამ მატჩს, რადგან ბოლო ორი შეხვედრა ნაგებული ჰქონდა. მასპინძლებმა განსაკუთრებით მოინდომეს დაცვაში და მხოლოდ ერთ მოთამაშეს, „მილუოკის" ღრმა რეზერვისტ **ირლ ბერონს** დააგროვებინეს ათი ქულა.

„ირმები" უბრალოდ პარალიზებულნი იყვნენ შეტევაში. 22 ზუსტი ტყორცნა 70 ცდიდან - „ბოსტონის" დომინირების თვალნათელი მაჩვენებელია. „მილუოკის" მეოთხე მეოთხედის სტარტისთვის თავის ანგარიშზე 40 ქულაც არ ჰქონდა. რაც შეეხება „კელტების" შეტევას, პერიოდულად ინდომებდნენ **პოლ პირსი** და **რეი ალენი** - როგორც ამას სიტუაცია მოითხოვდა. **რაჟონ რონდოსა** და **კევინ გარნეტისთვის** კი ეს თამაში უბრალო ვარჯიში გამოდგა.

**ჩონსი ბილაპსის** მწყობრში დაბრუნებამაც ვერ უშველა „ნიუ იორკს" შინ „ინდიანასთან" მატჩში. როგორც ჩანს, **ლარი ბერდმა** შეაგნებინა მოთამაშეებს, რომ „პეისერსის" ცუდ თამაშში არა მწვრთნელი, არამედ კალათბურთელები არიან დამნაშავეები. „ინდიანამ" საკმაოდ აქტიურად დაიწყო მატჩი და პირველივე წუთიდან თანდათან დაშორდა მეტოქეს.

სტუმართა რიგებში მთავარი მოქმედი პირი იყო **ტაილერ ჰენსბრო**. როგორ მრისხანედაც არ უნდა ეთამაშა „ნიქსის" წინა ხაზს **ამარე სტაუდმაიერის** ხელმძღვანელობით, „პეისერსის" მძიმე ფორვარდი ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს სამწამიან ზონაში. ასევე უნდა აღინიშნოს პარტნიორების მხრიდან მხარდაჭერა. **დენი გრეინჯერის** გარეშეც „ინდიანაში" აღმოჩდნენ კალათბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო მომენტში ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. „ნიქსის" ვარსკვლავებმა კი ასეთი მხარდაჭერა ვერ იპოვეს - მარტო **კარმელო ენტონიმ** და სტაუდმაიერმა თამაშის მოგება ვერ შეძლეს.

შეწყდა **კევინ ლავის** ფანტასტიკური სერია. „მინესოტას" მძიმე ფორვარდმა ორმაგი დუბლი ბოლოს 19 ნოემბერს „ლეიკერსთან" მატჩში ვერ შეასრულა, იმ დღიდან მოყოლებული კი ზედიზედ 53 შეხვედრაში აგროვებდა ერთდროულად მინიმუმ 10 ქულასა და 10 მოხსნას. კევინის შეჩერება „გოლდენ სტეიტმა" შეძლო. პირველ ტაიმში „მინესოტა" კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მესამე მეოთხედიდან მოყოლებული „მეომრებმა" შანსი არ დაუტოვეს არც ლავსა და არც მის გუნდს.

**კლივლენდი-ოკლაჰომა 75:95**

14:29, 24:21, 18:25, 19:20

კ: გიბსონი (13), სამუელსი (10+10 მოხსნა), ჰიქსონი (8+15 მოხსნა)

ო: უესტბრუკი (20+5 პასი), დურანტი (19), ჰარდენი (16+5 მოხსნა), მუჰამედი (11), იბაკა (8+14 მოხსნა+7 დაფარება)

**ტორონტო-შარლოტი 90:95**

22:24, 25:26, 24:26, 19:19

ტ: ბარნიანი (17), ბარბოზა (15), კალდერონი (13+7 პასი), დეროზანი (11), ევანსი (6+17 მოხსნა)

შ: ოგუსტინი (23), ჰენდერსონი (18), დიაო (15+6 პასი), ჯექსონი (15+5 მოხსნა+5 პასი)

**ფინიქსი-ორლანდო 88:111**

26:32, 26:29, 13:26, 23:24

ფ: ბრუქსი (19+10 პასი), პიეტრუსი (14), გორტატი (12), კარტერი (11), დადლი (10+7 მოხსნა)

ო: ჰოვარდი (26+15 მოხსნა+5 დაფარება), ბასი (17+6 მოხსნა), არენასი (16+5 მოხსნა), ნელსონი (14), თურქოგლუ (13+7 მოხსნა), ანდერსონი (11+6 მოხსნა), რიჩარდსონი (10+8 მოხსნა)

**ბოსტონი-მილუოკი 87:56**

20:9, 19:13, 21:16, 27:18

ბ: ალენი (17), პირსი (14), მერფი (12+7 მოხსნა), კრსტიჩი (11+14 მოხსნა), გრინი (11)

მ: ბერონი (10)

**ნიუ იორკი-ინდიანა 93:106**

21:29, 25:25, 26:31, 21:21

ნ-ი: სტაუდმაიერი (28+6 მოხსნა), ენტონი (25+5 მოხსნა), უილიამსი (13)

ი: ჰენსბრო (29+8 მოხსნა), ჯონსი (18), კოლისონი (16+8 პასი), ჰიბერტი (12+8 პასი+5 დაფარება)

**გ. სტეიტი-მინესოტა 100:77**

26:23, 23:21, 26:15, 25:18

გ-ს: კარი (24+9 მოხსნა+6 პასი), ელისი (16+5 პასი), რაიტი (16), ამუნდსონი (11+7 მოხსნა)

მ: ბიზლი (16+5 მოხსნა), უებსტერი (16), რიდნური (13+6 პასი), ლავი (6+12 მოხსნა+5 პასი)

● ჩოგბურთი

# შავი დღე რუსებისთვის

ინდიან უელსში ძალას იკრებს ATP-სა და WTA-ის უმსხვილესი ტურნირები. ქალებს შორის მერვედფინალის პირველი მონაწილეები გაირკვნენ, მამაკაცებმა კი მეორე წრეში დაასრულეს გამოსვლა.

პირველ რიგში, უნდა გამოვარჩიოთ მამაკაცთა ტურის ორი ლიდერის - **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **როჯერ ფედერერის** თამაში. გარდა იმისა, რომ ორივეს გამოსვლა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, მათ გუშინ ერთგვარი საიუბილეო გამარჯვებები მოიპოვეს.

სერბს ზუსტად საათი დასჭირდა ყაზახი **ანდრეი გოლუბევის** დასამარცხებლად. პირველი პარტია ჯოკოვიჩმა 21 წუთში ნულზე მოიგო, თანაც ამ დროის განმავლობაში მეტოქემ მხოლოდ ექვსი გათამაშების მოგება შეძლო. მეორე პარტია მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ბრეიკით დაიწყო, მაგრამ შემდეგ დათმო უპირატესობა და საბოლოოდ გოლუბევის წინააღმდეგობა მეორე სეტის მეხუთე გეიმში გატეხა.

ჯოკოვიჩმა ამ სეზონში დევისის თასის თამაშების გათვალისწინებით 15 მატჩი მოიგო. მას 2011 წელს არც ერთი ნაგება არ აქვს, უფრო მეტიც - ჯამში მხოლოდ ორი სეტი დაუთმო მეტოქეებს.

როჯერ ფედერერმა კი ინდიან უელსის ტურნირზე რიგით 30-ე მატჩი მოიგო. შვეიცარიელს რთული მეტოქე არ ჰყოლია - რუსი **იგორ ანდრეევი** არ არის ის ჩოგბურთელი, რომელსაც როჯერის ძლევა და სენსაციის მოხდენა შეუძლია. ეს ამ მატჩშიც დამტკიცდა, თუმცა ანდრეევი იმისთვის მაინც უნდა შევაქოთ, რომ ღირსეული ანგარიშით წააგო ფავორიტთან. პირველ სეტში ორივენი კარგად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებაზე და გეიმები სწრაფად სრულდებოდა. მიუხედავად ამისა, პარტიის შუაში ფედერერმა თანდათან მოუმატა და ბრეიკს მიუახლოვდა. შვეიცარიელმა ბოლოსკენ იმძლავრა - ზედიზედ 10 გათამაშება მოიგო და ტაი-ბრეიკი აიცილა თავიდან - 7:5.

მეორე სეტის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ მატჩმა ინტრიგა საბოლოოდ დაკარგა - როჯერმა ზედიზედ მოგებული გეიმების რაოდენობა ოთხამდე აიყვანა და ერთადერთი, რაც ევალებოდა, საკუთარი მოწოდების შენარჩუნება იყო. როგორც ჩანს, შვეიცარიელმა ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და ჩავარდნა დაეწყო. შედეგად რუსმა საპასუხო ბრეიკი გააკეთა და ამჯერად ტაი-ბრეიკი მაინც დაინიშნა. იქ კი როჯერს საჩუქრები აღარ დაურიგებია და „შემოკლებული" გეიმი 7:4 მოიგო. ანდრეევმა ზედიზედ მეცხრე ტურნირზე ვერ გააღწია მეორე რაუნდზე შორს.

სხვათა შორის, იმ დღეს კიდევ ერთი რუსულ-შვეიცარიული დაპირისპირება გაიმართა და იქაც დამარცხებული რუსი ჩოგბურთელი გამოვიდა. **ნიკოლაი დავიდენკომ** და **სტანისლას ვავრინკამ** დღის ერთ-ერთი ყველაზე თანაბარი მატჩი ითამაშეს, მაგრამ შვეიცარიელი ოდნავ უკეთ აწვდიდა, უკეთ იცავდა თავს და უკეთ იყენებდა ბრეიკ-პოინტებს. შედეგად, 2 საათი და 40 წუთი ბრძოლის შემდეგ მესამე წრეში ვავრინკა გავიდა.

მამაკაცთა ბადის დანარჩენ მატჩებში სენსაცია საერთოდ არ ყოფილა: 16 განთესილიდან 14-მა მოახერხა შემდეგ რაუნდში გასვლა, დანარჩენ ორ შედეგს კი მოულოდნელობას ვერ ვუწოდებთ. **მილოშ რაონიჩი**, რომლის რეიტინგი ჯერ ჩამორჩება ჩოგბურთელის თამაშის დონეს, **მარდი ფიშთან** ფავორიტად მიიჩნეოდა და ორ სეტში გაიმარჯვა. არც ესპანელი **გილერმო გარსია-ლოპესის** ახალგაზრდა ამერიკელ რაიან ჰარისონთან წაგება მოუნათლავს ვინმეს სენსაციად. **ენდი როდიკი** მეორე სეტში 0:3-ს აგებდა თავის მეგობარ და ტოპ-ათეულის ყოფილ წევრ **ჯეიმს ბლეიკთან**, მაგრამ მაინც ორ სეტში გაიარა ეს ბარიერი.

■ ■ ■

მამაკაცების ტურნირისგან განსხვავებით, ქალებს შორის დღის ბოლო მატჩამდე სენსაცია არ მომხდარა. მოულოდნელად იოლად მოიგეს [illegible]ანთი შეხვედრები **მარიონ ბარტოლიმ** და **ანა ივანოვიჩმა**. ამ უკანასკნელმა 64 წუთი მოანდომა **ბარბორა ზახვალოვას** დამარცხებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხმა პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ეს წარმატება ერთადერთი აღმოჩნდა მისთვის ამ მატჩში. სხვა ფავორიტებმაც იოლად მოიგეს - **ფრანჩესკა სკიავონემ** და **ელენა იანკოვიჩმა** თავიანთ მეტოქეებს ოთხ გეიმზე მეტი არ დაუთმეს.

ხოლო იქ, სადაც სამ სეტს არანაირად არ ელოდნენ, დიდი ბრძოლა გაიმართა. **კიმ კლაისტერსმა** 13 ორმაგი შეცდომა დაუშვა და თან მეტად უშინაარსო თამაში აჩვენა **სარა ერანის** წინააღმდეგ, მაგრამ მაინც შეძლო იტალიელის ძლევა. აღსანიშნავია, რომ ერანი მეოცედ ხვდებოდა საუკეთესო ათეულის წევრს და მეოცედ დამარცხდა. როგორც ჩანს, იტალიელს არ გამოსდის პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებთან თამაში, თუმცა პერიოდულად გარკვეულ პრობლემებს უქმნის მათ, როგორც ეს კლაისტერსის შემთხვევაში მოხდა.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ნახსენებ სენსაციას, ის რუსი **ვერა ზვონარევასა** და სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვას** მატჩში მოხდა. პირველ სეტში მეტოქეები წყვილწყვილად იგებდნენ გეიმებს. 4:4-ზე რუსის ჯერი იყო და მან ზედიზედ ორი გეიმის მოგებით სეტიც აიღო - 6:4. მეორე პარტიაში თავიდან წინ ციბულკოვა გავიდა, რომელიც სეტზე აწვდიდა, მაგრამ ზვონარევა რთული სიტუაციიდან გამოძვრა და მოგების შანსიც ჰქონდა, თუმცა ციბულკოვამაც იყოჩაღა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, რომელიც სლოვაკმა მოიგო. გადამწყვეტ პარტიაში დომინიკა თავიდანვე გაიქრა წინ - 5:2. ზვონარევამ ბოლომდე იბრძოლა, ხუთი მატჩბოლი მოიგერია, მათ შორის სამმაგი 4:5-ზე. მეექვსე ცდაზე ციბულკოვა დიდხანს ემზადებოდა მოსაწოდებლად, ძლიერი დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ ზვონარევას შეცდომამ მოუტანა ამ ხანგრძლივ და დაძაბულ მატჩში გამარჯვება - 4:6, 7:6(4), 6:4.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 645 000 დოლარი

**II წრე**

**ვიქტორ ტროიცკი (სერ, 16)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:4, 6:4; **ტომას ბელუჩი (ბრა, 26)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:0, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 12)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 3:6, 7:6, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 10)**-ჟულიენ ბენეტო (საფ) 1:6, 6:1, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-იგორ ანდრეევი (რუს) 7:5, 7:6; **მილოშ რაონიჩი (კან)**-მარდი ფიში (აშშ, 13) 7:5, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 17)**-ფლორან სერა (საფ) 6:1, 6:3; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 22) 6:3, 7:6; **ჯონ ისნერი (აშშ, 30)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:3, 7:6; **რიშარ გასკე (საფ, 18)**-პაბლო კუევასი (ურუ) 7:5, 6:3; **მიკაელ ლოდრა (საფ, 24)**-სანტიგო ხირალდო (კოლ) 7:6, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:4, 6:1; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 29)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 4:6, 7:5, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 8)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:3, 7:5; **ერნესტ გულბისი (ლატ, 31)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:7, 7:6, 6:1.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 2)**-სარა ერანი (იტა) 6:3, 2:6, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 25)**-ვერა ზვონარევა (რუს, 3) 4:6, 7:6(4), 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)**-ალიზ კორნე (საფ) 6:2, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-ჯულია გორჯესი (გერ, 32) 6:2, 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 10)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17) 2:6, 6:3, 7:5; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23)**-კაია კანეპი (ესტ, 14) 3:6, 6:4, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 21) 6:4, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ, 19)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:2, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ანა ივანოვიჩმა იოლად მოიგო

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# არასასიამოვნო ცნობა

ტვინის შერყევის შემდეგ დროში გაიწელა „პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერის **სიდნი კროსბის** ყინულზე დაბრუნება - კანადური ჰოკეის ვარსკვლავი იანვრიდან ვერ ახერხებს თამაშს. ჯერჯერობით ღიად დგას საკითხი - დაბრუნდება თუ არა კროსბი ყინულზე და შეძლებს თუ არა ამ სეზონში თამაშს. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკულ პრესაში გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ სიდნიმ, შესაძლოა, იმ მოთამაშეების ნაღვლიანი ბედი გაიზიაროს, რომლებმაც სერიოზული ტრავმების შემდეგ ნაადრევად დაასრულეს კარიერა.

ეს ინფორმაცია უარყო კანადელი ჰოკეისტის აგენტმა **პეტ ბრისონმა**. *„ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი განცხადებაა. კროსბის კარიერის დასრულება არც კი განხილულა"*, - აღნიშნა ბრისონმა. აღვნიშნავთ, რომ უფრო ადრე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კროსბის ოჯახის ერთ-ერთი წევრი ჰოკეისტს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აქტიური სპორტიდან წასვლას ურჩევდა, მაგრამ მაშინ ეს ჭორიც ბრისონმა უარყო.

*„კროსბის მშობლებს ძალიან უნდათ, რომ მან კონდიციები აღიდგინოს და თამაში გააგრძელოს"*, - ამბობს აგენტი. *„მთავარია, რომ ის ჯანმრთელი იყოს. რამდენი ხანი გაგრძელდება მკურნალობა, ჯერ რთული სათქმელია. ვნახოთ, როგორ გამოვა"*, - განაცხადა ჰოკეისტის მამამ **ტროი კროსბიმ**.

**პიტსბურგი-ედმონტონი 5:1**

1:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კუნიტცი-19 (ტაილერ კენედი-19, სტაალი-12), 2:0 ტელბოტი-8 (დუპუი-18, ლავჯოი-9), 3:0 სტაალი-8 (ტაილერ კენედი-20, კუკი-18), 3:1 ჯონსი-16 (კოლიანო-18, ჟირუ-1), 4:1 მიხალეკი-2 (ადამსი-8, ტელბოტი-10), 5:1 კუნიტცი-20 (ნილი-20, ტაილერ კენედი-21)

**დალასი-ლოს ანჯელესი 2:3**

0:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 დაუტი-11 (სტოლი-21, პონიკაროვსკი-6), 0:2 პენერი-23 (კოპიტარი-46, ჯასტინ უილიამსი-35), 1:2 რიჩარდსი-25 (ერიქსონი-40), 2:2 ლანგენბრუნერი-9 (გოლიგოსკი-29, ბენი-23), 2:3 ჰანძუში-10 (პონიკაროვსკი-7, სიმონდსი-13)

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 4:3 (ო)**

2:1, 0:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლედი-3 (მარიან ჰოსა-26, ფროლიკი-24), 1:1 გორდონი-3, 2:1 არნოტი-15 (სიომინი-22, ვიდემანი-27), 2:2 კოპეცკი-13, 3:2 ლეიჩი-15 (ჰენდრიქსი-15, ფერი-10), 3:3 ტეუვზი-29 (კეიტი-31, შარპი-30), 4:3 ნუბლი-16 (იოჰანსონი-13, ვიდემანი-28)

**ბაფალო-ოტავა 6:4**

2:2, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ენისი-16 (კონოლი-21, სეკერა-21), 1:1 სპეცა-14 (კარლსონი-28, გონჩარი-20), 2:1 ვანეკი-25 (გოსტადი-15, უებერი-8), 2:2 გრინინგი-2 (ვინჩესტერი-7, სპეცა-23), 3:2 ენისი-17 (კონოლი-22, უებერი-9), 4:2 გოსტადი-10 (მანკარი-2, ვანეკი-35), 4:3 სპეცა-15, 5:3 გერბე-9 (უებერი-10, პომინვილი-22), 6:3 ბოიესი-16 (პომინვილი-23, სეკერა-22), 6:4 კარლსონი-12 (სპეცა-24)

**ანაჰაიმი-ფინიქსი 2:5**

1:2, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 პერი-35 (რაიანი-28, გეტცლაფი-40), 1:1 პიატი-17, 1:2 კორპიკოსკი-16 (დოუნი-33), 2:2 პერი-36 (ფაულერი-23, ვიშნოვსკი-42), 2:3 კორპიკოსკი-17 (დოუნი-34, იენდლი-46), 2:4 შლემკო-3 (რეი უიტნი-38, ვრბატა-23), 2:5 დოუნი-17 (ოკუანი-19)



სიდნი კროსბი

● ველოსპორტი. პარიზი-ნიცა



ტონი მარტინი

# გერმანიას ახალი ლიდერი ჰყავს

პროფესიონალმა ველომრბოლებმა ახალი სეზონის პირველი სერიოზული სტარტი დაასრულეს. საფრანგეთში შვიდი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა პრესტიჟული ველორბოლა - „პარიზი-ნიცა". საერთო ჩათვლაში გამარჯვება 25 წლის გერმანელმა **ტონი მარტინმა** მოიპოვა.

ამ ველომრბოლზე უკვე დიდი ხანია იმედს ამყარებენ გერმანიაში, მაგრამ პირველი სერიოზული წარმატება მხოლოდ ახლა მოვიდა. ბევრს ახსოვს ტონის სადებიუტო ტურ დე ფრანსი, როცა ის დიდი ხანი ფლობდა საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლის თეთრ მაისურას, კინაღამ მოიგო მთა მონ ვონტუზე ასვლა, ორი მედალი მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატზე დროზე ინდივიდუალურ რბოლაში, შარშან აგვისტოში კი პირველ გამარჯვებას მიაღწია მრავალდღიან რბოლაში. მართალია, ეს იყო მოკრძალებული ენეკო-ტური, მაგრამ ამ სეზონში მან უკვე მოასწრო პორტუგალიაში თვით **ალბერტო კონტადორის** დამარცხება, ახლა კი პირველ სერიოზულ გამარჯვებასაც მიაღწია.

ბოლო ეტაპზე, ისევე როგორც მთელი კვირის განმავლობაში მარტინმა ეჭვი არავის შეატანინა თავის უპირატესობაში. ტონის მთავარ კონკურენტს, კიდევ ერთ გერმანელ **ანდრეას კლოდენს** არც კი უცდია შეტევა, რადგან წინასწარ იცოდა, რომ მარტინისთვის ლიდერობის წართმევა შეუძლებელი იქნებოდა.

2000 წელს ანდრეას კლოდენმა თავად მოიგო „პარიზი-ნიცა", ახლა კი ამ რბოლაში გამარჯვება მისმა ახალგაზრდა თანამემამულემ მოიპოვა. როგორც ჩანს, გერმანულ ველოსპორტში უკვე დადგა თაობათა ცვლის პროცესი. მოულოდნელად საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა **ბრედლი ვიგინსმა**. მოულოდნელად იმიტომ, რომ ის არ გეგმავდა აქ წარმატებას და „პარიზი-ნიცას" უფრო დიდი სტარტებისთვის მზადების ეტაპად განიხილავდა.

ფრანგული რბოლის კიდევ ერთი გმირი გახდა ტომას ფიოკლერი, რომელმაც ორი ეტაპის მოგება შეძლო (მათ შორის ბოლოსი), სულ კი ამ სეზონში ეს სპრინტერი ოთხჯერ მივიდა პირველი ფინიშთან.

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ტონი მარტინი (გერ, HTC-Highrod) | 34:03:37 |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერ, RadioShack) | +0:36 |
| 3. ბრედლი ვიგინსი (ბრიტ, Team Sky) | +0:41 |
| 4. რეინ ტაარამაე (ესტ, Cofidis) | +1:10 |
| 5. სამუელ სანჩესი (ესპ, EuskaltelI-Euskadi) | +1:13 |
| 6. ჟან-კრისტოფ პერო (საფ, Ag2r) | +1:24 |

● ფიგურული სრიალი

# ჩემპიონატი არ იქნება

იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ტოკიოში ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება. თავდაპირველად მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა დამანგრეველი მიწისძვრისა და ცუნამის მიუხედავად მიზანშეწონილად არ ჩათვალა პირველობის სხვა ქვეყანაში გადატანა. მაგრამ მოგვიანებით გაჩნდა ინფორმაცია ერთ-ერთი ატომური სადგურის ავარიის შესახებ და კავშირი ისევ დაუბრუნდა ჩემპიონატის სხვაგან ჩატარების საკითხს.

ამ მომენტისთვის სხვა ქვეყნის მოქალაქეებს დაბეჯითებით ურჩევენ თავი შეიკავონ იაპონიაში მგზავრობისგან. სავარაუდოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს მიიღებენ. ჩემპიონატი 21-27 მარტს უნდა გაიმართოს.

დარბაზი, რომელმაც სპორტსმენებს უნდა უმასპინძლოს, არ დაზარალებულა, მაგრამ სტიქიის შემდეგ ქვეყანაში ხშირია ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ პრობლემები.

ამასობაში, გერმანია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც უარი თქვა იაპონიის დედაქალაქში თავისი მოციგურავეების გაგზავნაზე. სპორტსმენები ითვალისწინებენ გერმანიის მთავრობის რეკომენდაციებს და არ სურთ იაპონიაში გამგზავრება. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია გერმანიის ნაკრების ლიდერების - **ალიონა სავჩენკოსა** და **რობინ შოლკოვის** რეაქცია. ეს წყვილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი აგრეთვე გრან-პრისა და ევროპის ჩემპიონატის მოქმედი გამარჯვებული გახლავთ.

სხვა ქვეყნებს ჯერ არ მიუღიათ თავიანთი მოციგურეევეების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება. მაგალითად, აშშ-ის გუნდი მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის ვერდიქტს ელის.



ჩემპიონატის დარბაზი არ დაზარალებულა

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩი | |
|---|---|
| რანჰაიმი-ბოდო გლიმტი | გადაიდო |
| **ინგლისი. ჩემპიონშიფი** | |
| ნორვიჩი-ბრისტოლი | 3:1 |
| **იტალია. სერია B** | |
| ჩიტადელა-პადოვა | 3:1 |
| **ესპანეთი** | |
| ხეტაფე-ბილბაო | 2:2 |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-ჰერტა | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| მაინცი A-ტრირი | 0:2 |
| **საფრანგეთი. II დივიზიონი** | |
| ლე მანი-ნიმი | 1:1 |
| **ჰოლანდია. II დივიზიონი** | |
| ეინდჰოვენი-აპელდორნი | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| ლეირია-პორტუ | 0:2 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ლუნგბიუ | 2:0 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | |
| არაუ-კიასო | 0:0 |
| **საბერძნეთი. II დივიზიონი** | |
| ეთნიკოსი (ა)-პანაიტოლიკოსი | 0:1 |
| ტრასივულოსი-პანთრაკიკოსი | 3:2 |
| **თურქეთი. II დივიზიონი** | |
| ბბ გაზიანთეფი-ახისარი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-ბოლესლავი | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| ვოლგა-ტომი | 2:0 |
| როსტოვი-სპარტაკი | 4:0 |
| **რუმინეთი** | |
| ასტრა-კლუჟი | 1:1 |
| ბრაშოვი-ვასლუი | 1:1 |
| **ბულგარეთი** | |
| კალიაკრა-ლოკომოტივი (ს) | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ჰ)-მაკაბი (ჰ) | 0:2 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ატლანტი-სკა | 1:2 (ო) |
| დინამო (რ)-ლოკომოტივი | 2:6 |
| **ბელარუსი** | |
| ნემანი-მეტალურგი | 4:1 |
| იუნოსტი-შახტარი | 9:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ტრენჩინი | 5:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 1:4 |
| სლავია-ლიბერეცი | 2:3 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 1:2 |
| ლინჩოპინგი-შელეფტეო | 0:1 |
| იურგორდენი-ლულეო | 4:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ინდიან უელსი | |
|---|---|
| რობრედო-იანგი | 6:0, 6:4 |
| სიოდერლინგი-კოლშრაიბერი | 6:7, 4:6 |
| ალმაგრო-მონტანიესი | 6:4, 2:6, 4:6 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ვოზნიაცკი-მარტინეს სანჩესი | 6:1, 6:3 |
| ა. რადვანსკა-კირილენკო | 6:0, 2:6, 7:5 |
| პენეტა-კლეიბანოვა | 3:6, 4:6 |
| აზარენკა-უ. რადვანსკა | 7:6, 6:3 |

● TV პროგრამა

**15 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ინტერი (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-მარსელი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**06:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**13:55** რუსეთის თასი. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. სპარტაკი-ლოკომოტივი (LIVE).
**16:55** რუსეთის თასი. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ენისეი-ნიჟნი ნოვგოროდი (LIVE).
**03:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ნიუ იორკი (LIVE).

**SPORT+**

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-მარსელი (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ველოსპორტი. ტირენო ადრიატიკო. VII ეტაპი. იტალია (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). არგენტინა-პერუ. ეკვადორი (LIVE).

● კალათბურთი

# ბრიტანეთი ოლიმპიადაზე დაუშვეს

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა პირდაპირ დაუშვას ბრიტანეთის ქალთა და მამაკაცთა ნაკრებები 2012 წლის ოლიმპიადაზე. ეს გუნდები ზაფხულის თამაშებზე მასპინძლის სტატუსით მოხვდებიან. შეგახსენებთ, არსებობდა ალბათობა იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს გუნდს ვერ მიეღო თამაშების საგზური, რადგან საკლუბო დონეზე ბრიტანული კალათბურთი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სახით, ოლიმპიადაზე კი ასეთი დაყოფა მიუღებელია.

ბრიტანელების ზაფხულის თამაშებზე დაშვებამ შეამცირა ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე ევროპული საგზურების რაოდენობა: მამაკაცებს შორის ეს რიცხვი ოთხიდან სამამდე შემცირდა, ქალებში - ექვსიდან ხუთამდე. ამ საკვალიფიკაციო ტურნირზე მოსახვედრად მამაკაცთა შორის ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის მონაწილე გუნდმა მინიმუმ მეექვსე ადგილი უნდა დაიკავოს (ან მეშვიდე, თუ ბრიტანეთი უფრო მაღალ ადგილზე გავა), ქალებში - მინიმუმ მეხუთე.

ამასთან, პირდაპირ ოლიმპიადაზე მოსახვედრად ევროპის ჩემპიონატზე აუცილებელია ფინალში გასვლა, ქალებს შორის - კონტინენტის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

ტესტების შეჯამება



მერსედესი აღარ იჩანჩალებს

# ლაუდას მერსედესს აქებს

ზამთრის ტესტების შედეგები შეაფასა გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" და ამისთვის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ლეგენდარული ავსტრიელის **ნიკი ლაუდას** მოსაზრებები გამოიყენა. ჟურნალისტებმა ამ შემთხვევაშიც „მერსედესის" პროგრესზე გაამახვილეს ყურადღება.

პირველ ტესტებზე გერმანულმა საჯინიბომ მანქანის გამარტივებული ვერსია გამოიყენა, რათა საიმედოობა გარანტირებული ჰქონოდა, ამავდროულად ბაზაზე გრძელდებოდა მუშაობა სისწრაფეზე. მარტის ტესტებისთვის სიახლეები მზად იყო, ინჟინრებმა ისინი მანქანაზე დაამონტაჟეს, რაც მაშინვე აისახა შედეგებზე.

სწორედ ამიტომაც შუმახერი მეტად პოზიტიურად აფასებს თავისი გუნდის შანსებს საწყის ეტაპებზე. მის აზრს იზიარებს ნიკი ლაუდაც.

*„გუნდმა სერიოზულ პროგრესს მიაღწია, მიხაელმა კი წრეზე შესანიშნავი დრო აჩვენა. ვფიქრობ, მელბურნში მანქანა მისცემს „რედ ბულთან" და „ფერარისთან" ბრძოლის საშუალებას. თუმცა უნდა მოვიცადოთ - ეს გუნდები მთელი ზამთარი სწრაფები იყვნენ, „მერსედესმა" კი მხოლოდ ბოლო დღეს აჩვენა სასურველი ტემპი"*, - ამბობს ავსტრიელი.

უფრო ადრე „ბილდმა" დაბეჭდა „მერსედეს მოტოსპორტის" ვიცე-პრეზიდენტის **ნორბერტ ჰაუგის** სიტყვები. საჯინიბოს ერთ-ერთი შეფი აცხადებს, რომ გერმანული კონცერნი მზად არის განიხილოს 2012 წლის შემდეგ მიხაელთან კონტრაქტის გახანგრძლივების შესაძლებლობა, თუ რა თქმა უნდა, ლეგენდარულ ვეტერანს ასეთი სურვილი გაუჩნდება.

ბევრი რამ ამ სეზონში მანქანის კონკურენტუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ თუ ცოტა ხნის წინ ყველა ლაპარაკობდა „მერსედესში" არსებულ კრიზისზე, ახლა განწყობა შეიცვალა - ბევრი ამ გუნდს სეზონის პირველი გრან-პრის ერთ-ერთ რეალურ ფავორიტად მიიჩნევს. ამით ითვალისწინებენ **როს ბრაუნის** სტრატეგიულ ნიჭსა და მიხაელის სარბოლო შესაძლებლობებს.

# შუმი საუკეთესო სიმულანტი

ფორმულა 1-ის ახალი სეზონის სტარტი, რომელიც 13 მარტს იყო დანიშნული, ბაჰრეინში სახალხო მღელვარების გამო ორი კვირით გადაიდო. მაგრამ გუნდებსა და პილოტებს დრო უქმად არ დაუკარგავთ. მათ პირველი ეტაპის წინ (ავსტრალია, 27 მარტი) დაუგეგმავი, მაგრამ ძალიან სასარგებლო ტესტები ჩაატარეს ბარსელონაში. ზოგიერთებმა, მაგალითად **მიხაელ შუმახერმა** და „მერსედესმა" კატალონიის დედაქალაქი კარგი განწყობით დატოვეს, სხვები, მაგალითად, „მაკლარენის" პილოტები არ მალავენ უკმაყოფილებას და ცოტათი დაბნეულებიც არიან.



მიხაელ შუმახერი

■ ■ ■

კატალონიის დედაქალაქში 8-13 მარტს გამართული ტესტები ფორს-მაჟორით იყო გამოწვეული. ხერესის (10-13 მარტი) და ბარსელონას (18-21 თებერვალი) ვარჯიშების შემდეგ გუნდები ბაჰრეინში უნდა გამგზავრებულიყვნენ, სადაც იქაური გრან-პრის წინ დასკვნითი სატესტო სერია იყო დაგეგმილი. მაგრამ, როგორც ვთქვით, ბაჰრეინის პრინცმა **სალმან ბი ჰამად ბი ისა ალ ჰალიფამ** ეტაპის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

ამიტომაც ავსტრალიის გრან-პრიმდე ახალი მანქანების გამოცდა მშვიდ ბარსელონაში გადაწყვიტეს. ხუთდღიან სესიაში 11-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა - ყველა მონაწილემ, გარდა HRT-სა. ფორმულა 1-ის ყველაზე ღარიბმა გუნდმა ტესტების დასრულებამდე ერთი დღის ადრე მოაწყო ახალი მანქანის პრეზენტაცია, მაგრამ მისი ტრასაზე გამოყვანა მაინც ვერ შეძლო. სამაგიეროდ, კონტრაქტი გააფორმა მეორე პილოტთან. ინდოელ **ნარაიან კართიკეიანს** პარტნიორობას გაუწევს იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცი**. რა თქმა უნდა, ამ დუეტისგან მელბურნში ქულებს არავინ ელოდება. სხვა საქმეა ფავორიტები. მათ ბარსელონაში თავიანთ ბოლიდებზე პრაქტიკულად ყველა ტექნიკური სიახლე დააყენეს და კვალიფიკაციისა და რბოლის სიმულაციაზე იმუშავეს.

■ ■ ■

ბევრისთვის გასაოცად საუკეთესო „სიმულანტი" გახდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი**. სწორედ მან დაამყარა ბოლოსწინა დღეს 2011 წლის მანქანებისთვის ტრასის რეკორდი. მართალია, მიხაელმა ეს წრეების მოკლე სერიისას გააკეთა (ანუ საწვავის ნაკლები რაოდენობით), მაგრამ გერმანელი ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი „მერსედესით".

*„ნაბიჯ-ნაბიჯ ვავითარებდით მანქანას და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. დარწმუნებული ვარ, ავსტრალიაში საკმარისად ძლიერები ვიქნებით. თუმცა, შესაძლოა, ყველა კონკურენტს სრულად არ უჩვენებია თავისი შესაძლებლობები"*, - ოპტიმიზმითა და სიფრთხილით იყო გაჯერებული მიხაელის კომენტარი. შეგახსენებთ, რომ გასულმა სეზონმა მიხაელისთვის კატასტროფულად ჩაიარა - მან პირწმინდად წააგო შიდაგუნდური დუელი **ნიკო როსბერგთან**. შუმახერი არც წლევანდელი პირველი ტესტების შემდეგ იყო კმაყოფილი - „მერსედესი" შესამჩნევად ჩამორჩებოდა მთავარ კონკურენტებს. მაგრამ ტექნიკური სიახლეებით ბოლიდის გაძლიერების პროცესმა წარმატებით ჩაიარა. ასე რომ, 2011 წელს მიხაელს პოდიუმებისა და გამარჯვების საკმაოდ კარგი შანსი გაუჩნდა.

თუმცა პირველი ეტაპების ფავორიტებად მაინც „ფერარისა" და „რედ ბულს" მიიჩნევენ. ამ გუნდების პილოტები იშვიათად აფიქსირებდნენ სწრაფ წრეებს, მაგრამ ბევრის აზრით, სწორედ ეს საჯინიბოები არ აჩვენებდნენ თავიანთ რეალურ ძალას. მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** საერთოდ ყველაფერს ასწრებდა - მანქანის გამოცდასა და ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებასაც. „სპორტ ბილდის" ინფორმაციით სებასტიანმა 2014 წლის ბოლომდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება „რედ ბულთან". ახალგაზრდა გერმანელის ხელფასი სავარაუდოდ სეზონში 10 მილიონი ევრო იქნება.

■ ■ ■

მესამე ფავორიტის - „მაკლარენის" რიგებში პესიმისტური განწყობაა. ორი ბრიტანელი ჩემპიონის გუნდში ახალი ბოლიდის შექმნისას ბევრი საინტერესო ტექნიკური გადაწყვეტილება გამოიყენეს, მაგრამ ტესტებზე მანქანის „საკუთარ ჭკუაზე" მოყვანა ვერ მოახერხეს - სხვადასხვა პრობლემისა და ავარიის გამო **ჯენსონ ბატონმა** და **ლუის ჰემილტონმა** ოპონენტებზე ნაკლები წრე გაიარეს. *„არ მინდა მოგატყუოთ - სეზონის წინ არ ვართ საუკეთესო ფორმაში"*, - განაცხადა ამ დღეებში ბატონმა. მისი მეწყვილე კიდევ უფრო კონკრეტული იყო - *„პირველ ეტაპებზე პოდიუმთან ახლოს ადგილი უკვე დიდი მიღწევა იქნება „მაკლარენისთვის"*. ნუთუ ყველაფერი ასე ცუდადაა? ამაზე პასუხს მელბურნის რბოლა გაგვცემს.

**ბოლო ტესტების საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება**

| | |
|---|---|
| 1. შუმახერი („მერსედესი") | 1.21,268 |
| 2. ალონსო („ფერარი") | 1.21,614 |
| 3. პერესი („უილიამსი") | 1.21,761 |
| 4. როსბერგი („მერსედესი") | 1.21,788 |
| 5. ფეტელი („რედ ბული") | 1.21,865 |

კრივი

# ბრაზილიას იმედი მოუკლეს

ბრაზილიის სამოყვარულო კრივის ნაკრებმა ერთ-ერთი პერსპექტიული წევრი, 16 წლის **ტაირონ სილვა** დაკარგა. საააგენტო AP-ის ცნობით სპორტსმენი პარასკევს პოლიციის თანამშრომელმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც მოკრივე სამართალდამცავთან კამათში შევიდა, ამ უკანასკნელმა პისტოლეტი ამოიღო და იუნიორი იქვე გამოასალმა სიცოცხლეს. მკვლელობის სხვა მოტივებზე გამოძიება ჯერჯერობით არ ლაპარაკობს. ახლა მკვლელი პოლიციელი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და გამოძიების დასრულებას ელის.

ბრაზილიის კრივის ფედერაციისთვის სილვას სიკვდილი უმძიმესი დარტყმა გახდა. ამ მოკრივეს სპეციალურად ამზადებდნენ 2016 წლის ოლიმპიადისთვის, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში უნდა გაიმართოს. *„ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი პერსპექტიული სპორტსმენი დაკარგა. ის ოცნებობდა გამხდარიყო დიდი მოკრივე და მონაწილეობა მიეღო 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე"*, - წერია ფედერაციის განცხადებაში.

სილვა თავის ასაკში ქვეყნის ჩემპიონი იყო, ცოტა ხნის წინ კი წარმატებული დებიუტი ჰქონდა საერთაშორისო არენაზე - კერძოდ, ჩილეში საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

სამწუხაროდ, ბრაზილიაში სპორტსმენების მკვლელობა არცთუ იშვიათი მოვლენაა. დაახლოებით ერთი თვის წინ ქალაქ ბელუ-ორიზონტეში ძარცვის მიზნით ზურგში გასროლით მოკლეს „კორინთიანსის" 19 წლის ფეხბურთელი **ვილიამ მორაიში**. პოლიციის ინფორმაციით მძარცველები მაშინ დაესხნენ თავს მოთამაშეს, როცა ის შინ ბრუნდებოდა.



ტაირონ სილვა

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012



# ბრიტანელი ქალთევზები

არ არსებობს რაიმე თემის მიმართ საზოგადოების ინტერესის მიპყრობისთვის უკეთესი ხერხი, ვიდრე ეს შესაბამისი მოწოდებით გაშიშვლებაა. დიდი ბრიტანეთის საწყლოსნო სპორტის სახეობების წარმომადგენლები ყოველგვარი სპორტული ეკიპირების გარეშე წარდგნენ საზოგადოების წინაშე. ამ აქციის მიზანი იყო ბრიტანელთა ინტერესის ამაღლება ეროვნული ლატარიის მიმართ, რომლის მეშვეობითაც უნდა დაფინანსდეს ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება.

12 ქალი სპორტსმენი ფოტოგრაფის წინაშე აუზში პოზირებდა. მათ სურათები ცალ-ცალკე გადაიღეს და შემდეგ მონტაჟის მეშვეობით გამოიყვანეს ერთი მთლიანი ფოტო. მოცურავეები, „სიქრონისტები" და წყალბურთელები იმედოვნებენ, რომ მოქალაქეები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ლატარიაში და ამით ამოავსებენ იმ ხვრელებს, რომელიც ოლიმპიურ ბიუჯეტში ფინანსური კრიზის შემდეგ შეიქმნა. ამასთან, თავად სპორტსმენებისთვის ჰონორარი არ გადაუხდიათ - ისინი მხოლოდ კეთილი ნებით მოქმედებდნენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა